დემნა კვარაცხელია

საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები

თბილისი 2008

UDC(უაკ) 338(479.22)
კ – 445

ნაშრომში, განხილულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები.

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზის, მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციისა და ზემოაღნიშნული პრიორიტეტების გათვალისწინების საფუძველზე შემუშავებულია ღონისძიებათა სისტემა, რომელთა კომპლექსური განხორციელება ხელს შეუწყობს სამეწარმეო აქტივობის ამაღლებასა და უმუშევრობის შემცირებას, ეროვნული მეურნეობის აღორძინებასა და ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესებას, სიღარიბის დონის შემცირებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას და ა. შ.

ნაშრომი განკუთვნილია აღნიშნული პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი: **კონსტანტინე ზ. გამსახურდია** – ისტორიკოსი, პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების“ თავმჯდომარე

რეცენზენტები: **ელგუჯა მექვაბიშვილი** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

კახაბერ ციმინტია – სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2008
დ. კვარაცხელია
ISBN

შინაარსი

შესავალი ---------- 5

1. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზი ---------- 10

2. ლიბერალური და იმავდროულად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირება ---------- 28

3. სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის გონივრული ბალანსის დაცვა ---------- 31

4. ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება - 38

5. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მართლმსაჯულების სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბება ---------- 40

6. საბაზრო ინსტიტუტების ფორმირების დასრულება, მათი განახლება და განვითარება ---------- 42

7. სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაცია ---------- 45

8. ბაზრების ეფექტიანობის ამაღლება და კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავება ---------- 50

9. სამამულო წარმოების მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება როგორც შიდა, აგრეთვე საერთაშორისო ბაზარზე ---------- 52

10. უმუშევრობის შემცირება, სამეწარმეო საქმიანობის წახალისება, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და დასაქმების დონის ამაღლება ---------- 64

11. ადამიანური კაპიტალის განვითარება და განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება ---------- 68

12. მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლება და ინოვაციური საქმიანობის წახალისება ---------- 72

13. მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემის ფორმირება ---------- 82

14. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა ---------- 87

15. მაკროეკონომიკური დისპროპორციების აღმოფხვრა, მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდა ---------- 87

16. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა ---------- 92

17. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დისპროპორციების გამოთანაბრება და მათი თანაბარზომიერი განვითარების ხელშეწყობა ---------- 107

18. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ხელშეწყობა --------- 108

19. ძირითადი ინფრასტრუქტურის (ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, ტელესაკომუნიკაციოსა და სატრანსპორტოს) განვითარება ---------- 111

20. ზომიერად პროტექციული პოლიტიკის გატარების გზით სამამულო წარმოების დაცვა იმპორტული პროდუქციის მხრიდან ტოტალური კონკურენციისაგან ---------- 115

21. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ინტერესების პრიორიტეტის მაქსიმალური გათვალისწინება ---------- 117

22. უცხოური ინვესტიციების, უპირველეს ყოვლისა კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოზიდვა ---------- 123

23. რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებებში მონაწილეობა ---------- 133

24. საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და ტნკ-თან თანამშრომლობისას ეროვნული ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება ---------- 134

25. სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი გამოყენების, ბიუჯეტის ხარჯების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ---------- 138

26. ეკონომიკური განვითარების მორალურ-ზნეობრივი საწყისები --------- 139

დასკვნა ---------- 147

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 151

„ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არვის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა. შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. **შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვეღარავინღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ“**

ილია ჭავჭავაძე

შესავალი

ნაშრომში ასახულია ავტორის შეხედულებები საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებისა და პერსპექტივების შესახებ.

ნაშრომზე მუშაობისას მაქსიმალურად ვცადეთ შეგვენარჩუნებინა ობიექტურობა საქართველოს ეკონომიკაში, მის ცალკეულ სფეროებში არსებული ვითარების შეფასებისას, რათა მხედველობიდან არ გამოგვრჩენოდა როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი პროცესები. სამწუხაროდ, ქვეყანაში ჩამოყალიბებული რეალობიდან გამომდინარე, დადებით მოვლენებთან დაკავშირებით, გარდა სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციისა, გზების გაყვანისა, ელექტროენერგიის მიწოდების გაუმჯობესებისა, კონტრაბანდის გარკვეული შემცირებისა და კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღებისა, ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ.

საქართველოს ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ნეგატიური პროცესების ანალიზისას და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისას არ გვქონია ჩვენეული დასკვნებისა და წინადადებების განსაკუთრებულობის, შეუმცდარობისა და უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად მათი წარმოდგენის პრეტენზია. ამასთან, არც იმის ილუზიის ქვეშ ვიმყოფებით, რომ მოცემული ნაშრომი ქართული საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობს და საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ ვინმეს დააფიქრებს. უფრო მეტიც, ეს წიგნი ათიოდე მკითხველმა თუ წაიკითხა, ესეც კი უდიდესი

ფუფუნება იქნება ტელევიზორის ეკრანს მიჯაჭვული დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში. არ ახალია, რომ ჩვენი საზოგადოება პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პერიოდში წიგნის კითხვას გადაეჩვია. საარსებო საშუალებების მოპოვებისათვის ყოველდღიურმა გააფრთებულმა ბრძოლამ და გამიზნულად თავსმოხვეულმა სხვადასხვა სახის შოუებმა ანალიტიკური აზროვნებისათვის და ინტელექტისათვის ადგილი არ დატოვა.

მკითხველთა ნაკლებობას განსაკუთრებით განიცდის ქართველი ავტორების ეკონომიკური პროფილის ნაშრომები. ამის ერთი მიზეზია ის, რომ ასეთი ლიტერატურის მკითხველთა რაოდენობა შეზღუდულია ეკონომისტების, ბიზნესმენებისა და პოლიტიკოსების მცირე ნაწილით. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ საქართველოში ძალიან ცოტაა ეკონომიკურ საკითხებზე დაწერილი, თანაც ქართულ პრობლემებზე ორიენტირებული სერიოზული ნაშრომები.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, გვჯერა, რომ ეს წიგნი, აგრეთვე ჩვენს მიერ 2002-2003 წლებში გამოქვეყნებული მონოგრაფიები, რამდენიმე ადამიანს მაინც კიდევ ერთხელ დააფიქრებს საქართველოს ეკონომიკაში არსებული არასახარბიელო ვითარების შესახებ. ბოლო-ბოლო, აღნიშნული ნაშრომები, სხვა ავტორების ნაშრომებთან ერთად, მკვლევარებს, შორეულ მომავალში მაინც, გარკვეულ სამსახურს გაუწევს მე-20 საუკუნის 90-იან წლებში და 21-ე საუკუნის დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკაში განვითარებული მოვლენების შეფასებისას. ქართული ეკონომიკური აზროვნებისადმი და საერთოდ, ყოველივე ქართულისადმი ნიჰილისტურად განწყობილ დღევანდელ საქართველოში მეტის იმედად ყოფნა ფუჭი ოცნებაა.

საქართველოს ეკონომიკაში არსებულ პრობლემებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა მატერიალური წარმოების დარგების, ანუ მრეწველობის სფეროსა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუვითარებლობა, მათი ტექნოლოგიური ჩანორჩენილობა და შესაბამისად, სამამულო წარმოების დაბალი კონკურენტუნარიანობა როგორც საგარეო, აგრეთვე საშინაო ბაზარზეც. აღნიშნულის შედეგია უმუშევრობის მაღალი დონე (უმუშევართა ოფიციალური რაოდენობა სრულად ვერ ასახავს ამ სფეროში არსებულ რეალურ ვითარებას, ვინაიდან ოფიციალურზე ბევრად მაღალია ფარული უმუშევრობის დონე), მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუარესება და სიღარიბის პრობლემის გამწვავება, დისპროპორციების გაღრმავება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია უცხოეთში და ა. შ.

უცხოელი ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით საქართველოს ეკონომიკა, მისი რესურსული პოტენციალი, საკმაოდ დიდხანს ვერ უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეებს სამუშაო ადგილებითა და საარსებო საშუალებებით.

ამიტომ, ისინი თვლიან, რომ გარდაუვალია მოსახლეობის ემიგრაციის ახალი ტალღის წარმოქმნა. უფრო მეტიც მათ მიაჩნიათ, რომ აღნიშნული პროცესი ყოველმხრივ მხარდაჭერას საჭიროებს. საზღვარგარეთ მოსახლეობის მიგრაციის ახალი ტალღის წარმოქმნა მათი აზრით ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შერბილებისა და უმოკლეს ვადებში გადაჭრის ოპტიმალური გზაა.[1] სამწუხაროდ ეს პროცესი ქვეყანაში რეალურად ხორციელდება და მან შეუქცევადი ხასიათი შეიძინა შიგა და გარეშე დესტრუქციული ძალების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად.

უცხოელ ექსპერტები აგრეთვე თვლიან, რომ მხოლოდ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (პუი) შეუძლია ქართული ეკონომიკის სრული განადგურებისაგან ხსნა და მისი გამოცოცხლება. ამ აზრს იზიარებს ხელისუფლება და ქართველი ეკონომისტების უმრავლესობაც. პუი-ს ნამდვილად შეუძლია დადებითი როლის შესრულება ქართული ეკონომიკის აღორძინება-აყვავების საქმეში, ოღონდ განსაზღვრულ პირობებში და განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებისას, რის შესახებაც მოცემული ნაშრომის შესაბამის პარაგრაფშია საუბარი. აღნიშნული პირობებისა და მოთხოვნების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში პუი-ი და მათ უკან მდგომი ტრანსნაციონალური კომპანიები ლიმონივით გამოწურავენ საქართველოს ეკონომიკას, ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკურად ჩამორჩენილ, პერიფერიულ რეგიონად, ხოლო მოსახლეობას კი თანამედროვე მონებად, ანუ უცხოელთა დაქირავებულ, ყოველმხრივ უუფლებო მუშახელად ქცევა ემუქრება. დაქირავებული მუშახელი დაქირავებულია მაშინაც, როდესაც დამქირავებელი ადგილობრივი მეწარმეა. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობას „თანამედროვე მონებად“ მოვიხსენიებთ იმიტომ, რომ მათ არ ექნებათ არც საკუთრება (იგულისხმება წარმოების საშუალებებზე, უპირველეს ყოვლისა კი სტრატეგიულ ობიექტებზე საკუთრება) და არც ასე თუ ისე დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების უფლება.

ჩვენი სამშობლოს ზემოაღნიშნული სცენარებით განვითარების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საზოგადოების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს ეკონომიკური პრობლემებს, ქართულ ნიადაგზე მათი გადაჭრის გზების მოძიებას. 80-იან წლების მეორე ნახევარში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების უკანა პლანზე გადაწევა და ეროვნულისათვის უპირატესობის მინიჭება

[1] მაგ. იხილეთ: 1. კრისტოფ კორდონიე, საქართველოს ეკონომიკური ზრდა: როგორ ავიცილოთ შესაძლო რისკები მომავალში. ჟურნ.: „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტალური მიმოხილვა, მარტი 2006წ. გვ. 54-64. 2. ივან სამსონი, განვითარების გზის ძიება: საქართველოს ამოცანები. ჟურნ.: „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტალური მიმოხილვა, მარტი 2006წ. გვ. 71-90.

ობიექტური რეალობით იყო ნაკარნახევი. კერძოდ, საქართველოს მოსახლეობას მაშინ არ აწუხებდა სიღარიბის პრობლემა და ურიგოდ არც ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები გამოიყურებოდა. თანაც დამოუკიდებლობა-წართმეული ქვეყნისთვის და მისი მოსახლეობისათვის მთავარ საკითხს წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება და ეროვნული თვითიდენტურობის რეალიზაციის ახალი პერსპექტივების დასახვა, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ზვიად გამსახურდიას წინამძღოლობით წარმატებით გაართვა თავი.

დღეისთვის გარკვეულწილად განსხვავებული ვითარებაა. ეროვნულთან[1] ერთად წინა პლანზე წამოიწია სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმაც და მათი ერთმანეთისგან მოწყვეტილად, ცალ-ცალკე განხილვა დიდი შეცდომა იქნება.

ბოლო 15 წლის მანძილზე ქართველი ერის უდიდესი ნაწილის მიზანმიმართული ეკონომიკური დაჩაჩანაკებისა და გაღარიბების მიზანი ალბათ ისიც იყო, რომ ლუკმა-პურს მონატრებულ და მიზერული შემოსავლის მისაღებად სამშობლოში, თუ უცხოეთში ყველაზე დამამცირებელ და ქანცისგამცლელ შრომაში ჩაბმულ მოსახლეობას ღვთაებრივი იდეალებისათვის (სულიერი-ზნეობრივი და ეროვნული) ფიქრის დრო არ დარჩენოდა. ამიტომ საჭიროა, რომ ქართულმა საზოგადოებამ, მისმა პოლიტიკურმა ელიტამ ძალისხმევა თანაბრად გააძლიეროს, როგორც ეროვნული, აგრეთვე ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

დღეს, განსაკუთრებით აქტუალურია დიდი ილიას მიერ ლელთ ღუნიას პირით ნათქვამი სიტყვები „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“-ო. ქართველმა ერმა საკუთარი მიწა-წყლის პატრონად რომ იგრძნოს თავი, ამისთვის, სხვა მრავალ ღონისძიებასთან ერთად, აუცილებელია უახლოეს მომავალში განხორციელდეს ქართული ეკონომიკური სასწაული, რომელმაც სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზით უნდა უზრუნველყოს სიღარიბის დონის მკვეთრი შემცირება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის გონივრული ბალანსის დაცვა, ბიზნესგარემოს რეალური გაჯანსაღება, ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, გადასახადების რეალური და არა მოჩვენებითი შემცირება, ჩამორჩენილი

[1] საქართველოში დღეისთვის არსებული უმწვავესი ეროვნული პრობლემებია: ქართული მოსახლეობის ძირითადი უფლებების შელახვა, ტერიტორიების დაკარგვა-გასხვისება და ქართველი ერის სასიცოცხლო არეალის ყოველმხრივი შევიწროება, მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებისა და ჯანსაღი ტრადიციების წინააღმდეგ აშკარა თუ ფარული ბრძოლა და ა. შ.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სპეციალური პროგრამების შემუშავება, ხელისუფლების ორგანოებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, განათლების სისტემის განვითარება ქართველი ერის ფუნდამენტური ინტერესების გათვალისწინებით და ა. შ.

აღნიშნული საკითხები განხილულია წინამდებარე ნაშრომში. ნაშრომი ალბათ დაზღვეული არ იქნება ცალკეული ხარვეზებისაგან. ავტორი მკითხველის ყველა საქმიან, კეთილმოსურნე შენიშვნას მადლიერების გრძნობით მიიღებს და გაითვალისწინებს თავის შემდგომ მეცნიერულ მოღვაწეობაში.

1. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ანალიზი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ყოვლისმომცველმა პროცესებმა გამოიწვია საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი პირობების ცვლილებები, ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებაში საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების როლის ზრდა და სუვერენული სახელმწიფოს როლის შემცირება. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით მტკივნეულად აისახება საქართველოს გარდამავალ, ფორმირების პროცესში მყოფ ეკონომიკაზე, მით უფრო, რომ ქვეყანას არ გააჩნია ეკონომიკის მართვის გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი, მეცნიერულად დასაბუთებული ეროვნული სტრატეგია. ამასთან, ისტორიული მემკვიდრეობისა (წარმოების დაბალი ეფექტიანობა) და პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში განვითარებული მოვლენების (სახელმწიფო-კრიმინალური გადატრიალება, ეთნოკონფლიქტები, კრიმინოგენური ვითარების გაუარესება, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება და სამამულო წარმოების განადგურება) შედეგად, მკვეთრად დაბალია ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა. შესაბამისად, ბუნდოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების პერსპექტივები.

მცირე, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანამ და ერმა, როგორც წესი, უნდა გამოიმუშავოს ერთგვარი იმუნიტეტი გარეშე პირობების ცვლილებების მიმართ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს იგი აღნიშნულ ცვლილებებთან უმტკივნეულო ადაპტირებასა და ამ პროცესში საკუთარი სახის შენარჩუნებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ მიმართულებით ჯერჯერობით სასიკეთო არაფერი გაკეთებულა.

ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპი საქართველოში გამოირჩევა უკიდურესად წინააღმდეგობრივი ხასიათით. ეკონომიკური ზრდის, ბიუჯეტის შემოსავლების მატების, კონტრაბანდის შემცირებისა და კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების პარალელურად აღინიშნება ფასების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება და უმუშევრობის ზრდა, მოსახლეობის საშუალო და დაბალშემოსავლიანი ფენების რეალური შემოსავლების კლება, რაც იწვევს უთანაბრობის გაღრმავებას შემოსავლების განაწილებაში, მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებით გაუარესებასა და მიგრაციული პროცესების გაძლიერებას. შრომისუნარიანი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობისა და მაღალკვალიფიციური კადრების საზღვარგარეთ გადინება, თავის მხრივ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე და ეკონომიკურ განვითარებაზე.

მოსახლეობის აქტიური ნაწილის უცხოეთში მიგრაციის უარყოფითი შედეგები კიდევ უფრო თვალნათელი გახდება შედარებით გრძელვადიანი პერიოდისათვის.

წლიდან წლამდე უარესდება საგარეო ვაჭრობის ბალანსი და სტრუქტურა. ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის გაუარესება მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის დაბალკონკურენტუნარიანობაზე და აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. საგანგაშოა ისიც, რომ იმპორტში სჭარბობს სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქცია. დაბალია საწარმოო დანიშნულების პროდუქციის წილი. ექსპორტი კი, ძირითადად ისეთი არამდგრადი პროდუქციითაა წარმოდგენილი, როგორიცაა: ჯართი, ალჰგოკოლური სასმელები, მინერალური წყლები და ა. შ. გაუმართლებლად იზრდება ეროვნული ვალუტის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსები, რაც აგრეთვე უარყოფითად აისახება სამამულო პროდუქციის ისედაც დაბალ კონკურენტუნარიანობაზე.

ქვეყანაში არ არის სათანადო პირობები მეწარმეობის განვითარებისა და ეკონომიკური ინტერესების მქონე ინვესტიციების მოზიდვისათვის. განუვითარებელია კონკურენციული ურთიერთობები. ბიზნესის ამა თუ იმ სფეროს პრაქტიკულად აკონტროლებს მთავრობის, ნომენკლატურული ბიზნესისა და ხშირად საეჭვო წარმოშობის უცხოური კაპიტალის უკან მდგომი საქმოსნების დანაშაულებრივი გაერთიანებები. შესაბამისად ბიზნესის თითქმის ყველა მეტნაკლებად მომგებიანი სფერო მონოპოლიზებულია მათ მიერ. ხელისუფლების ზედა ეშელონებში მაღალია კორუფციული ფონი (რა თქმა უნდა ხელისუფლების ქვედა საფეხურებზე კორუფციის აღმოფხვრა უნდა ჩაითვალოს დადებით მოვლენად)[1]. იმპორტული საქონლის მხრიდან ყოველგვარ დასაშვებ ზღვარს გადაცილებული ტოტალური კონკურენცია კი ხელს უშლის სამამულო წარმოების, უპირველეს ყოვლისა კი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების აღორძინება-განვითარებას.

ხელისუფლების მხრიდან მცდარი, ანტიეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შედეგად, ბიზნესი საქართველოში პრაქტიკულად არ ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სასიცოცხლო ინტერესებსა და გრძელვადიან პრიორიტეტებს. იგი ძირითადად ორიენტირებულია მოკლევადიან მიზნებზე, უპირველეს ყოვლისა კი მოკლევადიან პერიოდში ნებისმიერი მეთოდით მაქსიმალური მოგების მიღებაზე.

---

[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების ზედა ეშელონებისა და ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლებს არ აწყობთ კორუფცია ქვედა რგოლებში, ვინაიდან ეს გამოიწვევს ათეულ და ასეულ მილიონობით მათი „კუთვნილი“ არალეგალური და არაკანონიერი შემოსავლების გადანაწილებასა და ამ გზით მათ მიერ მიღებული შემოსავლების შემცირებას.

შესაბამისად, უცხოური სესხები და დახმარებები გამოიყენება არა წარმოების სფეროში, არამედ უძრავი ქონების შესაძენად, ვაჭრობისა (ძირითადად იმპორტული სამომხმარებლო პროდუქციის შესაძენად) და მომსახურების სხვა სფეროებში, აგრეთვე გაურკვეველი დანიშნულების პიარ-ღონისძიებებში. ამის მიზეზი ისიცაა, რომ ქართული ბიზნესი და სახელმწიფო ბიუროკრატია ერთმანეთთან მჭიდროდაა შეზრდილი. უფრო მეტიც, ქართულ ბიზნესს პრაქტიკულად აკონტროლებს მთავრობა, რომელიც როგორც მოვლენების განვითარება გვიჩვენებს მთლიანად საკუთარ პირად მიზნებზეა ორიენტირებული, ანუ ცდილობს თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, მ. შ. ბიზნესის სფეროში და საერთოდაც არ აინტერესებს სახელმწიფოს ინტერესები.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკაში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე პრობლემა[1]:

1. ბიზნესგარემოს შეუთავსებლობა მეწარმეობის განვითარების მოთხოვნებთან;

2. უმუშევრობის მაღალი დონე და დასაქმებულთა შორის ფარული უმუშევრობის მაღალი წილის არსებობა (იხ. ცხ. 1);

---

[1] **დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში ყველაზე მთავარი პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლებამ საერთაშორისო აუქციონზე გასასხვისებლად გამოიტანა ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის უმთავრესი მატერიალური კომპონენტები: შენობები, ნაგებობები, გზები, ისეთი სტრატეგიული ობიექტები, როგორიცაა რკინიგზა, პორტები, გაზსადენი, წყალმომარაგების სისტემა და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია მიწა, წყალი, ტყე, წიაღისეული და ა.შ. უფრო მეტიც, გასაყიდად გამოტანილ იქნა სინდის-ნამუსი, ქართველობა, რწმენა, ტრადიციები, ვაჟკაცობა, კაცობა, საუკუნეების მანძილზე ეგზომ ნაქები ქართველი ქალის კდემამოსილება. აღნიშნული პოლიტიკის გაგრძელება, საბოლოო ანგარიშით, გამოიწვევს ერის ისეთ გადაგვარებას, რომ შეიძლება საერთოდ გაქრეს იმ დროზე მოთხოვნილება, როცა „ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის“.**

ყიდვა-გაყიდვის პროცესში ხელისუფლებასთან ერთად სამწუხაროდ აქტიურად ჩაება საზოგადოების ცალკეული ფენების ცალკეული წარმომადგენლები. დღეს, ისე როგორც არასოდეს, განსაკუთრებით აქტუალურია ნიკო ლორთქიფანიძის გარკვეული სარკაზმით შეზავებული და ამავე დროს სევდით გაჯერებული სიტყვები:

„იყიდება საქართველო მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით, სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; მჩქეფარე ნაკადულებით, ლურჯის ზღვით; მოწმენდილ-მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერი თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით; იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებათ, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიათ, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით“.

მოსახლეობის რიცხოვნობა და დასაქმება 1990-2006 წლებში[1] ცხ. 1

	1990	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის, ათასი კაცი	5456,1	4504,9	4469,8	4435,2	4401,4	4371,5	4342,6	4315,2	4321,5	4401,3
მ. შ. ქალაქად სოფლად	3058,2 2397,9	2365,8 2139,1	2338,2 2131,6	2308,2 2127,0	2280,7 2120,7	2284,8 2086,7	2266,8 2075,8	2252,5 2062,7	2257,5 2064,0	2310,4 2090,9
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2967	2025,8	2009,5	2051,5	2113,3	2104,2	2050,8	2041,0	2023,9	2021,8
მ. შ. დასაქმებული, ათასი კაცი	2763,3	1731,1	1732,6	1839,3	1877,7	1839,2	1814,9	1783,3	1744,6	1747,3
უმუშევარი, ათასი კაცი	203,7	294,7	276,9	212,2	235,6	265,0	235,9	257,6	279,3	274,5
უმუშევრობის დონე, პროცენტი	6,8	14,5	13,8	10,3	11,1	12,6	11,5	12,6	13,8	13,6
საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი				72,3	94,6	113,5	125,9	156,8	204,2	
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა, ათასი კაცი	697,2		903,2	957,5	989,4	988,4	994,9	962,0	947,8	966,4
ნათესი ფართობი სულ (ათასი ჰექტარი)			594,7	610,8	564,5	577,0	561,0	534,0	539,6	
სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა პროცენტი დასაქმებულთა მთლიან რიცხოვნობასთან, %	25,2		52,1	52,1	52,7	53,8	54,9	54,0	54,3	
მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი მ.შ.: – სამთომოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა – ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	459,4 448,4 11,0				90,4 65,2 25,2	84,5 60,6 23,9	82,0 58,1 23,9	85,4 59,9 25,5	94,3 70,3 24,0	90,3
მრეწველობაში დასაქმებულთა პროცენტი დასაქმებულთა მთლიან რიცხოვნობასთან, %	16,6					4,0	4,5	4,8	5,4	5,2
თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა, ათასი კაცი		969,3	982,8	1042,9	1135,9	1184,9	1195,2	1181,7	1143,3	1141,6
თვითდასაქმებულთა პროცენტი დასაქმებულთა მთლიან რიცხოვნობასთან, %		56,0	56,7	56,7	60,5	64,4	65.9	66,3	65,5	65,3

[1] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით

სსდ-ის მონაცემების თანახმად 2003 წლიდან 2006 წლამდე დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა დაახლოებით 68 ათასი კაცით, უმუშევართა რაოდენობა კი გაიზარდა მხოლოდ 39 ათასი კაცით, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში მოსახლეობა გაიზარდა 59 ათასი კაცით.

ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სსდ ასრულებს ხელისუფლების პოლიტიკურ შეკვეთას და ახდენს სიტუაციის შელამაზებულ წარმოაჩენას. უმუშევართა რაოდენობის ზრდას დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება აღემატება 29 ათასი კაცით. ეს შეიძლება აიხსნას სამუშაოდაკარგულთა ნაწილის უცხოეთში ემიგრაციით. ანუ უნდა დაფიქსირებულიყო მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება და არა მისი ზრდა, მით უფრო რომ აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის რაიმე მნიშვნელოვან ბუნებრივ მატებას ადგილი არ ჰქონია. ანუ შეუძლებელია სამუშაო ადგილების შემცირების პირობებში ემიგრანტთა ასეთი მასობრივი უკან დაბრუნება.[1]

იმ შემთხვევაში, თუკი ზემოაღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, მაშინ დასაქმებულთა რაოდენობის შემცირების პარალელურად უმუშევართა რაოდენობის არაადექვატური ზრდა მიუთითებს შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ მომავლისადმი რწმენის დაკარგვაზე და მათ მიერ სამუშაოს ძიების შეწყვეტაზე, რაც ქვეყანაში განხორციელებული მცდარი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკური შედეგია და რაც მიუთითებს აღნიშნული პოლიტიკის ანტისახელმწიფოებრივ და ანტიეროვნულ ხასიათზე.

საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე ძნელი წარმოსადგენია, რომ უმუშევართა რაოდენობა 2006 წლისათვის არ აღემატებოდეს 274,5 ათას კაცს, ხოლო უმუშევრობის დონე კი 13,6%–ს.

საქართველოში, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულიდან არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, უმუშევრობის ასეთი დაბალი დონის არსებობა შეიძლება აიხსნას ოთხი ძირითადი ფაქტორით:

- შრომით რესურსებში ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილის ამაღლებით;
- შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის უცხოეთში დასაქმებით;

---

[1] **მთავრობამ, როგორც ჩანს საქართველოს მოსახლეობა ხელოვნურად გაზარდა ორმაგმოქალაქეობა მიღებულ პირთა ხარჯზე, რომელთა უდიდესი ნაწილი დღესაც უცხოეთში ცხოვრობს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამუშაოდაკარგულთა იმ ნაწილმა, რომელიც არ ფიგურირებს უმუშევრებში, ანუ 28 ათასმა კაცმა, თავისუფალი სამუშაო ადგილების არარსებობის გამო ან საერთოდ შეწყვიტა სამუშაოს ძიება, ან კიდევ რაც უფრო სარწმუნოა, საქართველო დატოვა და საარსებო წყაროს საძიებლად უცხოეთს მიაშურა. ანუ, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების პირობები კი არ გაუმჯობესებულა, არამედ პირიქით გაუარესდა.**

ამ ორი ფაქტორის მნიშვნელოვან როლს ადასტურებს 2006 წლისთვის სამუშაო ძალის 945 ათასი კაცით შემცირება 1990 წელთან შედარებით.

- ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისული მოვლენებისადმი შრომის ბაზრის შეგუებით, ანუ დასაქმების შედარებით მაღალი დონის მიღწევით დაბალი ხელფასის პირობებში (კლასიკური რაოდენობრივი თეორიის თანახმად, სრული დასაქმება შეიძლება მიღწეულ იქნეს პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობის დაბალი დონის პირობებშიც, ხელფასების შემცირების ხარჯზე). თუმცა საქართველოს შემთხვევაში ეს დებულება მცდარია, ვინაიდან ჩვენთან ბუნებაში არ არსებობს რეალური სამუშაო ადგილები: პროდუქციის გამოშვების რეალური მოცულობის მეტისმეტად დაბალი დონის შედეგად.

– დასაქმებულთა რაოდენობის ხელოვნური გაზრდით, რომლის რეალურ საფუძველს იძლევა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც დასაქმებულად ითვლება პირი, რომელმაც შემოსავლის მიღების მიზნით ბოლო კვირის განმავლობაში შეასრულა მინიმუმ ერთი საათის სამუშაო (დაქირავებით ან თვითდასაქმებით). აღნიშნული მეთოდოლოგია არასრულ დასაქმებას აღიარებს დასაქმებად და საერთოდ უგულვებელყოფს შრომის ანაზღაურების მოცულობის შესაბამისობას საარსებო მინიმუმთან. შესაბამისად, დასაქმებულებში სტაბილურად მაღალია დაბალი ანაზღაურების მქონე მუშაკთა (ძირითადად განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში) წილი, აგრეთვე ეგრეთწოდებულ თვითდასაქმებულთა ხვედრითი წონა, რომლის მნიშვნელობაც 2002-2006 წლებში მერყეობდა 64-66%-ის ფარგლებში. ანუ 2006 წლისათვის 1747,3 ათასი დასაქმებულიდან თვითდასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 1141,6 ათას კაცს, რომელთა დიდი ნაწილი პრაქტიკულად დაუსაქმებელია (ვინაიდან დასაქმებულია იმდენად, რამდენადაც ბოლო კვირის განმავლობაში შეასრულა მინიმუმ ერთი საათის სამუშაო).

აღსანიშნავია ისიც, რომ სსდ-ის მონაცემების თანახმად, მრეწველობის სფეროში 2006 წლისთვის დასაქმებულია დაახლოებით 90,3 ათასი კაცი, ანუ დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 5,2 %. 1990 წლისათვის კი დასაქმებული იყო დაახლოებით 459 ათასი ადამიანი, ანუ დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 16,6%, რაც 5,1-ჯერ მეტია მიმდინარე პერიოდში დასაქმებულთა რაოდენობაზე. მოცემული ფაქტი ადასტურებს მრეწველობის დარგიდან 1990 წლის შემდგომ პერიოდში დასაქმებულთა ძირითადი ნაწილის გამოთავისუფლებას და დასაქმებულთა ხარისხობრივი სტრუქტურის გაუარესებას, ანუ მაღალტექნოლოგიური და მაღალკვალიფიციური რთული შრომის შეცვლას შედარებით უფრო მარტივი შრომის ფორმებით. მრეწველობის სექტორის პარალიზებამ და შესაბამისად, რთული ტექნოლოგიური ოპერაციების

შემცირებამ გამოიწვია მუშაკების კვალიფიკაციის დონის დაქვეითება, შრომის ნაყოფიერების დაცემა და დაბალმწარმოებლური შრომის ხვედრითი წილის ამაღლება, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას და უმუშევრობის შემცირებას.

ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე ძირითადად სახეზე იყო სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილებით გამოწვეული ფრიქციული და სტრუქტურული უმუშევრობა, მაგრამ ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება-გახანგრძლივების შედეგად უმუშევრობის დონის ამაღლება (რომლის ოფიციალური მნიშვნელობაც სხვადასხვა სახის სუბიექტური და ობიექტური მიზეზების შედეგად მკვეთრად დაბალია მის რეალურად არსებულ დონეზე) და ქრონიკული უმუშევრობის ჩამოყალიბება ცალსახად ადასტურებს ციკლური უმუშევრობის არსებობას, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს როგორც უმუშევრებსა და მათ ოჯახის წევრებს, აგრეთვე, მთლიანად საზოგადოებას. იგი იწვევს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის როგორც მატერიალურ-ყოფითი პირობების გაუარესებას, აგრეთვე ნიჰილისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას მიმდინარე პროცესების მიმართ, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ინდეფერენტული, „თავის ნაჭუჭში“ ჩაკეტილი და კოლაბორაციონისტული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

3. ადგილობრივი კაპიტალის დეფიციტი, რაც ძირითადად განპირობებულია ადგილობრივი რესურსების (დანაზოგების) უკმარისობით. დაბალი შემოსავლების გამო მოსახლეობის შემოსავლები და შესაბამისად, მათი დანაზოგები მცირეა. ამას ემატება ისიც, რომ პოსტკომუნისტური განვითარების მიმდინარე ეტაპზეც ადგილობრივი საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა კონკურენტუუნაროა, რის შედეგადაც შემცირებულია მოთხოვნა მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე. შესაბამისად მკვეთრად დაბალია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისა და მათ მიერ მიღებული წმინდა მოგების დონეც. ბოლო პერიოდში, ადგილობრივი კაპიტალის დეფიციტი, აგრეთვე მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ხელისუფლების მხრიდან ყოვლად გაუმართლებელი ღონისძიებებით, უპირველეს ყოვლისა კი ბიზნესის სახელმწიფო რეკეტით, რის შედეგადაც გაუარესდა პირობები ადგილობრივი ბიზნესმენებისათვის. ყოველივე ზემოთ აღნიშნული უარყოფითად აისახება საწარმოების ინვესტიციურ აქტივობაზე.

4. უმეტესწილად ხელოვნურად ინსპირირებული ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების მეშვეობით (რომლის თეორიულ-კონცეპტუალურ ბაზის შემუშავებაში, სამწუხაროდ თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართველმა

მეცნიერებმაც) პრაქტიკულად განადგურებული იქნა ეკონომიკურ კრიზისამდე დაგროვილი ფიზიკური და ადამიანისეული კაპიტალი. ფიზიკური კაპიტალის დიდი ნაწილის გამოყენება მცირეოდენი განახლების გზით კრიზისის საწყის ეტაპზე შესაძლებელი იყო. ახლა კი უკვე გვიანაა. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის კრიზისის დროში გაწელვის შედეგად, ექსპლუატაციისათვის პრაქტიკულად გამოუსადეგარია ის დაუტვირთავი მანქანა-მოწყობილობები, ასეთი რამ თუ არსებობს, რომლებიც კრიზისის დაწყებამდე იქნა საწარმოებში დამონტაჟებული. ვარგისიანობის თვალსაზრისით, საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ შენობა-ნაგებობებზე, რომლებიც კაპიტალური რემონტის ჩატარების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას საწარმოო დანიშნულებისათვის, რაც მნიშვნელოვანი რეზერვია, ვინაიდან ჩვენთან შენობა-ნაგებობების მშენებლობა არც თუ ისე იაფი ჯდება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად იწურება პოსტკრიზისული ზრდის წყაროები, ვინაიდან ქვეყანას არ გააჩნია კონკურენტუნარიანი დაუტვირთავი მანქანა-მოწყობილებები და არ ჰყავს დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი საჭირო რაოდენობის მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსები (კრიზისის პერიოდში მოხდა შრომითი რესურსების დეკვალიფიკაციაც).

5. უცხოური საქონლის მხრიდან აღინიშნება შეუზღუდავი, სამამულო წარმოებისათვის დამანგრეველი ტოტალური კონკურენცია, რომელიც ხორციელდება დემპინგური საქონლის შემოტანით, კონტრაბანდის გზით და სახელმწიფოს მხრიდან ყოველმხრივი ხელშეწყობით (რომ არაფერი ვთქვათ საკანონმდებლო მხარდაჭერაზე, საყურადღებოა ისიც, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები თავიანთ კაპიტალს არსებული ქონების უკანონო გადანაწილება-გადაფორმებასთან ერთად, ძირითადად აგროვებენ საიმპორტო ოპერაციებში უშუალო თუ ირიბი მონაწილეობის გზით).

6. საზოგადოებრივი საქონლის (ხელისუფლების მიერ შესრულებული ფუნქციების, მათ შორის მართლმსაჯულების, ეკონომიკის რეგულირების, სოციალური დაცვის, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ა. შ. სფეროებში) დაბალი ხარისხი, რაც განაპირობებს გადამხდელთა უპასუხისმგებლობას გადასახადების გადახდისას. პრაქტიკულად გადამხდელი არ გრძნობს მორალურ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე, ვინაიდან იგი დარწმუნებული არ არის მის მიერ გადახდილი თანხების ეფექტიან გამოყენებაში. პირიქით ქვეყანის ეკონომიკაში და სახელმწიფო ფინანსებში არსებული ქაოსის შედეგად იგი დარწმუნებულია რომ აღნიშნული თანხების

მნიშვნელოვანი ნაწილი არ მოხმარდება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სფეროებისა და პროგრამების დაფინანსებას, არამედ მოხდება მათი დალექვა კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეთა ჯიბეებში. ამასთან საზოგადოებაში უკიდურეს შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ ჩვენთან შეიძინა დაუნდობელი რეკეტიორისა და ვაჭარ-მაკლერის გამოკვეთილი ფუნქცია, რომელიც თვით სინდისის ჩათვლითაც ყველაფერს ყიდის.

7. მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური) გათვალისწინებით გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სტრატეგიული ობიექტების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულებისა და ტყის ფონდის პრივატიზება. განსაკუთრებით დაუშვებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულებისა და ტყის ფონდის უცხოელთათვის მიყიდვა. ხოლო ტყის ფონდის უცხოელთათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში (რაც ასევე არასასურველია, ვინაიდან დროებითი მფლობელი ნაკლებად უფრთხილდება მის სარგებლობაში გადაცემულ ქონებას), უნდა განხორციელდეს მკაცრი კონტროლი ბუნებასარგებლობის წესების დაცვაზე (რაც ასევე მკაცრად უნდა გავრცელდეს ადგილობრივ მესაკუთრეებზეც, რომლებმაც პოსტკომუნისტურ პერიოდში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერითა და საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციების წაქეზებით ყველაზე დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს ბუნებას), რათა თავიდან იქნას აცილებული ტყის გაჩეხვა და ეკოლოგიური კრიზისი.

8. როგორც რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის მოხსენებაშია აღნიშნული, უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე განვითარების სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოთხ ძირითად კომპონენტს: ბაზრების, როგორც რესურსების განაწილების მექანიზმის ცენტრალურ როლს; ადამიანურ პოტენციალს; ინსტიტუტების როლს; მოსახლეობის უფლებებისა და მოვალეობების გაფართოებას (30, გვ. 212). **საქართველოში, ხელისუფლების მხრიდან, პრაქტიკულად უგულველყოფილია აღნიშნული კომპონენტების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. როგორც წესი უპირატესობა ენიჭება მთავრობის სუბიექტურ, ავტორიტარულ გადაწყვეტილებებს.**

განსაკუთრებული შეშფოთების საფუძველს იძლევა პროდუქციის გამოშვებისა და შემოსავლების დაბალი დონის არსებობა, მშპ-ის დარგობრივი სტრუქტურის გაუარესება და მრეწველობის სფეროში განივთებული ეროვნული სიმდიდრის, ანუ მრეწველობის ძირითადი კაპიტალის მოცულობის შემცირება, რასაც ადგილი აქვს ბოლო წლებშიც (იხ. ცხრ. 2).

საბაზრო-ეკონომიკურ სისტემაზე გარდამავალ პერიოდში სამეურნეო საქმიანობის ლიბერალიზაციას და საკუთრების უფლების შეცვლას კერძო საკუთრების სასარგებლოდ, სათანადო სტიმულების (უპირველეს ყოვლისა მწარმოებელთა დაინტერესებით მაღალი მოგების მიღებაში) შექმნის გზით უნდა წაეხალისებინა დანახარჯების შემცირება და პროდუქციის რეალური გამოშვებისა და დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. მაგრამ, როგორც ფაქტები მეტყველებენ აღინიშნა სრულიად საპირისპირო მოვლენა: 1990 წლიდან 1994 წლამდე მშპ-ის რეალური მოცულობა შემცირდა დაახლოებით 3,5-ჯერ.

წარმოების ასეთი დაცემა უპირველეს ყოვლისა გამოიწვია 1991-1992 წლების მიჯნაზე განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა და მომდევნო პერიოდში ქვეყანაში გამეფებულმა ქაოსმა, კერძოდ ხელისუფლებაში კრიმინალური ძალების მოსვლამ და კორუფციის არნახულმა აყვავებამ, ეთნოკონფლიქტების ხელოვნურმა გაღვივებამ, შიდა და გარეშე დესტრუქციული ძალების მიერ ეროვნული სიმდიდრის დატაცებამ, მათ მიერ ეკონომიკური რეფორმების არასწორად და არათანმიმდევრულად წარმართვამ, რომლის შედეგადაც პრაქტიკულად გაჩერდა სამამულო წარმოება და განადგურებულ იქნა ეკონომიკური დამოუკიდებლობის მატერიალური საფუძველი.

2006 წელს საქართველოს მშპ შეადგენს 1990 წლისთვის არსებული დონის 59,2%-ს. ე. ი. პროდუქციის გამოშვების მოცულობა და შესაბამისად, ეკონომიკაში ფორმირებული შემოსავლები 2006 წელსაც კი 40%–ით ჩამორჩება 1990 წლისათვის არსებულ დონეს. შემოსავლების ასეთი საყოველთაო შემცირების შედეგად არსებითად გააუარესებულია მოსახლეობის საშუალო და დაბალშემოსავლიანი ფენების ცხოვრების პირობები, მით უფრო, რომ ამ პროცესის პარალელურად მკვეთრად გაღრმავდა უთანაბრობა შემოსავლების განაწილებაში.

აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ეკონომიკური აღმავლობის დაწყებიდან 11 წელი დასჭირდა მშპ-ის გაორმაგებას. შესაბამისად აღნიშნულ პერიოდში (2006-2007წწ) ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ წელიწადში შეადგენდა დაახლოებით 6,4%-ს.[1]

---

[1] **შესაბამისად უტოპიურად გამოიყურება ხელისუფლების განცხადება 3-4 წელიწადში მშპ-ისა და შემოსავლების გაორმაგებისა და გასამმაგების შესახებ. აღნიშნული მაჩვენებლების მხოლოდ სამ წელიწადში გაორმაგება მოითხოვს პროდუქციის გამოშვების არანაკლებ 23,3%-იან საშუალო წლიურ ეკონომიკურ ზრდას. ასეთი ტემპის მიღწევა რეალურად შესაძლებელი იყო ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა დაუტვირთავი რესურსების (როგორც მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსების, აგრეთვე მანქანა-მოწყობილებებისა და დანადგარების სახით) დიდი რაოდენობა.**

- მრეწველობის დარგის მიერ გამოშვებული პროდუქცია 1990 წელთან შედარებით 2005 წლისათვის შემცირებულია დაახლოებით 3,5-ჯერ, ანუ ამ სფეროში 2005 წელს გამოშვებული პროდუქცია შეადგენს 1990 წელს მიღწეული დონის 28,5**%-ს** (იხ. ცხრ. 2). მრეწველობის დარგში არსებული უკიდურესად კრიზისული ვითარების მაჩვენებელია ისიც, რომ 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე აღინიშნება მრეწველობის სფეროში გამოშვებული პროდუქციის ხვედრითი წილის შემცირება მშპ-ში, რაც წარმოადგენს განსაკუთრებით საშიშ ტენდენციას, ვინაიდან სამრეწველო წარმოების დაცემა-განადგურება ეკონომიკურ საფუძველს აცლის საქართველოს დამოუკიდებლობას და ზღუდავს ეკონომიკის მართვის პროცესში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

საერთოდ, მსოფლიოს წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებში, აგრეთვე აზიის ახალ ინდუსტრიულ სახელმწიფოებშიც, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების დაჩქარების კვალდაკვალ აღინიშნება სამრეწველო წარმოების სფეროში გამოშვებული პროდუქციისა და დასაქმებულთა რაოდენობის ხვედრითი წილების შემცირება პროდუქციის მთლიან გამოშვებასა და დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში. ეს პროცესი აღნიშნული ეკონომიკური სისტემების ბუნებრივი განვითარების ლოგიკური შეგეგია. ისინი ემყარებიან მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ფუნდამენტს და ამის საფუძველზე ახორციელებენ იმ სფეროების (მომსახურების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის მიღება-დამუშავების, კულტურის და ა. შ.) წინმსწრები ტემპებით განვითარებას, რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას და მისი მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მატერიალური წარმოების დარგების, მ. შ. მრეწველობის სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქციის აბსოლუტური მოცულობის შემცირებას. პირიქით იგი იზრდება, თანაც საკმაოდ მაღალი ტემპებით, მაგრამ სიახლე ისაა, რომ არამატერიალური წარმოების სფეროებში გამოშვებული პროდუქციის ზრდის ტემპები გაცილებით მაღალია, რაც იწვევს მშპ-ში მათი წილის ამაღლებასა და მრეწველობის პროდუქციის წილის შემცირებას. ანუ ეს პროცესი ინდუსტრიულ ქვეყნებში დადებითი მოვლენაა. ჩვენთან კი მშპ-ში მრეწველობის პროდუქციის წილის შემცირება არც თუ სასიამოვნო ფაქტია, ვინაიდან ეს პროცესი ხორციელდება მრეწველობის დარგში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის მკვეთრად დაბალი დონის პირობებში. ანუ ჩვენთან, მატერიალური წარმოების დარგებისათვის, მ. შ. განსაკუთრებით მრეწველობისათვის სასტარტო პირობები მკვეთრად უარესია ინდუსტიულ ქვეყნებთან შედარებით. ასეთ პირობებში მშპ-ში მრეწველობის პროდუქციის ისედაც მკვეთრად დაბალი წილის შემცირება

მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში და ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში აღნიშნული დარგის როლის შეუფასებლობაზე ხელისუფლების მხრიდან და მისდამი არაადექვატურ დამოკიდებულებაზე, რის შედეგადაც პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპები აღნიშნულ სფეროში მკვეთრად ჩამორჩება არამატერიალურ სფეროებში არსებულ ტემპებს. მას ადასტურებს სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 2006 წლისათვის 1996 წელთან შედარებით დამამუშავებელი მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქცია გაიზარდა მხოლოდ 1,87-ჯერ, სამთომოპოვებითი მრეწველობისა – 1,45-ჯერ, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოებისა – 1,77-ჯერ, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში მშენებლობის პროდუქციის გამოშვება გაიზარდა – 6,5-ჯერ, ვაჭრობისა – 2,14-ჯერ, კავშირგაბმულობისა – 3,9-ჯერ, სასტუმროებისა და რესტორნებისა – 3,6-ჯერ, ტრანსპორტისა – 3,8-ჯერ, საფინანსო ოპერაციებისა – 19,5 ჯერ, უძრავი ქონებით ოპერაციებისა – 3,5-ჯერ, ფინანსური შუამავლობისა – 10,3-ჯერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „საქართველოსთვის ნაადრევია ქვეყნის საწარმოო ძალთა პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე ლაპარაკი. მან ჯერ, საწარმოო ძალების განვითარების მხრივ უნდა დაიმკვიდროს ინდუსტრიული ქვეყნის სახელი“ (21, გვ. 15).[1] უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ეროვნული მეურნეობის პრიორიტეტების განსაზღვრა და ამის საფუძველზე მაღალინდუსტრიული საზოგადოების მშენებლობის დაწყება. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მეცნიერებატევადი დარგებისა (საუბარია 2-3 დარგის, ან ქვედარგის შერჩევაზე) და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ საფუძვლებზე

[1] როგორც ასეთი შესაძლებელია ესა თუ ის ერი, ან საზოგადოება განვითარების უფრო დაბალი საფეხურიდან შუალედური ეტაპის გამოტოვებით გადავიდეს უფრო მაღალ საფეხურზე. ამის ისტორიულ მაგალითს წარმოადგენს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ევროპელი ხალხების, მაგალითად, გერმანელების, სკანდინავიელებისა და სლავების მიერ პირველყოფილი თემური წყობილებიდან ფეოდალურ წყობილებაზე პირდაპირი გადასვლა. მათ პრაქტიკულად არ გაუვლიათ მონათმფლობელური წყობილების საფეხური. ჩვენი აზრით, ამიტომაც დასჭირდათ თითქმის 1000 წელი ხმელთაშუაზღვისპირეთის მონათმფლობელური საზოგადოებების, განსაკუთრებით კი რომის იმპერიის განვითარების დონემდე მისაღწევად. ამასთან, რომის იმპერიის მემკვიდრეები ბიზანტიის იმპერია და იტალიის ქალაქსახელმწიფოები ვენეცია და გენუა, რომლებიც მონათმფლობელური წყობილებიდან გადავიდნენ ფეოდალურზე, მთელი ამ პერიოდის მანძილზე წარმოადგენდნენ კულტურულ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრებს ევროპაში, სანამ მათ ძლიერებას თურქეთის იმპერიამ არ მოუღო ბოლო. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ ეტაპზე ჩვენ საერთოდ უარი უნდა ვთქვათ პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირება-განვითარებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებზე? რა თქმა უნდა არა. მაგრამ, თუკი გვინდა, რომ უმოკლეს ვადებში შევქმნათ ასეთი ტიპის ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი საზოგადოება, მაშინ უპირველეს ყოვლისა ძირითადი ყურადღება უნდა მივაქციოთ მატერიალური სექტორის, კერძოდ მრეწველობის პრიორიტეტული დარგებისა და რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობის აღორძინებას, აგრეთვე ადამიანური კაპიტალის, როგორც პოსტინდუსტრიალ საზოგადოებაში წარმოების უმთავრესი ფაქტორის განვითარებასა და მეცნიერების აღორძინებას.

გადაყვანას. ამისთვის აუცილებელია ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა კოპლექსური განვითარება, მათი მიღწევების წარმოების სფეროში დანერგვის ხელშეწყობა-წახალისება, ნორმატიული აქტების შემუშავება, სათანადო ინსტიტუტების ფორმირება და სამართალკანონიერების განმტკიცება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღწარმოების ისეთი მთლიანი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებას და მსოფლიო სამეურნეო სისტემაში ეფექტიან ჩართვას.

აღნიშნული პრიორიტეტების რეალიზაციის შემთხვევაში, საქართველოში შეიქმნება სათანადო პირობები კონკურენტუნარიანი პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების ფორმირებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მსოფლიო სამეურნეო სისტემაში ჩვენი ქვეყნის მასშტაბების ადეკვატური საპატიო ადგილის დამკვიდრებას.

მრეწველობის პროდუქციის გამოშვების გადიდების შედარებით დაბალ ტემპებთან ერთად განსაკუთრებით საგანგაშოა ისიც, რომ უკიდურესად დეპრესიულ მდგომარეობაშია სოფლის მეურნეობის დარგიც. ჯერ ერთი, სოფლის მეურნეობაში 1996 წელს წარმოებულ იქნა 1,52-ჯერ ნაკლები პროდუქცია, ვინემ 1990 წელს, ანუ 1990 წლისთვის არსებული დონის 65,9%. შემდგომ პერიოდში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით გაუარესდა კიდევაც, რაზეც მიუთითებს ის, რომ 2006 წლისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქცია შეადგენს 1990 წლისათვის არსებული დონის 64,6%-ს. ანუ 1996-2006 წლებში აღნიშნულ დარგში პროდუქციის გამოშვება შემცირდა 2,1 %-ით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბოლო ათი წლის მანძილზე დარგში არ დასახულა არავითარი სასიკეთო ძვრები და არ შემცირებულა მისი დამოკიდებულება ამინდის ჭირვეულობაზე. ამასთან, დაიკარგა გასაღების ტრადიციული ბაზრები და მკვეთრად გაუარესდა დარგის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის დონე. ცნობილი ფაქტია, რომ სოფლის მეურნეობის სფეროში ბოლო ათწლეულში მანქანა-მოწყობილობების პარკი არ განახლებულა, თუკი მხედველობაში არ მივიღებთ გარკვეულ ღონისძიებებს ბოლო ორი წლის მანძილზე, რამაც გამოიწვია ამ სფეროში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ეფექტიანობის მკვეთრი შემცირება. სსდ-ის მონაცემების თანახმად, 80-იანი წლების ბოლო პერიოდთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში 2006 წელს დასაქმებული იყო დაახლოებით 1,4-ჯერ მეტი მუშაკი, რომლებიც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1990 წელთან შედარებით აწარმოებენ 1,55-ჯერ ნაკლებ პროდუქციას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კრიზისმა გამოიწვია სამამულო ბაზრის გაჯერება საეჭვო წარმოშობის, დაბალხარისხოვანი და ეკოლოგიურად მავნე,

მაგრამ ლამაზად შეფუთული იმპორტული პროდუქციით, რაც მოსახლეობაში იწვევს სიცოცხლისათვის საშიში მთელი რიგი ქრონიკული დაავადებების გავრცელებას.

– შედარებით სტაბილური ვითარება აღინიშნება ვაჭრობის სფეროში, რომელსაც საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის სირთულეები ნაკლებად შეეხო. სამამულო წარმოების კრიზისმა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ გამოიწვია იმპორტის წახალისება და უცხოური საქონლის ხარჯზე ვაჭრობის მოცულობის შედარებით მაღალ დონეზე შენარჩუნება, აგრეთვე იმპორტული საქონლის განაწილება-გადანაწილებისა და შესაბამისად, ვაჭრობაში დასაქმებულთა რაოდენობის სტაბილიზაცია.

9. 2000-2005 წლებში მრეწველობის სფეროში აღინიშნა ძირითადი კაპიტალის შემცირების მეტად საგანგაშო ტენდენცია.[1] მდგომარეობამ გამოსწორება დაიწყო 2006 წლიდან, რაც როგორც ჩანს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის დამსახურებაა. მიუხედავად ამისა, მრეწველობის ძირითადი კაპიტალის მოცულობა 2006 წლისათვის მაინც 81 მლნ ლარით, ანუ 3,7 %-ით ჩამორჩება 2002 წლისათვის არსებულ დონეს.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკური ზრდის მაღალი (ოფიციალური) ტემპების მიუხედავად, წარმოების არასათანადო კაპიტალშეიარაღებისა და დაბალი ტექნოლოგიური დონის, დაბალტექნოლოგიურ, მარტივ და იაფფასიანი პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციისა და საგარეო ვაჭრობის დეფიციტის გაღრმავების გათვალისწინებით, დაბალია ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის, მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების ამაღლების ერთერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია.

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ საქართველოში დღეისთვის არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, ყველა თავისი ეკონომიკური მიზეზებით, **ძირითადად გამოწვეულია პირველადი არაეკონომიკური მიზეზებით:**

– 1991-1992 წლების მიჯნაზე საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენებითა (ანტიეროვნული ძალების მიერ დემოკრატიულად არჩეული

[1] სამწუხაროდ სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ-საიტზე ვერ მოვიძიეთ ანალოგიური ინფორმაცია 1990-1999 წლებისთვის, თუმცა ცხადია, რომ ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების პერიოდში, კერძოდ 1991-1994 წლებში ადგილი ექნებოდა ძირითადი კაპიტალის მკვეთრ შემცირებას. მსგავსი ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როდესაც მანქანა-მოწყობილობების ძირითადი ნაწილი დაუტვირთავია, მათ გსაახლებლად ინვესტიციების განხორციელებაზე არავინ ფიქრობს. უფრო მეტიც, ქვეყანაში გამეფებული ქაოსით ისარგებლეს ჩვენმა ეგრეთწოდებულმა ბიზნესმენებმა და უნიკალური, ჯერ კიდევ ექსპლუატაციისათვის ვარგისი მანქანა-მოწყობილობები ჯართად დაჭრეს და უცხოეთში გაყიდეს.

ლეგიტიმური ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა) და შემდგომი პოლიტიკური არასტაბილურობით;

– 1992 წლიდან დღემდე ხელისუფლებაში მოსულ ძალებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების დეფიციტით;

– სათანადო პასუხისმგებლობის დონით – ხელისუფლების უფლებამოსილებათა დაუბალანსებლობით;

– საქართველოსადმი მტრულად განწყობილი შიდა და გარეშე ძალების მიერ ხელოვნურად ინსპირებული ეთნოკონფლიქტებით.

ჩვენ ვთვლით, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზანია ეროვნული იდენტურობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის საჭირო მატერიალური პირობების შექმნა და საქართველოს მოსახლეობის ფუნდამენტური სოციალურ-ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების რეალიზაცია, ანუ **ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია:**

– მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონისა და ხარისხის უზრუნველყოფა;

– ცალკეული ინდივიდების, ჯგუფებისა და მთლიანად მთელი საზოგადოების ჯანსაღი მოთხოვნილებების (კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, უსაფრთხოების და ა.შ.) მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის სათანადო მატერიალური პირობების შექმნა;

– ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცება და მსოფლიო გლობალურ სამეურნეო სისტემაში ეფექტიანი ჩართვა – ფუნდამენტური ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე საქართველომ თავი უნდა დააღწიოს განვითარების შეკრულ უარყოფით წრეს, რომელიც ხასიათდება ეკონომიკის არასტაბილურობით, დაბალპროდუქტიულობით, დაბალკონკურენტ-უნარიანობითა და რეგიონული განვითარების დაუბალანსებლობით. შესაბამისად, ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს სათანადო პირობების შექმნა, იმისათვის რომ ქვეყნის ეკონომიკამ სწრაფად დაძლიოს პერიფერიული განვითარებისათვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომები, ანუ ეკონომიკურმა პოლიტიკამ მთელი ქვეყნის მაშტაბით უნდა უზრუნველყოს სტაბილური და პროგნოზირებადი მაკროეკონომიკური გარემოს, ეკონომიკის გახსნილობისა და ჯანსაღი კონკურენციის არსებობა. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თანამედროვე პირობების შესატყვისი განათლების სისტემის ფორმირებასა და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, არსებული სამეცნიერო პოტენციალის

შენარჩუნება-გაზრდასა და მისი ეფექტიანობის ამაღლებას, და რაც მთავარია, წარმოების პროცესში მის შეუფერხებელ ჩართვას. ასევე უმნიშვნელოვანესია ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდა, რისთვისაც საჭიროა წარმოების ტექნოლოგიური გადაიარაღება და ზოგიერთი ახალი მაღალტექნოლოგიური დარგის, ან ქვედარგის განვითარების ხელშეწყობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკონომიკური პოლიტიკის წარმატება წარმოუდგენელია კრიმინოგენური ვითარების შემდგომი გაჯანსაღების, ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარებისა და არაორაზროვანი და ეფექტიანი საკანონმდებლო ბაზის ფორმირების გარეშე.

იმისათვის, რომ ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებისას მივაღწიოთ წარმატებულ შედეგებს, საჭიროა ზუსტად შევაფასოთ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების (ეკონომიკური კრიზისისა, თუ ეკონომიკური აღმავლობის) მიზეზები და ამა თუ იმ ეკონომიკური პოლიტიკის როგორც მოსალოდნელი, აგრეთვე ფაქტიური შედეგები. **ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია რეალური ვითარების ადექვატური, ობიექტური და ზუსტი სტატისტიკური ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა და სტატისტიკის სამსახურის განთავისუფლება სახელმწიფო აპარატის დიქტატისა და პოლიტიკური შეკვეთებისაგან.**

სტატისტიკის დეპარტამენტის საქმიანობაში ხელისუფლების ჩარევის დამადასტურებელია თუნდაც შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის ამსახველი ინფორმაცია, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, აგრეთვე ინფლაციისა და სიღარიბის დონეებთან დაკავშირებით არსებული ოფიციალური ინფორმაცია. ცხოვრების ღირებულების რეალურ გაძვირებასთან შედარებით მეტისმეტად მოკრძალებულად გამოიყურება ინფლაციის ოფიციალური დონე, რომელიც ბოლო წლების მანძილზე არ აღემატება 10 %-ს. იგივე ითქმის სიღარიბის დონეზეც. ასევე გაურკვეველი ვითარებაა ექსპორტისა და იმპორტის მოცულობებთან და თანაფარდობასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ გამოშვებული კრებულის „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006“-ის თანახმად საქონლის ექსპორტის მოცულობამ 2004 წელს შეადგინა 647 მლნ, ხოლო 2005 წელს 866 მლნ დოლარი. იმპორტის მოცულობამ კი შესაბამისად 1846 მლნ და 2490 მლნ დოლარი[1]. აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსმა 2004 წელს საშუალოდ შეადგინა 1,9166, ხოლო 2005 წელს 1,8125. შესაბამისად, 2004 წელს ექსპორტის მოცულობა შეადგენდა 1240 მლნ ლარს, იმპორტისა კი – 3538 მლნ ლარს,

[1] „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006“. გვ.: 290-291.

ხოლო 2005 წელს ექსპორტი უდრიდა 1569.6 მლნ ლარს, იმპორტი კი – 4513 მლნ ლარს.

ამავე კრებულში, სხვა თავში, კერძოდ რომელიც ეძღვნება მთლიანი შიდა პროდუქტის დანახარჯების მიხედვით გაანგარიშებას, საქონლის ექსპორტის მოცულობამ 2004 და 2005 წლებში შეადგინა შესაბამისად 2073,2 მლნ და 2665 მლნ ლარი, ხოლო იმპორტისამ 3813,9 მლნ და 4861 მლნ ლარი[1]. როგორც ვხედავთ, ერთსა და იმავე კრებულში, ერთსა და იმავე მაჩვენებლებზე განსხვავებული მონაცემებია დაფიქსირებული. ასე მაგალითად, 2005 წლისათვის კრებულის 143 გვერდზე აღნიშნული ექსპორტის სიდიდე (2665 მლნ ლარი) 1,7-ჯერ აღემატება ამავე კრებულის 290 გვერდზე მოყვანილ ექსპორტის მოცულობას (1569,6 მლნ ლარი) იმავე წლისათვის. ამ შეუსაბამობის შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთებაც:

1. თუკი, მთლიანი შიდა პროდუქტის დანახარჯების მიხედვით გაანგარიშებისას განსაზღვრული საქონლის ექსპორტის მოცულობა ზუსტია, ხოლო მეორე მეთოდით გაანგარიშებული კი მცდარი, მაშინ არალეგალურად განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 2005-2006 წლებში შეადგენს დაახლოებით 40-42%-ს, რაც მიუთითებს კორუფციის მაღალ დონეზე საბაჟო სამსახურში.

2. ხოლო, თუკი მთლიანი შიდა პროდუქტის დანახარჯების მიხედვით გაანგარიშებისას განსაზღვრული საქონლის ექსპორტის მოცულობა მცდარია, ხოლო მეორე მეთოდით გაანგარიშებული კი ზუსტი, მაშინ ეჭვქვეშ დგება თვით მთლიანი შიდა პროდუქტის შესახებ არსებული ინფორმაციის საიმედობა ბოლო წლების მანძილზე.

ასევე ერთმანეთთან შეუსაბამოა, ზემოაღნიშნულ კრებულში ორ სხვადასხვა ადგილას ასახული ინფორმაცია მრეწველობის სფეროში დასაქმებული მუშაკების რაოდენობისა და მისი წილის შესახებ მშპ-ის მიმართ (გვ. 44, გვ. 168), აგრეთვე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობების შესახებ (გვ. 138-142, გვ. 170).

მითითებულ კრებულში და სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ-საიტზე განთავსებულ მასალებში საერთოდ არ არის ინფორმაცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობისა და მისი დარგობრივი სტრუქტურის შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში ტენდენციად იქცა იმ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობა-მიჩქმალვა, რომლებიც მიუთითებენ საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე უარყოფით მოვლენებზე.

[1] „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2006“. გვ.: 143.

ამგვარად, ზემოთ აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის არასაიმედობა და არასრულყოფილება, რეალურ ვითარებასთან შეუსაბამობა და მათ შორის არსებული წინაღმდეგობრივობა სერიოზული დაეჭვების საფუძველს იძლევა სხვა მაჩვენებლებთან, მაგალითად ეკონომიკური ზრდის ტემპებთან დაკავშირებით, რომლებიც საყოველთაო სიდუხჭირისა და სიღარიბის ფონზე მეტისმეტად შელამაზებულად გამოიყურება.

ხელისუფლების ზეწოლისაგან სტატისტიკის სამსახურის განთავისუფლება და ზემოაღნიშნული ხარვეზების დაძლევა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ეკონომიკაში არსებული ვითარების შესახებ ზუსტი ინფორმაციის ქონა და ეკონომიკური მოვლენების მიზეზებისა და შედეგების ცოდნა, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და ცვალებად გარემო-პირობებთან სწრაფი ადაპტირების მეტ საშუალებას მოგვცემს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია **ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებების განსაზღვრა და მათი რეალიზაცია. აღნიშნული პრიორიტეტული მიმართულებების განხილვას ეძღვნება მოცემული ნაშრომის დარჩენილი ნაწილი.**

2. ლიბერალური და იმავდროულად სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირება.

საბაზრო ეკონომიკა დღესდღეობით ყველაზე პროგრესული ეკონომიკური სისტემაა, რომელიც შინაგანი მამოძრავებელი ძალებისა და სტიმულების მეშვეობით ყველაზე უკეთ უწყობს ხელს: წარმოების ფაქტორების, მ. შ. ადამიანური რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას; საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მ.შ. სამეწარმეო საქმიანობაშიც კერძო ინიციატივის გამოვლენასა და ეფექტიან რეალიზაციას. იგი, აგრეთვე უზრუნველყოფს „ატომიზირებული“ ეკონომიკური სუბიექტების პირადი სარგებლობისკენ მიმართული საქმიანობის კოორდინაციას. ამიტომ, საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობის მაქსიმალური ლიბერალიზაცია.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბაზრო ეკონომიკა პრაქტიკულად წარმოუდგენელია უარყოფითი ეფექტებისა და მათი გაფართოებული კვლავწარმოების არასასურველი ტენდენციების გარეშე. ასე მაგალითად, საბაზრო ძალების მოქმედებაში სახელმწიფოს ჩაურევლობის შემთხვევაში ჩამორჩენილი რეგიონებიდან განვითარებულ რეგიონებში შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების მუდმივი გადაადგილება შეიძენს

შეუქცევად ხასიათს, რაც კიდევ უფრო გაამძაფრებს აღნიშნული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებულ დისპროპორციებს. ასევე, სახელმწიფოს ჩაურევლობის შემთხვევაში მოსალოდნელია სოციალურად დაუცველი ფენების ცხოვრების პირობების გაუარესება, წარმოების ნარჩენებით გარემოს დაბინძურება და ა. შ.

ამიტომ, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასაითებელი უარყოფითი ეფექტების არსებობა ობიექტურად განაპირობებს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობას მათი აღმოფხვრის მიზნით, რაც უპირველეს ყოვლისა უნდა განხორციელდეს ეკონომიკური სტიმულებისა და ბერკეტების გამოყენების მეშვეობით.

ამგვარად, სახელმწიფოს მიერ აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას განაპირობებს ის, რომ საბაზრო ეკონომიკას არ გააჩნია სათანადო თვითმარეგულირებელი სტიმულები და ინსტრუმენტები ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის შესაბამისი წონასწორობის ავტომატური მიღწევისათვის და დროის გრძელვადიან პერიოდში მყარი ეკონ-ომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე მისთვის დამახასიათებელი უარყოფითი ეფექტების ავტომატური დაძლევისათვის. ეს გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოების ნებისმიერი ტიპი, მათ შორის საბაზრო პრინციპებზე დამყარებულიც, წარმოადგენს ღია სისტემას, რომელზეც ზეგავლენას ახდენს როგორც შიგა, აგრეთვე გარეშე ფაქტორებიც. ეკონომიკური პროგრესი მიიღწევა ამ ფაქტორების გონივრული შეთავსების გზით, რაც სახელმწიფოსა და მისი შესაბამისი ინსტიტუტების პრეროგატივაა.

განსაკუთრებით აუცილებელია, რომ სახელმწიფომ სათანადო ყურადღება მიაქციოს მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემის ფორმირებას. საბაზრო სისტემა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ გარანტიებს. აღნიშნული გარანტიების ფორმირება ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა, ვინაიდან იგი ხელს უწყობს საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სოციალური ფონის შექმნას.

სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემის ფორმირებისას სტაბილურობასა, ეკონომიკურ ეფექტიანობასა და სოციალურ სამართლიანობას შორის უზრუნველყოფილ უნდა იქნას გონივრული ბალანსი. დაუშვებელია, მაგალითად, მოკლევადიანი სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით პოპულისტური ღონისძიებების განხორციელება და/ან ეფექტიანობის ამაღლებისაკენ მიმართულ რეფორმებზე უარის თქმა. ასევე დაუშვებელია გადასახადების განაკვეთების გაუმართლებელი ზრდის ხარჯზე სოციალური

მიზნებისათვის საჭირო სახსრების მობილიზაცია, ვინაიდან ეს დააზარალებს სამეწარმეო სექტორს, რაც საბოლოო ანგარიშით უარყოფითად აისახება თვით სოციალური დაცვის სფეროზე. საგადასახადო შემოსავლების წილმა მშპ-ში არ უნდა გადააჭარბოს კრიტიკულ ზღვარს (ნორმალურ დონეს), რომლის შემდგომაც მისი ზრდა გამოიწვევს გადამხდელების რაოდენობის შემცირებას და „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის წახალისებას. ასევე დაუშვებელია გადასახადების განაკვეთების ისეთი შემცირება, რაც დააზარალებს სოციალურ სფეროს და გამოიწვევს სოციალური დაძაბულობის ზრდას, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი და შრომისუუნარო ნაწილის ცხოვრების პირობების გაუარესებას, შესაბამისად კი შეაფერხებს საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სოციალური მიზნებისათვის საჭირო სახსრების მობილიზაცია ძირითადად უნდა მოხდეს არა საგადასახადო განაკვეთების ზრდის ხარჯზე, არამედ ჩრდილოვანი ეკონომიკის შემცირებისა და საგადასახადო ბაზის გაფართოების გზით. ამასთან საგადასახადო ბაზის გაფართოებისას მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესები. ასევე მნიშვნელოვანია ბიუჯეტში მობილიზებული სახსრების რაციონალური გამოყენება, არაარსებით და კორუფციული დატვირთვის მქონე ხარჯებზე უარის თქმა, რაც გამოანთავისუფლებს სახსრებს სოციალური თუ სხვა ხასიათის მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსებისათვის.

ამგვარად, ქვეყანაში ხელისუფლების მეცადინეობით უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ჯანსაღი გარემო, რომლის დროსაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის სოლიდარობა და პარტნიორობა სოციალური ურთიერთობების განმსაზღვრელ იმპერატივად, ხოლო მეწარმეობის თავისუფლება და ჯანსაღი კონკურენცია პროგრესის საფუძვლად იქცევა.

ე. ი. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თავის მხრივ, საზოგადოების ყველა ფენამ უნდა გაითავისოს, რომ მათ აერთიანებთ: **„ერთი სამშობლო, ერთი ხვედრი“,** რაც გარკვეულწილად შეარბილებს დროებითი ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეულ სოციალურ დაძაბულობებს.

3. სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის გონივრული ბალანსის დაცვა

ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს: როგორც შესაძლებლობების, აგრეთვე შედეგების განაწილების სფეროში სამართლიანობის მაქსიმალური დაცვა; ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესება, ანუ შედეგებისა და შესაძლებლობების შედარებით თანაბარზომიერი განაწილება, სიღარიბის დონის შემცირება და საზოგადოების ყველა ფენის კეთილდღეობის დონის თანმიმდევრული ამაღლება, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ა. შ..

„სამართლიანობის ქვეშ იგულისხმება თითოეული ინდივიდისათვის მისი არჩევანის გათვალისწინებით თანაბარი სასიცოცხლო შესაძლებლობების არსებობა და შედეგებთან დაკავშირებით უკიდურესი დაბეჩავების დაუშვებლობა“ [32, გვ. 1].

შესაძლებლობებისა და შედეგების განაწილებაში უთანასწორობის ზრდისას ეკონომიკის განვითარებაში მცირდება დაბალშემოსავლიანი ფენების წვლილი. ანუ განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ჯანსაღი კვების სფეროებში მკვეთრი უთანასწორობა სიღარიბისა და ადამიანური რესურსების გაფლანგვის მიზეზია, რაც უარყოფითად აისახება, როგორც მათ კეთილდღეობაზე, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე და ამცირებს მის სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს.

არასამართლიანობა შესაძლებლობებისა და შედეგების განაწილების სფეროში, შესაბამისად მკვეთრი უთანასწორობა ცხოვრების პირობებში და სიღარიბის მაღალი დონე, ეკონომიკურ ზრდას აფერხებს იმიტომ, რომ იგი რესურსების არამწარმოებლური გამოყენების შედეგად, პირველ რიგში, უარყოფითად აისახება ერთობლივ მიწოდებისა და ერთობლივი მოთხოვნის მოცულობებზე, მათ სტრუქტურაზე, მეორეს მხრივ კი, ხელს უშლის საზოგადოების წევრებს შორის სოლიდარობისა და პარტნიორობის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას.

შესაძლებლობების არათანასწორი განაწილება ყოველთვის აუარესებს ინვესტიციურ კლიმატს მოსახლეობის უმრავლესი ნაწილისათვის და სასათბურე პირობებში ამყოფებს მოსახლეობის მცირერიცხოვან, მაგრამ შეძლებულ და გავლენიან ჯგუფს, რომელიც ყოველთვის მაქსიმალურად ცდილობს თავის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის გამოყენებას საკუთარი ინტერესების დასაცავად, რასაც ხშირად აღწევს სხვა ჯგუფების ინტერესების სრული

იგნორირების ხარჯზე. ასეთ პირობებში საზოგადოების ჰარმონიულ, უკომფლიქტო განვითარებაზე საუბარი ზედმეტია.

უთანასწორობა შესაძლებლობებთან დაკავშირებით განაპირობებს უთანასწორობას არა მხოლოდ ეკონომიკის სფეროში, არამედ აგრეთვე პოლიტიკური ძალაუფლების სფეროში, რაც ელიტის სასარგებლოდ დეფორმირებული ინსტიტუტების ჩამოყალიბების საფუძველია. „ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობის მაღალი დონის პირობებში ეკონომიკური ინსტიტუტები და სოციალური პირობები ჩვეულებრივ სისტემატურად მოქმედებენ ყველაზე გავლენიანი ჯგუფების ინტერესების სასარგებლოდ“ [32, გვ. 2]. პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების მკვეთრი უთანასწორობის პირობებში შეძლებულ, გავლენიან ჯგუფებს და მმართველ ელიტას გარანტირებული აქვს ინსტიტუტების ფორმირების ესკლუზიური უფლება, რასაც ისინი იყენებენ საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. „ეს დამღუპველ ზეგავლენას ახდენს განვითარებაზე, ვინაიდან ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ უთანასწორობას გააჩნია კვლავწარმოების ტენდენცია ხანგრძლივი დროის მანძილზე და გადაეცემა თაობიდან თაობაში“ [32, გვ. 2]. ყოველივე საბოლოო ანგარიშით განაპირობებს უთანასწორობას შედეგებთან დაკავშირებით. შესაბამისად, ღარიბი ოჯახის შვილებიც, განწირულნი არიან ანალოგიური მდგომარეობისათვის, ანუ მათი ხვედრიც სიღარიბე და სათანადო განათლების მიუღებლობაა. აღნიშნული ვითარება განაპირობებს რესურსების არამწარმოებლურ გამოყენებას და ხელს უშლის საზოგადოების ჰარმონიულ, მდგრად და უსაფრთხო განვითარებას გრძელვადიან პერიოდისთვისაც.

ე. ი. არასამართლიანობა, ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ინსტიტუტების ფორმირებას, ვინაიდან შესაძლებლობებთან და შედეგებთან დაკავშირებით სრული განუკითხაობის პირობებში გაბატონებული ელიტა ყოველთვის ეცდება მათ ჩამოყალიბებას საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ვინაიდან ინსტიტუტები განსაზღვრავენ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებს, ამიტომ მათი დეფორმაცია და გავლენის ცალკეული ჯგუფების ინტერესებზე მორგება აუცილებლად გამოიწვევს ბაზრების არასრულყოფილებასა, მონოპოლიური ურთიერთობების გაბატონებასა და ალტერნატიულ მიმართულებებს შორის რესურსების არაეფექტიან განაწილებას. ეს კი შეაფერხებს საზოგადოების ფართო ფენების აქტიურობას, მათი ნიჭისა და უნარის გამოვლენას, შესაბამისად ჩაახშობს მათ აქტიურობას ინვესტიციებისა და ინოვაციების სფეროში, რაც ხელს შეუშლის ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას.

ამიტომ ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ინსტიტუტების ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია ეკონომიკური და პოლიტიკური უთანაბრობის შერბილება (ეკონომიკური შესაძლებლობების უფრო სამართლიანი განაწილების გზით) და ცალკეული ფენების პოლიტიკური გავლენის დაბალანსება.

ამგვარად, ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობა მედლის ორი მხარეა, რომლებიც ერთმანეთს განაპირობებენ. უფრო მეტიც, ეკონომიკური უთანასწორობა პოლიტიკური უთანასწორობის საფუძველია. თავის მხრივ რომელიმე ჯგუფის პოლიტიკური დიქტატი და შესაბამისი ინსტიტუტების ფორმირება ეკონომიკური უთანასწორობის წყაროა. ამიტომ აუცილებელია ხელისუფლებამ განსაკუთრებით იზრუნოს მოსახლეობის უფლებების და უფლებამოსილებათა გაფართოებაზე, ცალკეული სოციალური ჯგუფების პოლიტიკური ძალაუფლების დაბალანსებაზე და ეკონომიკური შესაძლებლობების უფრო სამართლიან განაწილებაზე.

ეს საშურია იმდენად, რამდენადაც ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობა სიღარიბის მაღალი დონისა და ქვეყნის ეკონომიკური განუვითარებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანობის ქვეშ იგულისხმება ყველა სოციალური ფენისთვის თანაბარი პირობების შექმნა საზოგადოებრივი აქტიურობის ნებისმიერ სფეროში. ე. ი. სამართლიანობა გულისხმობს შესაძლებლობებისა და შედეგების ისეთ განაწილებას, რომლის დროსაც საზოგადოების ყველაზე უღარიბესი ფენებიც კი უზრუნველყოფილნი იქნებიან ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის და განვითარებისათვის აუცილებელი ჯანსაღი კვებითა და საყოფაცხოვრებო პირობებით, აგრეთვე განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და პოლიტიკური თუ კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მაღალი სტანდარტებით, და რაც მთავარია, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, მ. შ. სამეწარმეო საქმიანობაში, საკუთარი ნიჭისა და უნარის მაქსიმალური გამოვლენის შესაძლებლობებით. სამართლიანობის ინსტიტუტის დამკვიდრებამ და თანაბარი პირობების შექმნამ მოსახლეობის ყველა ფენას შესაძლებლობა უნდა მისცეს საკუთარი უნარისა და ნიჭის გამოყენებით გაიუმჯობესოს საკუთარი მატერიალური მდგომარეობა და რაც არანაკლებ მთავარია, საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ადამიანური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება და ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფა.[1]

---

[1] **დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე (ბიზნესის, პოლიტიკის, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის და ა. შ. სფეროებში) მრავალი ნიჭიერი ადამიანი იჩაგრება იმიტომ, რომ ქვეყანაში არ არსებობს სათანადო პირობები და სტრუქტურები,**

შედარებით უფრო სამართლიანი საზოგადოება ხასიათდება უფრო ეფექტიანი ეკონომიკით, გაუმჯობესებული და განვითარებული ინსტიტუტებითა და პოლიტიკური სტაბილურობით. ასეთ საზოგადოებაში ყველაზე ღარიბი ფენის წარმომადგენლისათვისაც კი იქმნება მეტი სტიმულები და შესაძლებლობები განვითარებისათვის და საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოვლენა-რეალიზაციისათვის.

საყოველთაო პროგრესი და ინოვაციური განვითარება შეინიშნება მაშინ როდესაც მასში საკუთარი წვლილი შეაქვს საზოგადოების ყველა ფენას, სათანადო ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულ ყველა ინდივიდს, მიუხედავად მისი ამა თუ იმ ფენისადმი კუთვნილებისა. ამიტომ საზოგადოების დაბალშემოსავლიან ფენები უზრუნველყოფილ უნდა იქნან სწავლა-განათლების მიღების, პროფესიის შეძენის, საკუთარი ბუნებრივი ნიჭის გამოვლენა-რეალიზაციისა და სიღარიბისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობებით.

სამართლიანობა ხელს უწყობს ეკონომიკურ წინსვლას იმიტომ, რომ იგი მოსახლეობის ყველა ფენიდან გამოსულ ტალანტებს შესაძლებლობას აძლევს მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. გასათვალის-წინებელია ისიც, რომ ქვეყნის ელიტას, საზოგადოების წარმმართველი როლის შესანარჩუნებლად, ყოველთვის სჭირდება ახალი სისხლი და შევსება დაბალი ფენებიდან, რაც მიუღწეველი დარჩება, თუკი სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომ ფენებს არ მიეცემათ სათანადო შესაძლებლობები განვითარებისათვის.

ამგვარად, განვითარება დამოკიდებულია: მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის თანაბარი პირობების შექმნასა და ელიტის უპირობო ლობირებას შორის, ანუ შესაძლებლობებთან და შედეგებთან დამოკიდებულებაში სამართლიანობასა და უსამართლობას შორის პოლიტიკურ არჩევანზე.

სამართლიანობის უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას თანაბარი პირობები საზოგადოების ყველა წევრისასთვის, მიუხედავად ამა თუ იმ სოციალური ფენისადმი მათი კუთვნილებისა. ანუ, ეკონომიკური შესაძლებლობების გამოთანაბრების მიზნით აუცილებელია: ადამიანურ კაპიტალში სახელმწიფო ინვესტიციების გადიდება, რომელიც უპირველეს ყოვლისა უნდა შეეხოს უღარიბეს ფენებს; საზოგადოებრივი საქონლისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა აღნიშნული ფენებისათვის; პატიოსანი კონკურენციის გარანტიების შექმნა; ბაზრების ეფექტიანობის ამაღლება

რომლებიც მათ მისცემენ საკუთარი უნარის გამოვლენის საშუალებას. ამასთან, შექმნილია რაღაც ჩაკეტილი, მოჯადოებული გარემო, რომლის წყალობითაც ხშირად უნიჭო, ან ნაკლებად ნიჭიერი, მაგრამ სათანადოდ გაპიარებული ადამიანები მუდმივად საზოგადოებრივი ცხოვრების წინა პლანზე ჩანან და ყველანაირად, პირდაპირ თუ ირიბად, ყველაზე უღირსი მეთოდების გამოყენებითაც კი ხელს უშლიან მათზე აღმატებულთა წარმოჩინებას. ეს კი აკნინებს სამართლიანობის განცდას და წარმოშობს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიმართ, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას.

სამართლიანობა და შესაბამისად, დაბალშემოსავლიანი ფენების მდგომარეობის გაუმჯობესება (განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ნორმალური კვების თვალსაზრისით), ამაღლებს მათ შრომის ნაყოფიერებასა და შესაბამისად, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

შესაბამისად, საქართველოში უნდა განხორციელდეს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მოსახლეობის ყველაზე უღარიბეს ფენებსაც კი უზრუნველყოფს განათლების მიღების, კონკურენტუნარიანი სპეციალობის დაუფლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ჯანმრთელობის დაცვის, აგრეთვე პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობებით. ამასთან, ეკონომიკური ზრდის შედეგების განაწილებამ უნდა შეიძინოს უფრო სამართლიანი ხასიათი.

შემოსავლების განაწილებაში ისეთი მკვეთრი, არამართლზომიერი უთანაბრობა, როგორიც საქართველოშია, იმიტომაა საშიში, რომ იგი, მოკლევადიან პერიოდში განაპირობებს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების პირობების გაუარესებას, ხოლო გრძელვადიან პერიოდში კი აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკური ზრდის ტემპის დაცემას. აღნიშნულ გრძელვადიან შედეგს განაპირობებს ის, რომ:

– იგი აუარესებს ადამიანური კაპიტალის ხარისხს, ვინაიდან მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებს არ ყოფნით შემოსავლები სრულფასოვანი კვებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლებისათვის, ანუ სრულფასოვანი კვლავწარმოებისათვის, რაც იწვევს მათი შრომის მწარმოებლურობის დაცემას და აგრეთვე გამორიცხავს მათი მხრიდან ინვესტიციურ და ინოვაციურ აქტიურობას;

– იგი განაპირობებს სოციალურ დაძაბულობას, რაც იწვევს პოლიტიკურ არასტაბილურობასა და კრიმინოგენური ვითარების გამწვავებას. ეს კი თავის მხრივ აუარესებს ბიზნეს გარემოს.

სამართლიანობის იდეა გამორიცხავს როგორც შესაძლებლობებთან, აგრეთვე შედეგებთან მიმართებაში განუკითხაობას, ანუ გამორიცხავს დაბალშემოსავლიანი ფენების უკიდურეს დაბეჩავებას, ადამიანის ბუნებრივი უფლებების (თანაბარი შესაძლებლობების არსებობა, განათლების მიღება, ნიჭისა და უნარის გამოვლენა-გამოყენება, ჯანსაღი კვება) უგულველყოფას, პოლიტიკურ-ეკონომიკური უთანასწორობის დაკანონება-გაღრმავების ხელშემწყობი ინსტიტუციური სტრუქტურების ფორმირებასა და არსებული პოტენციალის (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ა. შ.) არამწარმოებლურ გამოყენებას.

შედეგების განაწილებასთან დაკავშირებით აბსოლუტური განუკითხაობის დაუშვებლობა გულისხმობს იმასაც, რომ დაბალშემოსავლიანი ფენების უკიდურესი დაბეჩავების დაუშვებლობასთან ერთად, მიუღებელია აგრეთვე საშუალო ფენების დაჩაგვრა, მეწარმეთა დაშინება, მათი ქონების ექსპროპრიაცია და საერთოდ, მაღალშემოსავლიანი ფენების განკულაკება.

ეს გამოწვეულია იმით, რომ სამართლიანობის მიღწევის მიზნით შემოსავლების გადანაწილებით მეტისმეტმა გატაცებამ, შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სტიმულების შესუსტება და შესაბამისად, წარმოების ეფექტიანობის დაცემა, რაც გააბათილებს სამართლიანობის ამაღლებასთან დაკავშირებულ დადებით ეფექტებს.

სამართლიანობის მიღწევის, შესაბამისად განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და შემოსავლების სფეროში უთანასწორობის შემცირების ძირითადი მიზანია შესაძლებლობების გამოთანაბრება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური აქტივობისათვის და არა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების წმინდა თანაბარი განაწილება, რაც დამღუპველი იქნება ეფექტიანობის თვალსაზრისით და საბოლოო ანგარიშით უარყოფითად აისახება ეკონომიკურ განვითარებაზე და თვით დაბალშემოსავლიანი ფენების მდგომარეობაზე.

ამგვარად, სამართლიანობისა და შესაძლებლობების თანასწორობის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა არ უნდა გამოიწვიოს კერძო სექტორის სტიმულების ჩახშობა, მათი დეფორმირება. წინააღმდეგ შემთხვევაში დარტყმის ქვეშ მოექცევა თვით სამართლიანობის პრინციპი.

ანუ, სამართლიანობა არ გულისხმობს შესაძლებლობებისა და შედეგების აბსოლუტურ თანასწორობას. ეს მიუღწეველიცაა და უარყოფითადაც იმოქმედებს ეფექტიანობაზე, ვინაიდან გამორიცხავს რისკსა და ინიციატივას და გამოიწვევს სტიმულების ჩახშობას. ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის აუცილებელია გონივრული ბალანსის დამყარება.

უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლიანობა და ეფექტიანობა დიალექტიკური ერთიანობის ორი ურთიერთ განმსაზღვრელი კომპონენტია. ეკონომიკის ეფექტიანობა წარმოუდგენელია სამართლიანობის პრინციპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელების გარეშე. სამართლიანობა და შესაბამისად მეტი თანაბარი პირობების უზრუნველყოფა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციო-კულტურულ სფეროებში არის არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების ერთ-ერთი პირობა. სამართლიანობის პრინციპის განხორციელება თავის მხრივ დამოკიდებულია ეკონომიკის ეფექტიანობაზე, ვინაიდან ამ უკანასკნელზეა დამოკიდებული მისი რეალიზაციისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზის ფორმირება.

წინააღმდეგობა ეკონომიკური ზრდის მიზნებისთვის პოლიტიკასა და სამართლიანობის უზრუნველყოფისკენ მიმართულ პოლიტიკას შორის მოჩვენებითია. შესაძლებლობების შედარებით უფრო სამართლიანი განაწილება და ეკონომიკური ზრდის პროცესი ურთიერთდაკავშირებულია. „სამართლიანობა ამაღლება ნიშნავს ეკონომიკის უფრო ეფექტიან ფუნქციონირებას, კონფლიქტების ნეიტრალიზებას, ნდობის ამაღლებასა და ინსტიტუტების გაუმჯობესებას, ინვესტიციებისათვის და ეკონომიკური ზრდისათვის სათანადო პირობების შექმნას“ [32, გვ. 12].

სამართლიანობასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. სამართლიანობის განმტკიცება ხელს უწყობს უღარიბესი ფენების ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას, მათი სოციალურ-ეკონომიკური აქტივობის ამაღლებასა და ქვეყნის ადამიანური პოტენციალის ოპტიმალურ გამოყენებას. ყოველივე ეს კი გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა.

ეფექტიანობაზე ზიანის მიუყენებლად სამართლიანობის უზრუნველყოფად საჭიროა ყურადღების მეტი კონცენტრაცია არა შემოსავლების, არამედ შესაძლებლობების განაწილება-გამოთანაბრებაზე.

სამართლიანობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული პოლიტიკის მიზანშეწონილობის შესაფასებლად საჭიროა ერთმანეთს შეუდარდეს მისგან მიღებული სარგებლობა და დანაკარგები. სარგებლობა არსებული ადამიანური პოტენციალის ოპტიმალური გამოყენებაა. დანაკარგები კი სტიმულების შემცირებაა მეწარმეობისადმი და შრომისადმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანობის უზრუნველყოფისკენ მიმართული პოლიტიკა მხოლოდ გონივრულ ფარგლებში უწყობს ხელს ეფექტიანობის ამაღლებასა და ეკონომიკურ ზრდას, და რაც მთავარია მთელი საზოგადოების, მისი ყველა ფენის კეთილდღეობის ამაღლებას.

ანუ, შემოსავლების შედარებით თანაბარზომიერი განაწილების პოლიტიკა ეკონომიკურ ზრდას მანამ უწყობს ხელს, ვიდრე იგი არ შეეწინაღმდეგება ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ სხვა ფაქტორებისა და სტიმულების მოქმედებას. ასე მაგალითად, შემოსავლების განაწილების გამოთანაბრების მიზნით თუკი გატარდება არამართლზომიერი ეკონომიკური პოლიტიკა, ეს გამოიწვევს სამეწარმეო საქმიანობის, კაპიტალდაბანდებისა და შრომის სტიმულების შემცირებას, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკური ზრდის ტემპზე და რაც მთავარია კიდევ უფრო გაღრმავდება სიღარიბის დონე. ე. ი. აუცილებელია ოქროს შუალედის მოძებნა ამგვარი პოლიტიკის განხორციელებისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური ზრდის მაღალი და სტაბილური ტემპების შენარჩუნება გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად საუბარიც ზედმეტია ქვეყნის მდგრად და უსაფრთხო სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ამასთან, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და საერთოდ, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება, ანუ ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესება თავის მხრივ შეუძლებელია ეკონომიკური ზრდის გარეშე. ამიტომ, გრძელვადიან პერიოდში შეუფერხებელი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ისეთი სოციალურ-ინსტიტუციური გარემოს ფორმირება, რომ ეკონომიკური ზრდის შედეგებიდან შედარებით თანაბარი სარგებელი მიიღოს მოსახლეობის ყველა ფენამ. **ანუ ეკონომოკური ზრდისა და ეკონომიკური პროგრესის შედეგები თანაბრად უნდა აისახოს როგორც მსხვილი ბიზნესმენების, მინისტრების, პარლამენტარებისა და ხელისუფლების ქვედა რგოლების წარმომადგენელთა ოჯახების, აგრეთვე მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის კეთილდღეობაზე.**

4. ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება

სახელმწიფოსა და საზოგადოებას (მ.შ. სამეწარმეო სექტორს) შორის თანამშრომლობის ატმოსფეროს საფუძველია საზოგადოებრივი თანხმობა, რომელიც თავის მხრივ ემყარება ხელისუფლების ლეგიტიმურობას. ამასთან, მათ შორის თანამშრომლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საზოგადოებრივი საქონლის ხარისხი, ხელისუფლების ორგანოებში არსებული ინსტიტუციური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და სტიმულები ერთობლიობაში ქმნიან ნებისმიერი სტრუქტურის, მ. შ. ხელისუფლების ორგანოების ეფექტიანი მუშაობის პირობებს.

ინსტიტუტების გაუმართაობა, ინსტიტუციური გაუმჭვირვალობა და ხელისუფლების ორგანოებში ანგარიშვალდებულებების არარსებობა ხელს უწყობს მაკროეკონომიკური და ფინანსური კრიზისების წარმოქმნა-გაღრმავებას, ვინაიდან ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებისათვის არაკეთილსასურველი გარემო პირობების ფორმირებას, ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებას, კორუფციის აყვავებასა და ა. შ.

საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა ეკონომიკური პოლიტიკის, მ.შ. ბიუჯეტურ-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმატების

უმთავრესი პირობაა. ამიტომ, აუცილებელია **ხელისუფლების ორგანოებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის არსებობა**, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია სამართლიანი არჩევნების გზით ჩამოყალიბებული წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირებაზე და მათ ეფექტიან მუშაობაზე.

მხოლოდ ინსტიტუციური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, შესაბამისად ხელისუფლების მიერ საკუთარი ფუნქციების ეფექტიანი შესრულების პირობებშია შესაძლებელი მოსახლეობის ნდობის მოპოვება და მოქალაქეების მიერ თავიანთი ვალდებულებების შესრულება, მაგალითად, გადამხდელების მიერ გადასახადების გადახდის, როგორც უმნიშვნელოვანესი სამოქალაქო ვალდებულების გაცნობიერება და გადასახადების შედარებით უმტკივნეულო გადახდა.

ამგვარად, მოსახლეობის კანონმორჩილება და გადასახადების გადახდა-არგადახდის საკითხის მიმართ გადამხდელების განწყობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია აკრეფილ გადასახადებსა და საზოგადოებრივი საქონლის ხარისხს შორის კავშირზე, აგრეთვე სამთავრობო სექტორში არსებულ ინსტიტუციურ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე.

ზემოაღმნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ბიზნესი დამოკიდებული არ უნდა იყოს ხელისუფლების ცვლაზე. ანუ ბიზნესის განვითარების საწინდრად უნდა იქცეს სახელმწიფო მართვის ინსტიტუტების დემოკრატიულობა, მათი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, აგრეთვე სამართლიანი კანონები.

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ გრძელვადიან პერიოდში წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველსაყოფად, დასაქმებულთა რაოდენობის გასადიდებლად და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად საკმარისი არ არის მხოლოდ საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა. სათანადო საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასთან და საბაზრო-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის შექმნა-განვითარებასთან ერთად აუცილებელია ბიუროკრატიული კოორდინაციის სისტემის დახვეწა-სრულყოფა, მისი სტრუქტურებისა და მათში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაცია[1],

[1] დღევანდელმა ხელისუფლებამ ამ მხრივ ნამდვილად გადადგა გარკვეული ნაბიჯები, რაც მისასალმებელი ფაქტია, ვინაიდან 10 კაცისთვის განკუთვნილ სამუშაო ადგილზე ნამდვილად არ უნდა იყოს 100 დასაქმებული, რომელთაგან სამუშაოს რეალურად მცირე ნაწილი შეასრულებს, დანარჩენები კი ჭორაობით, ყავის მოდუღება-სმითა და სიგარეტის მოწევით იქნებიან დაკავებულნი. ამ სფეროში ხელისუფლების ძირითადი პრობლემა სამუშაო ადგილების დაკომპლექტებაშია. აშკარად უვარგისია კადრების შერჩევის დღეისთვის მოქმედი კონკურსის წესები, რომელთა თანახმადაც ტესტირება გავლილ პრეტენდენტებს დამატებით უტარებენ გასაუბრებას, რომლის მიზანიც სამსახურში ნაცნობი პირების მიღებაა, რადგან ამ ეტაპზე ყველაზე ხშირად იმარჯვებენ ტესტირებაში შედარებით დაბალქულა მიღებულები, ხოლო მაღალქულიანები უმეტესწილად გარეთ რჩებიან. მათ კონკურსის ორგანიზატორები ეუბნებიან,

ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, მათი დაკომპლექტება პატიოსანი და მაღალკვალიფიცირებული, სახელმწიფოს ინტერესების დამცველი კადრებით და მათი უზრუნველყოფა შრომის ანაზღაურების სათანადო დონით. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური იდეოლოგიის შემუშავება და ეკონომიკური პოლიტიკის ტიპის შერჩევა ერის სულიერ-კულტურული ფასეულობების გათვალისწინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამოყალიბდება არა ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკა, არამედ მისი დამახინჯებული სუროგატული ფორმა: მაფიოზურ-კლანური „ბაზრული" ეკონომიკა.

5. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მართლმსაჯულების სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბება

განვითარება შეუძლებელია კერძო საკუთრების, საბაზრო ეკონომიკისა და მათთან დაკავშირებული სტიმულების გარეშე. ამასთან კერძო საკუთრების დაცვა და ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია მართლმსაჯულების სამართლიანი სისტემის, სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზისა და სათანადო ინსტიტუტების გარეშე.

მართლმსაჯულების სამართლიანი სისტემის არსებობა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში თანაბარი პირობების შექმნის საწინდარია. არასამართლიანი სისტემა კი პირიქით განაპირობებს არსებული უთანასწორობის გაღრმავებას, ვინაიდან იგი ყოველთვის და ნებისმიერ შემთხვევაში მმართველი პოლიტიკური ძალისა და ბიზნესელიტის ინტერესების დაცვას ემსახურება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლებრივმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ მთელი მოსახლეობის, მ.შ. როგორც ელიტის, აგრეთვე დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ფენების პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციო-კულტურული უფლებების დაცვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენთან საკანონმდებლო საქმიანობა ცალკეული გავლენის ჯგუფების (ხელისუფლება, მმართველი პარტია, ნომენკლატურული ბიზნესისა და ტრანსნაციონალური ბიზნესის ადგილობრივი

რომ მათი ფავორიტები უფრო შეესაბამებიან აღნიშნულ სამუშაოს, თან აიმედებენ, რომ ვაკანსიის გამოჩენის შემთხვევაში აუცილებლად პირველრიგში დაურეკავენ და დაასაქმებენ. მეგრულში არსებობს სიტყვა „გმახვეიანებელი", რაც დაახლოებით „გამაბევრებელს" ნიშნავს. სწორედ ეს როლი ენიჭება კონკურსში მონაწილეთა დაწუნებულ ნაწილს. ანუ ასეთი კონკურსების ჩატარებით ხელისუფლება ცდილობს ხალხს დაანახოს, თითქოსდა სახელმწიფო სამსახურში თანამშრომელთა მიღებისას დაცულია საჯარობისა და გამჭვირვალობის პრინციპები. სინამდვილეში კი სამსახურში ინიშნება პირადი სიმპატიისა თუ სხვა მიზეზებით (ნათესაობა, კორუფცია, პარტიული კუთვნილება და ა. შ.) წინასწარ შერჩეული პირი. ეს რომ ასე არ იყოს, ან გასაუბრების მეორე ეტაპს გააუქმებდნენ, ანდა ამ ეტაპით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გაითვალისწინებდნენ ტესტიტების პირველსავე ეტაპზეევ.

ფილიალები) მიერ არის მონოპოლიზირებული, რომლებიც სასურველი კანონების მისაღებად მიმართავენ მოსყიდვის, დაშინების, შანტაჟისა და ლობირების მეთოდებს. ამიტომ, სამართლებრივი გარემო ვერ უზრუნველყოფს ჯანსაღი კონკურენციული ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ყველა ეკონომიკური სუბიექტისათვის თანასწორი პირობების ფორმირებას.

მსხვილი ბიზნესის ნომენკლატურული წარმომადგენლებისა და ბიზნესში პირდაპირ, თუ ირიბად ჩართული ჩინოვნიკთა ინტერესების დაპირისპირება საზოგადოების ინტერესებთან განაპირობებს დანარჩენი მეწარმეების დათრგუნვას ათასგვარი ოფიციალური და არაოფიციალური შეზღუდვებით, რაც მათ არ აძლევს ნორმალური მუშაობისა და განვითარების საშუალებას, რის შედეგადაც ქვეყანაში აღინიშნება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, სიღარიბის დონის ზრდა, მოსახლეობის ყველაზე ღარიბ და ყველაზე მდიდარ ფენებს შორის შემოსავლების დონეებში განსხვავების კატასტროფული გაღრმავება. მოგებული კი რჩება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ვიწრო წრე, რომელსაც თავისი მერკანტილისტური, გაუმართლებელი და არაკანონიერი კეთილდღეობის სამსხვერპლოზე მიაქვს მთელი საზოგადოების ინტერესები, რისთვისაც, რომ არაფერი ვთქვათ საერთო-სახელმწიფოებრივი ქონებისა და შემოსავლების მითვისებაზე, მიმართვას სამართლებრივი ბოიკოტის პოლიტიკსაც (ანუ ხელს უშლის ისეთი კანონების მიღებას, რომლებიც აუცილებელია მეწარმეობის განვითარებისთვის, ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებისთვის და საერთოდ სამამულო წარმოების აღორძინებისთვის). ასეთი ვითარება განაპირობებს საზოგადოებაში არაჯანსაღი ატმოსფეროს ფორმირებას, შრომითი და მატერიალური რესურსების ქვეყნის გარეთ გადინებას, საბოლოო ანგარიშით კი ქვეყნის გაპარტახებასა და გაჩანაგებას.

ფორმალური ინსტიტუტების სათანადო დონეზე განუვითარებლობა ეკონომიკური გარემოს ხშირი ცვალებადობისა და გაურკვევლობის ძირითადი მიზეზია. ასეთ პირობებში მეწარმეთა და სახელმწიფო მოხელეთა წინაშე ფართო ასპარეზი იშლება ძალადობრივ-კრიმინალური მეთოდების გამოყენებისათვის და სუბიექტური გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც კორუფციის აყვავებისა და კრიმინალურ-მაფიოზური ეკონომიკური სისტემის ფორმირების ძირითადი წყაროა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემდგომ დახვეწასა და გამარტივებას მოითხოვს კანონები, ნორმატიული აქტები, ნორმები და პროცედურები, მათი რეალიზაციის მექანიზმები, რაც აამაღლებს მათ პრაქტიკული გამოყენების ხარისხს.

ამასთან, ერთია დახვეწილი და სრულყოფილი კანონების შემუშავება და მათი შესრულების მექანიზმების უზრუნველყოფა, მეორე კი მათი პრაქტიკაში გამოყენების სამართლიანობის მიღწევა, ანუ ყველაზე მთავარი პრობლემაა მართლმსაჯულების სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბება. ამ მიზნის მისაღწევად საკანონმდებლო ნორმების შემუშავება-სრულყოფისა და მათი შეუფერხებელი რეალიზაციისათვის აუცილებელი ინსტიტუტების[1] ფორმირების პარალელურად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინსტიტუციურ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, აღნიშნული ინსტიტუტების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების მექანიზმების შემუშავებას.

6. საბაზრო ინსტიტუტების ფორმირების დასრულება, მათი განახლება და განვითარება

საქართველოში, ეროვნული მეურნეობის რესტრუქტურიზაციის განვლილ პერიოდში, ვერ მოხერხდა საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რისი დამადასტურებელიცაა სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის ინსტიტუტების სათანადო დონეზე განუვითარებლობა და საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება, აგრეთვე მოქმედი საკანონმდებლო ნორმების რეალიზაციის ქმედითი მექანიზმების არარსებობა, რაც თავის მხრივ საკანონმდებლო ბაზის დაუხვეწაობის შედეგია. არანაკლებ დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ სოციალისტური ეკონომიკური სისტემიდან მემკვიდრეობით მიღებული მანკიერი ტრადიციების შედეგად, ეკონომიკის სუბიექტები ინერციით განაგრძობენ ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი არაფორმალური ინსტიტუტებისადმი ერთგულებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული მეურნეობის განვითარება მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერებას. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკისაგან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განსხვავების შედეგად (როგორც ხარისხობრივად, ისე თვისობრივად), ანუ ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი სასტარტო სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით, მიუღებელია დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ათეულობით და ასეულობით წლების

[1] **განსაკუთრებით საშურია ხელისუფლების ზეგავლენისაგან და პოლიტიკური კონიუნქტურისაგან დამოუკიდებელი, ძლიერი და ობიექტური სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება. სასამართლოს დანიშნულება მხოლოდ პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელის დამტკიცება, ანუ მხოლოდ ხელისუფლებასთან წინასწარ შეთანხმებული განაჩენის გამოტანა კი არ არის, არამედ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. სასამართლო სისტემისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლების მიზნით ჩვენთან ბევრი რამ არის გასაკეთებელი.**

მანძილზე, ევოლუციური განვითარების გზით ჩამოყალიბებული საბაზრო ინსტიტუტების მექანიკური დანერგვა. საქართველოში სწრაფი სტრუქტურული და ინსტიტუციური ტრანსფორმაციის მიზანია არა დასავლეთის გამოცდილების იმიტირება, არამედ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის შესატყვისი ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ეთნოფსიქოლოგიური და რელიგიური თავისებურებებისა და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გათვალისწინებით, ხელს შეუწყობენ საბაზრო მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. დასავლეთის ინდუსტრიულად დაწინაურებული ქვეყნების ინსტიტუტების იმიტაციის მაგალითს წარმოადგენს გარდამავალი ეკონომიკის საწყის ეტაპზე ჩვენთან შექმნილი მრავალრიცხოვანი „ჯიბის“ ბანკები, ბირჟები, საინვესტიციო ფონდები და მთელი რიგი სააქციო საზოგადოებები. ე.ი. საჭიროა ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომლებიც ქვეყანას გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობების დაძლევისა და განვითარების თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობას მისცემს. ამასთან, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ აუცილებელია აღნიშნული ინსტიტუტების მუდმივი განახლება და ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

ინსტიტუციური ტრანსფორმაცია სისტემური ტრანსფორმაციის შემადგენელი ნაწილია. ეს უკანასკნელი კი ითვალისწინებს საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი ცალკეული სფეროების (იდეოლოგია, სოციალური სფერო, ეკონომიკა, პოლიტიკა) ახალ შეცვლილ გარემოსთან შესაბამისობაში მოყვანას. ამასთან ეროვნული ტრადიციების გათვალისწინება ნებისმიერი სახის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური ღონისძიების წარმატების საწინდარია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს ხალხის ფართო მასების მობილიზაციასა და დარაზმვას დასახული მიზნის მისაღწევად. ე.ი. ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისთვის აუცილებელი წარმატებული ინსტიტუციური ტრანსფორმაცია შეუძლებელია ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინების გარეშე. მით უფრო, რომ საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაში და ამ მიზნით აუცილებელი ინსტიტუტების ფორმირებაში, სახელმწიფოსთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციო-კულტურული ფაქტორები, კერძოდ: ტრადიციები, საზოგადოებაში გაბატონებული ზნეობრივი ნორმები და საქმიანი ჩვეულებები, ანუ არაფორმალური ინსტიტუტები.

ამგვარად, საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მოდერნიზაცია საქართველოში უნდა განხორციელდეს ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით, ანუ მოდერნიზაცია აუცილებელია ადაპტირებულ იქნას ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელ რელიგიურ-ზნეობრივ და კულტურულ ფასეულობებთან.

პარალელურად საჭიროა მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნეობის, სახელმწიფოს, ჯანსაღი ტრადიციებისა და ხელოვნების როლის ამაღლება ეროვნული თვითშეგნების ფორმირება-განმტკიცებაში. ამასთან მიზანშეწონილია უცხოური კულტურის იმ „საუკუთესო ელემენტების შეთვისება და გამოყენება საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის გასამყარებლად“ (26, გვ. 57), რომლებიც წინააღმდეგობაში არ არიან ეროვნული თვითგანსაზღვრულობის შემადგენელ კომპონენტებთან (რელიგია, კულტურა, ჯანსაღი ტრადიციები, ადათ-წესები და ა.შ.). მხოლოდ ასეთ პირობებში მიიღწევა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიზანი - უახლოესი მომავლისთვის ეროვნული ინტერესების შესატყვისი, ეფექტიანი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირება, რომელშიც შესაძლებელი იქნება ცალკეული ინდივიდებისა და მთლიანად მთელი საზოგადოების ჯანსაღი მოთხოვნილებების (კულტურული, სოციალური, მატერიალური, პოლიტიკური, უსაფრთხოების) მაქსიმალური დაკმაყოფილება მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების სტანდარტების შესაბამის დონეზე.

მწარმოებლური ძალების განახლებისა და განვითარების კვალდაკვალ ეკონომიკური ურთიერთობებისა და საბაზრო ინსტიტუტების ადექვატური განახლება უზრუნველყოფილ უნდა იქნას ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების მაქსიმალური გათვალისწინებით. ინსტიტუტების განვითარება-სრულყოფა კი აუცილებელია იმიტომ, რომ იგი იწვევს სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებას. როგორც წესი, ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ინსტიტუტებს გააჩნიათ კონსერვატიული ხასიათი და მაღალი ინერციულობით ხასიათდებიან. ამიტომ, **ქვეყანაში უნდა შეიქმნას სტაბილური, მაგრამ გარემო პირობების ცვლილებისას სწრაფი გარდაქმნისა და ადაპტირების უნარის მქონე ორგანიზაციული სტრუქტურები, სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტები.**

აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ინსტიტუციური ინოვაციების წახალისება, ანუ საჭიროა ახალი, უფრო პროგრესული და ეფექტიანი მეთოდების, მექანიზმებისა და წესების შემუშავება-დანერგვის წახალისება ისეთ სფეროებში, როგორიცაა:

– ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვა და რეგულირება;

– ფირმებს შორის, აგრეთვე ფირმებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობები;

– ფირმების დონეზე შრომისა და წარმოების ორგანიზაცია და მართვა და ა. შ.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საფინანსო სისტემის შემდგომი განვითარება, მათი საიმედობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება.

7. სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაცია[1]

სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციის სფეროში პრიორიტეტულია:

– სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დახვეწა-ოპტიმიზაცია;

– სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლებისა და საკუთრების უფლების რეალური გარანტიების შექმნა;

– კერძო საკუთრების ლეგიტიმურობის ხარისხის ამაღლება. საკუთრების უფლების დაბალი ლეგიტიმურობა გამოწვეულია 1991-92 წლების ტრაგიკული მოვლენების შემდეგ საკუთრების განუკითხავი მიტაცება-მითვისებით. **კერძო საკუთრების ლეგიტიმურობის ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელია მისი ლეგალიზება-დაკანონება ქონებრივი უფლების სფეროში საყოველთაო ამნისტიის საფუძველზე. ხოლო საკუთრების აშკარად კრიმინალური გზით მოპოვების თითოოროლა შემთხვევებში მათი ლეგალიზება-დაკანონებისა, თუ ჩამორთმევის საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლოს მეშვეობით, ყველა პროცესუალური ნორმისა და ეტაპის გათვალისწინებით.**

– ანტიმონოპოლიური ღონისძიებებისა და რეალურ ცხოვრებაში მათი რეალიზაციისათვის აუცილებელი მექანიზმების შემუშავება;

– სახელმწიფო-ბიუროკრატიული რეკეტის აღმოფხვრა. მეწარმეთათვის დამალული გადასახადების გადახდევინება არა გაურკვეველი წარმოშობის ფონდებში, არამედ ბიუჯეტში, ვინაიდან მთავრობის ასეთი მოქმედება იწვევს მეწარმეთა ფენაში და მთლიანად საზოგადოებაში ნიჰილისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას სამართალკანონიერებისადმი და ეჭვქვეშ აყენებს კანონის უზენაესობას;

– ოპტიმალური საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტს საჭირო რაოდენობის სახსრებით და უდეფიციტოს

[1] **სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციის ქვეშ არ ვგულისხმობთ: სამეწარმეო საქმიანობის სფეროში სრულ განუკითხაობას; აღნიშნული საქმიანობის დასაწყებად გათვალისწინებული პროცედურების ისეთ გამარტივებას, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე, ეკოლოგიურად საშიში პროდუქციის წარმოებასა და გავრცელებას; იმპორტის ტოტალურ წახალისებას; პუი-ის სახით პოლიტიკური და/ან საეჭვო წარმოშობის კაპიტალის შეუზღუდავ შემოსვლასა და ადგილობრივი ბიზნესის ხარჯზე უცხოურის წახალისებას; ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას; ეროვნული ბანკის (ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის) ნგრევას; დაქირავებული მუშახელის დამამცირებელი და დამამონებელი შრომითი კანონმდებლობის შემუშავებასა და ა. შ.**

გახდის მას, პარალელურად კი სასურველ გავლენას მოახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.

ამრიგად, სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციისა და მისი გააქტიურებისათვის, აგრეთვე უახლოეს მომავალში ბიუჯეტის შემოსავლების არსებითი ზრდისათვის განსაკუთრებით აუცილებელია:

ა) **საგადასახადო კოდექსის გამარტივება. იგი თავიდან უნდა დაიწეროს გასაგები და კარგად გამართული ენით. მისი ცალკეული მუხლები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. არ უნდა იყოს ბუნდოვანი და ორაზროვანი, ანუ არ უნდა იძლეოდეს ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას.** საგადასახადო კოდექსის სირთულე იწვევს მათ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დანახარჯების ზრდას, რაც დამატებით ტვირთად აწვება მეწარმეებს (განსაკუთრებით კი წვრილ მეწარმეებს.) ამასთან, აუცილებელია საგადასახადო სისტემის ნეიტრალურობის უზრუნველყოფა. იგი გადამხდელების მიმართ უნდა გახდეს რეალურად ნეიტრალური, ანუ შეღავათები სასურველი არ არის (გარდა მცირე ბიზნესისთვის გათვალისწინებული შეღავათებისა), ვინაიდან მისით ძირითადად სარგებლობენ მდიდრები (ნომენკლატურული ბიზნესისა და ბიზნესში პირდაპირ თუ ირიბად ჩართული ხელისუფლების წარმომადგენლები) და არა ღარიბები.

ეკონომიკის სუბიექტების მიერ საგადასახადო ვალდებულებებისგან თავის არიდება არარიდებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საგადასახადო ტვირთის სიმძიმეც, ანუ ის თუ რამდენად სამართლიანია მისი სიდიდე. ამიტომ, საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის მიზნით უნდა შეირჩეს ისეთი საგადასახადო ინსტრუმენტები და შემოსავლების მობილიზაციის ისეთი პრინციპები, რომლებიც სამართლიანობის დაცვის პარალელურად მინიმუმამდე შეამცირებენ ეფექტიანობასთან დაკავშირებულ დანაკარგებს.

ბ) საგადასახადო განაკვეთების ერთჯერადი ან ეტაპობრივი შემცირება, რა თქმა უნდა მოსალოდნელი ეკონომიკური და ფინანსური შედეგების გათვალისწინებით. უპირველეს ყოვლისა, დღგ-ს განაკვეთის 18%-დან 10-12%-მდე ერთჯერადი, ან 3-4 წლის მანძილზე ეტაპობრივი შემცირება, წელიწადში 2 პროცენტული პუნქტის ფარგლებში. მოგების გადასახადის განაკვეთის 12 %-მდე ერთჯერადი შემცირება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სოციალური გადასახადის განაკვეთის არსებითი შემცირებაც. არსებული ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2008 წლის 1 იანვრიდან, დარიცხული ხელფასიდან გამოსაქვითი საშემოსავლო გადასახადის 12%-იანი განაკვეთისა და დარიცხული ხელფასის მიმართ

სოციალური გადასახადის 20 %-იანი განაკვეთის ნაცვლად, რომელსაც იხდის მეწარმე, შემოდის ერთიანი გადასახადი – 25 %-იანი განაკვეთით. თუმცა ეს არანაირ შედავათს არ აძლევს მეწარმეებს, რადგან განსხვავება უმნიშვნელოა. ასე მაგალითად, თუკი დასარიცხი ხელფასი შეადგენს 1000 ლარს, მაშინ დღეს მოქმედი კანონმდებლობით საშემოსავლო გადასახადი 120, ხოლო სოციალური გადასახადი 200 ლარია. შესაბამისად, ხელზე გასაცემი ხელფასი 880 ლარია, ხოლო ერთობლივი გადასახადი 320 ლარი, ანუ ეს უკანასკნელი შეადგენს ხელზე გასაცემი ხელფასის 36,37 %-ს. თუკი ხელზე გასაცემ ხელფასს ავიღებთ 880 ლარის ტოლად, მაშინ ერთიანი 25 %-იანი საგადასახადო განაკვეთის პირობებში დასარიცხი ხელფასი იქნება 1173,3 ლარი. აღნიშნული განაკვეთით დასარიცხი გადასახადი იქნება 293,3 ლარის ტოლი. ეს უკანასკნელი კი შეადგენს ხელზე გასაცემი ხელფასის – 33,3 %-ს. ე.ი. აღნიშნული საგადასახადო ტვირთი მცირდება მხოლოდ 36,37%-დან 33,3%-მდე, ანუ 3,1%-ით, რაც ნამდვილად არ წარმოადგენს მნიშვნელოვან შეღავათს მეწარმეებისათვის.

მეწარმის მხრიდან დასაბეგრი თანხის ხელოვნურად შემცირებისა და დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით წარმოების ეკონომიკური განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრები მკაცრად უნდა დაუკავშირდეს მეწარმის განკარგულებაში დარჩენილ მოგებას. აღნიშნული სახსრები სასურველია აგრეთვე დაუკავშირდეს საყოველთაო ამნისტიის საფუძველზე ლეგალიზებულ ქონებას, რაც ხელს შეუწყობს ქონების ლეგალიზების პროცესს. ამასთან, ამ ღონისძიების განხორციელებამდე აუცილებელია საქართველოს ეკონომიკური სუბიექტების განკარგულებაში არსებული არალეგალური ქონების უპირობო დაკანონება (ცალკეული, თითოოროლა შემთხვევის გარდა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი) და ამ გზით მისი ლეგალიზების ხელშეწყობა.

გ) საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაცია დასაბეგრი შემოსავლის, პროდუქციის სახეობისა და\ან რეგიონების მიხედვით. ასე მაგალითად, სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია დღგ-ის დიფერენციაცია პროდუქციის სახეობის მიხედვით, ხოლო მოგების გადასახადისა – შემოსავლებისა და რეგიონების მიხედვით;

დ) შემხვედრი შემოწმების პროცედურების გამარტივება;

ე) პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების კონტროლის გამიჯვნა;

ვ) ირიბი გადასახადებისათვის უფრო პროგრესული ხასიათის მინიჭება, ძირითადად ფუფუნების საგნებზე აქციზური გადასახადების ამაღლების გზით;

ზ) პირდაპირი გადასახადების როლის ამაღლება. ამ მიზნით საგადასახადო ბაზის გაფართოებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი და სოციალურად დაუცველი ფენების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინების პირობებში.

თ) გადასახადის გადახდის საყოველთაობის პრინციპის რეალურ ცხოვრებაში განხორციელება. ჩვენთან გადასახადების კეთილსინდისიერი გადამხდელები განწირულნი არიან გაკოტრებისათვის, რადგან მკაცრ და უშედავათო ზეწოლას განიცდიან ბიზნესში ჩართული ჩინოვნიკებისა და ხელისუფლების ამა თუ იმ შტოსთან შეზრდილი ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან. შესაბამისად, ისინი თავს დაცულად ვერ გრძნობენ არაკეთილსინდისიერ გადამხდელებთან კონკურენციულ ბრძოლაში, რაც მათ აიძულებს თვითონაც თავი შეიკავონ გადასახადების გადახდისაგან. ამითაა განპირობებული ის, რომ ჩვენთან არც ერთი ბიზნესმენი არ გრძნობს მორალურ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე.

საქართველოში, ბოლო დრომდე, დაუცველი ფირმები, რომლებსაც არ ჰყავდათ მფარველები ხელისუფლების ზედა ეშელონებში, არსებობას ახერხებდნენ საგადასახადო სამსახურებთან კორუფციული გარიგებების ხარჯზე. დღეისთვის ასეთი პრაქტიკა, როგორც ხელისუფლება ამბობს, მინიმუმამდე შემცირდა. თუმცა ამან დაუცველი ფირმების მდგომარეობა გაუმჯობესების ნაცვლად კიდევ უფრო გაუარესა, ვინაიდან ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებიც იმყოფებიან ხელისუფლების ზედა ეშელონების წარმომადგენლების მფარველობის ქვეშ, თავს არიდებენ გადასახადების გადახდას. შესაბამისად ღრმავდება უფრსკული პირველი და მეორე კატეგორიის ბიზნესმენების მიერ მიღებული შემოსავლებსა შორის, რის შედეგადაც ხელისუფლების ორგანოებთან შორს მდგომი ბიზნესმენები განწირულნი არიან გაკოტრებისათვის. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან ან თავი დაანებონ სამეწარმეო საქმიანობას, ან მნიშვნელოვანი წილები გადაუფორმონ ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათ ახლობლებს, ან უკიდურეს შემთხვევაში უცხოეთში გაიტანონ საკუთარი ბიზნესი.

პატიოსანი მეწარმეების დასაცავად ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან, აუცილებელია ხელისუფლების ნებისმიერი შტოს წარმომადგენლის, ან მათთან დაახლოებული ბიზნესმენების მიერ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების წინააღმდეგ მკაცრი ზომების განხორციელება, ვინაიდან მათ მიერ

გადასახადის გადაუხდელობა, გარდა პატიოსანი გადამხდელებისათვის მიყენებული ზემოაღნიშნული ზიანისა, ცუდი ზნეობრივი მაგალითია მთელი საზოგადოებისათვის.

ამასთან, უნდა შეიქმნას ისეთი ბიზნეს გარემო, რომლის პირობებშიც სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის წარმატება დამოკიდებული იქნება არა ხელისუფლების ცვლაზე, არა მის მაღალ ეშელონებთან სიახლოვეზე, არამედ სტაბილურ კანონებსა და ინსტიტუტებზე, მართლმსაჯულების სამართლიან სისტემაზე.

ამრიგად, აუცილებელია საგადასახადო სისტემა რეალურად სამართლიანი გახდეს ეკონომიკური სუბიექტების მიმართ, ანუ საგადასახადო რეჟიმი ყველასათვის საერთო უნდა გახდეს. არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია იმასაც, რომ გადამხდელებს ეჭვი არ უჩნდებოდეთ მათ მიერ გადახდილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაში, ანუ საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანობაში.

ზ) ურჩი გადამხდელების მიმართ საჯარიმო სანქციების გამკაცრება და საგადასახადო სამსახურის თანამშრომელთა წახალისების მიზნით, მათ მიერ გამოვლენილი და ამოღებული თანხებიდან პრემირების სისტემის დანერგვა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ასეთი სისტემის დანერგვა მიზანშეწონილია მხოლოდ ძლიერი, დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლოს პირობებში.

საგადასახადო დისციპლინის გამკაცრებისაკენ მიმართული ნებისმიერი ღონისძიება საგადასახადო განაკვეთების ეტაპობრივი შემცირების გარეშე გამოიწვევს ქვეყნის ფინანსურ სისტემაში კორუფციის შემდგომ აყვავებასა და სამეწარმეო აქტიურობის დაცემას.

3-4 წლის მანძილზე დღგ-ის განაკვეთის ყოველწლიურმა შემცირებამ **2 პროცენტული პუნქტის** ფარგლებში **შეიძლება** გამოიწვიოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ყოველწლიური შემცირება დაახლოებით **4-5%-ით** და ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების ყოველწლიური შემცირება დაახლოებით **3-4%-ით.** შესაბამისად, საჭირო იქნება ბიუჯეტის ხარჯების შემცირებაც (ეკონომიკური ზრდის ბოლო წლებში დაფიქსირებული მაღალი ოფიციალური ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში, მოსალოდნელია ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ნაკლები ტემპით შემცირება, ან შეიძლება იგი საერთოდ არ შემცირდეს). ზემოაღნიშნული ღონისძიებების კომპლექსური განხორციელება, და ამის პარალელურად სამეწარმეო საქმიანობის წახალისებისა და დაზღვევის სპეციალური ფონდების, კერძოდ

„საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარების ფონდის“ შექმნა[1], სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის კეთილსასურველი მაკროეკონომიკური გარემოს ფორმირება, ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპის შესაბამისი ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნების დაჩქარება შედარებით უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის გამოიწვევს სამეწარმეო საქმიანობის გააქტიურებას, პროდუქციის გამოშვების გადიდებასა და დასაბეგრი ბაზის გაფართოებას, რაც იმავდროულად გამოიწვევს ბიუჯეტის შემოსავლებისა და დანახარჯების მნიშვნელოვან ზრდას. ამასთან, დროთა ვითარებაში, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებასთან ერთად სახელმწიფოს საგადასახადო განაკვეთების გადიდებისა და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი პროგრამების დაფინანსების შესაძლებლობაც მიეცემა.

8. ბაზრების ეფექტიანობის ამაღლება და კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავება

შესაძლებლობებისა და შედეგების განაწილების საბაზრო სისტემა მხოლოდ კონკურენციაში გამარჯვებულს სწყალობს. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს პოლიტიკურ-ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაცია საზოგადოების ვიწრო ჯგუფის, ე. წ. მონოპოლისტების ხელში, ვინაიდან იგი განაპირობებს საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი უარყოფითი ეფექტების, მ. შ. ბაზრების გაუმართაობის გაძლიერებას. ამიტომ, დაუშვებელია პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების უზურპაცია საზოგადოების რომელიღაც მცირერიცხოვანი, მაგრამ გავლენიანი და შეძლებული ჯგუფის (ზოგად-ზნეობრივი თვალსაზრისით, განსაკუთრებით შემაშფოთებელია ეკონომიკური კაპიტალის კონცენტრაცია ხელისუფლების წარმომადგენელთა ხელში, რაც ცალკე საუბრის თემაა) მიერ, ვინაიდან ასეთი მდგომარეობა აუცილებლად გამოიწვევს მათი ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარებას, შესაბამისი ინსტიტუტების ფორმირებას, უთანასწორობის შემდგომ გაღრმავებასა და რესურსების არამწარმოებლურ გამოყენებას.

ბაზრების გაუმართაობის შედეგად რესურსები ხშირად მიიმართება არა იქ, სადაც მაქსიმალური უკუგებაა მოსალოდნელი, რაც იწვევს მათ არაეფექტიან გამოყენებასა და მნიშვნელოვან დანაკარგებს. ასე მაგალითად, სათანადო

[1] მსგავსი დანიშნულების მკაცრად სტრუქტურიზებული და ორიენტირებული ფონდების დაფინანსება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მათი დაფინანსების ერთ-ერთ წყაროდ უნდა იქცეს აგრეთვე სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავალი. ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია სახელმწიფო ბიუჯეტი ნაბიჯ-ნაბიჯ გარდაიქმნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ბიუჯეტად. მასში, მიმდინარე ხარჯებთან ერთად, სულ უფრო მეტად უნდა იქნეს გათვალისწინებული კაპიტალური ხარჯებიც.

განათლებას ვერ ღებულობენ დაბალშემოსავლიანი ფენების უნარიანი და ნიჭიერი წარმომადგენლები, სათანადო რესურსების უკმარისობის შედეგად საჭირო ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებათ მცირე და საშუალო ფირმებს, არაჯანსაღი კონკურენცია კი ახშობს „ატომიზირებული“ სუბიექტების კერძო ინიციატივას. და ა. შ.

ბაზრების არასრულყოფილება ინფორმაციის ასიმეტრიულობისა და ვიწრო ჯგუფის ხელში მონოპოლიზების, გარკვეული სტერეოტიპების ცრურწმენის რანგში აყვანის, ბიუროკრატიისა და ნომენკლატურული ბიზნესის ურთიერთშერწყმის მიზეზიცაა და შედეგიც.

ბაზრების არასრულყოფილების ერთ-ერთი მიზეზი, საკანონმდებლო ბაზის დაუხვეწაობასთან და სათანადოდ გამართული ინსტიტუტების არარსებობასთან ერთად, ძირითადი ინფრასტრუქტურის (ენერგეტიკა, სატრანსპორტო-საკომუნიკაციო, კავშირგაბმულობა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ა. შ.) განუვითარებლობაა. განუვითარებელი ინფრასტრუქტურა იწვევს ბაზრებისაგან იზოლაციას და ამუხრუჭებს წარმოების პროცესს, ამიტომ მისი განვითარება, რაც განსაკუთრებით საშურია ღარიბ რეგიონებში, წარმოების აღორძინების აუცილებელი პირობაა. პარალელურად აუცილებელია დაბალშემოსავლიანი ფენების შესაძლებლობების ამაღლება ინფრასტრუქტურის სარგებლობაში, რაც გამოიწვევს მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და მათი საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლებას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ფინანსური სისტემის განვითარებას, ამ სფეროში კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავებას, შეღავათიანი კრედიტების მიღებისას პრიორიტეტულ დარგებში დასაქმებული მცირე და საშუალო ბიზნესისათვის შეზღუდვებისა და ბარიერების მოსპობას, რაც ხელს შეუწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას მთელი ქვეყნის მაშტაბით.

ეკონომიკური განვითარების ძირითად ფაქტორად უნდა იქცეს კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავება, თანაც ინოვაციების საფუძველზე კონკურენცია, ანუ სამეცნიერო გამოკვლევების, ახალი ტექნოლოგიების, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ახალი თანამედროვე მეთოდების საფუძველზე კონკურენცია, რაც სამეწარმეო აქტივობის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ინოვაციების საფუძველზე კონკურენცია, და არა კონკურენცია სამთავრობო მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ფირმებს აიძულებს მიიღონ კონკურენტუნარიანი გადაწყვეტილებანი სამეწარმეო საქმიანობის სფეროში. დღესდღეობით საწარმოები პრაქტიკულად არ ახორციელებენ სამეცნიერო-

კვლევით სამუშაოებსა და სიახლეების დანერგვას, რაც საბოლოო ანგარიშით აისახება მათი საქმიანობის შედეგებზე. სათანადო სახსრების უქონლობასთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ინოვაციების შეუფასებლობა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში და ქვეყანაში წლების მანძილზე ჩამოყალიბებული მენტალიტეტი, რომლის თანახმადაც უფრო მნიშვნელოვანია მთავრობის მხარდაჭერის მოპოვება. შესაბამისად, ხშირად ყოვლგვარი დასაშვები, თუ დაუშვებელი მეთოდებით მიმდინარეობს არაჯანსაღი კონკურენცია ხელისუფლების მხარდაჭერის მოსაპოვებლად და შემდეგ მის გამოსაყენებლად კონკურენტების ჩასაძირად და საკუთარი ბიზნეს-ინტერესების განხორციელებისათვის.

ინოვაციების საფუძველზე კონკურენციის წახალისება კი ხელს შეუწყობს ფირმების მიერ სიახლეთა ინტენსიურ დანერგვას, რაც წარმოებისა და მთლიანად ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდის, შესაბამისად კი შეუქცევადი ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობაა.

9. სამამულო წარმოების მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება როგორც შიდა, აგრეთვე საერთაშორისო ბაზარზე

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია სათანადო მატერიალური ბაზის ფორმირება. შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკისა და ისეთი სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას, რომელიც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ამ გზით მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლება და კონკურენტუნარიანი უპირატესობის მოპოვება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც იგი ეკონომიკური ზრდის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის ძირითადი ფაქტორები და წყაროებია:

– ეკონომიკურ-გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობა;

– რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური, სანედლეულო და ა. შ.) არსებული პოტენციალი;

– კულტურული მემკვიდრეობა და ტრადიციები, შრომისადმი და ბიზნესისადმი დამოკიდებულება, შრომის დისციპლინა და ა. შ.;

– საგანმანათლებლო-სამეცნიერო პოტენციალი;

– პოლიტიკური წყობა და მართვის მეთოდები;

– ეკონომიკური განვითარების დონე და ა.შ.

აღნიშნული ფაქტორებსა და წყაროებზე დაყრდნობით ყალიბდება ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა და შედარებითი უპირატესობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

საქართველოს ეკონომიკაში, შედარებითი უპირატესობების გამოვლენის პროცესი და შესაბამისად, დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებები ჯერჯერობით, პრაქტიკულად თვითდინებაზეა მიშვებული: საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები მთლიანად დამოკიდებულია ბაზრის უხილავი ხელის მოქმედებაზე, ანუ აღნიშნული სტრუქტურის ფორმირება მიმდინარეობს ბიოლოგიური ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი შერჩევის მკაცრი პროცესის ზეგავლენით.

სელექციის პროცესში კი, როგორც ცნობილია არსებობას აგრძელებენ ის ბიოლოგიური ორგანიზმები, რომლებიც მკაცრი კონკურენციის პირობებში გამოავლენენ გარემო პირობებთან შეგუების უნარს. თვითდინებაზე მიშვებისა და სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან ჩაურევლობის შემთხვევაში, ანალოგიური პროცესებით განისაზღვრება სოციალური ორგანიზმებისა და სტრუქტურების ცხოველმყოფელობა და განვითარებაც, რაც ერთი შეხედვით დადებითი მოვლენაა, ვინაიდან არსებობას გააგრძელებენ და განვითარდებიან ის სოციალური ორგანიზმები და სტრუქტურები, რომლებიც მკაცრი კონკურენციის პირობებში გამოავლენენ კონკურენტუნარიანობას და გამოიმუშავებენ იმუნიტეტს გარემო პირობებთან მიმართებაში. მაგრამ ასეთი მიდგომა მიუღებელია საქართველოს ფორმირების პროცესში მყოფი ეკონომიკის პირობებში, იმდენად, რამდენადაც ეს პროცესი ხორციელდება საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სრული ლიბერალიზაციისა და უცხოური კომპანიებისა და პროდუქციის მხრიდან ყოველგვარ გონივრულ ზღვარს გადაცილებული ტოტალური კონკურენციის პირობებში. აღნიშნული პროცესი, სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის შემთხვევაში შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს და/ან ეროვნული ინტერესებისათვის (ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება) მიუღებელი დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებით დამთავრდეს.

ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების პროცესში სახელმწიფოს ჩარევის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ესა თუ ის თაობა წარმოების ისეთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს, როგორიცაა: კვალიფიციური

მუშახელი, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა, ხშირად მემკვიდრეობით კი არ ღებულობს, არამედ თავდაუზოგავი შრომისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგად, რაშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი, მისი უნარი წაახალისოს და ხელი შეუწყოს ეფექტიანი საწარმოო პოტენციალის ფორმირებას.

მართალია ქვეყნის სპეციალიზაციას ძირითადად განსაზღვრავს შედარებითი უპირატესობა ამა თუ იმ ტრადიციული პროდუქციის წარმოებაში, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია ხელისუფლების მიზანმიმართულ გრძელვადიან ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია შეფარდებითი უპირატესობის მოპოვება სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელი ზოგიერთი მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოების სფეროში. **გასათვალისწინებელია ის, რომ ბიზნესის არჩევანი დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის ბუნებრივ შეფარდებით უპირატესობაზე ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაში, არამედ აგრეთვე მთავრობის მიერ პრიორიტეტების განსაზღვრაზე, შესაბამისი სტიმულებისა და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე.**

შეიძლება ეკონომიკაში წლების მანძილზე აღინიშნებოდეს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, მაგრამ მისი კონკურენტუნარიანობა არ გაიზარდოს, თუკი ეს განვითარება ხორციელდება მხოლოდ ექსტენსიური ფაქტორების ხარჯზე, ანუ თავისუფალი ბუნებრივი, შრომითი და მატერიალური რესურსების, რომლებიც განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი ღრმა ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში, წარმოებაში ჩაბმის ხარჯზე, რაც განაპირობებს იაფი და ტექნოლოგიურად შედარებით მარტივი პროდუქციის წარმოებას. ამიტომ, მაღალხარისხიანი, ტექნოლოგიურად რთული და ძვირადღირებული პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორების წარმოების პროცესში ჩართვის გაფართოება და ამ გზით გაწეული დანახარჯების ეფექტიანობის ამაღლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა დაკარგავს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის იმ ხარისხსაც კი, რომელიც განპირობებულია კრიზისის შემდგომ პერიოდში იაფი რესურსების არსებობით.

ამრიგად, საქართველოში პროდუქციის გამოშვების გადიდება დღეისთვის შესაძლებელია მიღწეულ იქნას თავისუფალი შრომითი რესურსების წარმოებაში ჩაბმისათვის უპირატესობის მინიჭების გზით (განვითარების ექსტენსიური გზა), მაგრამ ეს გააძლიერებს ქვეყნის ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას, მარტივი და იაფფასიანი პროდუქციის წარმოებაზე საბოლოოდ სპეციალიზაციასა და გამოიწვევს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შემდგომ დაცემას. ამიტომ განვითარების ექსტენსიური გზის პარალელურად, არანაკლები, უფრო მეტიც,

განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკური განვითარების ინტენსიურ გზას, ანუ რესურსების მაღალმწარმოებლურ გამოყენებას, რაც მოითხოვს უახლესი და რთული ტექნოლოგიების წარმოებაში დანერგვის ხელშეწყობას. ეს ორმაგად მომგებიანი იქნება:

– ჯერ ერთი, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა იწვევს წარმოების პროდუქტიულობის ზრდას, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით წაახალისებს ტექნოლოგიურ ინოვაციების, წარმოებისა და დასაქმების ზრდას.

– მეორე, საქართველო მცირერიცხოვანი ქვეყანაა. გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში უახლოეს მომავალში მთელი სიმწვავით წამოიჭრება შრომითი რესურსების დეფიციტის პრობლემა, ამიტომ საჭიროა თადარიგის წინასწარ დაჭერა, ანუ მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებაზე სპეციალიზაციისათთის საფუძვლების დაუყოვნებლივ ჩაყრა. მით უფრო, რომ როგორც თეორიაშია აღიარებული და როგორც პრაქტიკამაც დაამტკიცა წარმოების პროდუქტიულობის, მ. შ. შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოადგენს პროდუქციის გამოშვების ზრდისა და უმუშევრობის შემცირების (დასაქმების ზრდის) აუცილებელ პირობას, ვინაიდან ქმნის სათანადო სტიმულებს წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის.

საქართველოს ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მატერიალური წარმოების სფერო ხასითდება დაბალი პროდუქტიულობით და მარტივი, იაფფასიანი პროდუქციის წარმოებაზე ორიენტაციით. როგორც წესი, სხვა თანაბარ პირობებში, რაც უფრო მაღალია წარმოების პროდუქტიულობა და რაც უფრო მაღალტექნოლოგიურ და ძვირადღირებულ პროდუქციას აწარმოებს ქვეყანა, მით უფრო მაღალია მისი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა როგორც საშინაო, აგრეთვე საერთაშორისო არენაზე. საქართველოში წარმოებული პროდუქცია (საუბარია სამრეწველო წარმოების პროდუქციაზე) არა მხოლოდ ტექნოლოგიური სირთულის მიხედვით, არამედ ხარისხობრივი მახასიათებლების მიხედვითაც ხშირად მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც განვითარებული, აგრეთვე მთელი რიგი განვითარებადი ქვეყნების მიერ გამოშვებულ პროდუქციას, რაც ძირითადად გამოწვეულია როგორც ფიზიკურად, აგრეთვე მორალურად გაცვეთილი კაპიტალის გამოყენებითა და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით. სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობას კიდევ უფრო აუარესებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსების ამაღლებაც. ასეთ პირობებში წარმოების გადიდების, მათ შორის ექსპორტის წახალისებისა და ზოგიერთი იმპორტჩანაცვლებადი წარმოების განვითარების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწარმოებლურობის ამაღლება, ანუ

პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების შემცირება და პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება, რაც მოითხოვს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. მხოლოდ ამ გზითა შესაძლებელი რეალური გაცვლითი კურსის ამაღლებით გამოწვეული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის შემცირების კომპენსაციაც.

სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, რა თქმა უნდა, აუცილებელია მაქსიმალურად ხელი შეეწყოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას იმ დარგებში, რომლებშიც ქვეყანას გააჩნია ფარდობითი უპირატესობა, რაც არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების საწინდარია. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს წარმატებული მონაწილეობა შეუძლია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის ტრადიციული სექტორების, აგრეთვე ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების (როგორც გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივების მქონე დარგის) განვითარების ხარჯზე.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თანამედროვე ინდუსტრიულ დარგების, როგორც ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების განმსაზღვრელი სექტორების, აღორძინებასა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნულ სფეროებში ინოვაციებისა და ახალი, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის წახალისება.[1] **მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის და რაც მთავარია, ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქ-ტიული წარმოების სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების ვიწრო სპექტრის (2-3 დარგის ან ქვედარგის) განსაზღვრა და მათი განვითარების ხელშეწყობა.** ის თუ, კონკრეტულად რომელ დარგებზე მოხდეს ორიენტაცია (საუბარია მაღალპროდუქტიულ და მაღალტექნოლოგიური დარგებიდან რამდენიმე მიმართულების არჩევაზე) უნდა გახდეს მსჯელობისა და საზოგადოებრივი კონსესუსის შედეგი. სასურველია ისეთი დარგებისა, თუ ქვედარგების შერჩევა, რომლებსაც გააჩნიათ გრძელვადიან პერიოდში განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის პერსპექტივები (მაგალითად ასეთი პერსპექტივები გააჩნია ისეთ ახალ დარგს, როგორებიცაა სატელოკომუნიკაციო მოწყობილობების, აგრეთვე ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოების სფეროს), რაც პროდუქტიულობის გრძელვადიანი ზრდის გარანტიაა. ე. ი. ტრადიციულ დარგებთან ერთად, ყურადღება უნდა

[1] **ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად საჭიროა ქვეყანა აწარმოებდეს ყველა დონის სირთულის (დაბალ, საშუალო და მაღალტექნოლოგიურ) სამრეწველო საქონელს.**

გამახვილდეს ახალი სიცოცხლისუნარიანი, მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაზე.

ზემოაღნიშნული დარგების განვითარების ხელშეწყობა თავის მხრივ გამოიწვევს მათი მონათესავე და მხარდამჭერი დარგების, ეგრეთწოდებული კლასტერების მეტნაკლები განვითარების წახალისებასაც და რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს სხვა დარგების განვითარებასაც. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებულ მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ვიწრო პროფილის 4-5 სექტორის განვითარებაზე, ხასიათდებიან ეკონომიკის საკმაოდ მაღალი დივერსიფიკაციით. ასე მაგალითად, მათ ექსპორტში 10 დასახელების ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქციის ხვედრითი წილი ძირითადად მერყეობს 40%-დან 60%-მდე (31, გვ. 231-254).

მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოება ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განსაზღვრული მოცულობის აუცილებელი იმპორტული პროდუქციის შესაძენად გაიღოს სამამულო პროდუქციის შედარებით ნაკლები მოცულობა და შესაბამისად, მის შესაძენად გასწიოს შედარებით ნაკლები მოცულობის რეალური დანახარჯები, ანუ, რაც იგივეა, საკუთარი საექსპორტო პროდუქციის ზემოაღნიშნული ნაწილის სანაცვლოდ მიიღოს იმპორტული პროდუქციის შედარებით მეტი რეალური მოცულობა.

ე. ი. საგარეო დაქვემდებარების თავიდან ასაცილებლად, ტრადიციული დარგების დამატებით (საუბარია სოფლის მეურნეობაზე, კვების მრეწველობაზე. ამასთან, დაუშვებლად მიგვაჩნია ტურიზმის სფეროს პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარება და ქართველი ერის ტურისტების მომსახურე პერსონალად ქცევაზე ორიენტაციის აღება, რასაც ხშირად გვირჩევენ უცხოელი ექსპერტები და რასაც რეალურად ახორციელებს ჩვენი ხელისუფლება. თუ ქვეყანა მოღონიერდება და ეკონომიკურად გაძლიერდება, მაშინ აღნიშნული სფერო თავისთავად განვითარდება, მაგრამ არა როგორც ქართული ეკონომიკის სახე, არამედ როგორც მისი განვითარების პროდუქტი) ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს შედარებითი უპირატესობის მოპოვებისაკენ ისეთი მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოებაში, რომელიც მოითხოვს ინტელექტუალური კაპიტალისა და მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას. შესაბამისად უნდა წახალისდეს ინტელექტევადი პროდუქციის წარმოება, წარმოებაში მათი დანერგვა და ექსპორტი.

ამგვარად, საჭიროა განისაზღვროს იმ პრიორიტეტული დარგების, ან ქვედარგებისა და წარმოების შეზღუდული სპექტრი, რომელთა აღორძინებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და

უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფისათვის, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესებისათვის. არანაკლებ მნიშვნელოვანია მათ მხარდასაჭერად აუცილებელი ფორმების განსაზღვრა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანური კაპიტალის განვითარებას, ანუ: მოსახლეობის განათლების (როგორც ზოგადის, აგრეთვე პროფესიულისა და უმაღლესის) დონის ამაღლებას, შრომითი რესურსების გადამზადების თანამედროვე სისტემების დანერგვასა და შესაბამისად, მათი პროფესიულ-კვალიფიციური დონის მუდმივ განახლებასა და ამაღლებას. აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია საგანმანათლებლო სისტემის მოდერნიზება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით და ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების (როგორც სახელმწიფოს, აგრეთვე კერძოს) გადიდება. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი საწარმოო პროცესის სრულყოფა და მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოების დანერგვა-ათვისება.

ამასთან, როგორც საკუთარი, აგრეთვე მსოფლიოში არსებული ცოდნისეული, ინოვაციური და ინფორმაციული რესურსების გამოყენების ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით ქვეყანაში უნდა შეიქმნას სათანადოდ მოტივირებული და ინსტიტუტციონიზირებული ბიზნეს გარემო.

ამრიგად, სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, ტრადიციულ დარგებთან (სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა და ა. შ.) ერთად აუცილებელია ისეთი პროდუქციის წარმოების უპირატესი წახალისება, რომელიც იწარმოება ცოდნისა და ინოვაციების (ტექნოლოგიებში, მენეჯმენტისა და მარკეტინგის სფეროებში და ა. შ.) საფუძველზე.

მოწინავე ინდუსტრიულმა ქვეყნებმა ხანგრძლივი გზა განვლეს მაღალპროდუქტიული დარგების განსავითარებლად. შესაბამისად საჭირო არ არის ბორბლის თავიდან გამოგონება, არამედ აუცილებელია მაქსიმალურად ვისარგებლოთ კაცობრიობის უახლესი მიღწევებით და ამის საფუძველზე განვახორციელოთ ცოდნაზე დამყარებული და ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა. ამასთან, აღნიშნული პოლიტიკა განწირულია მარცხისათვის თუკი ბაზარი იქნება მონოპოლიზებული. იგი წარმატებული იქნება მხოლოდ კონკურენციის მაღალი ხარისხის პირობებში, ვინაიდან სწორედ ფირმებს შორის ინოვაციური კონკურენცია არის პროგრესისა და განვითარების საფუძველი.

ამრიგად, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელია პროდუქტიულობის (დამატებითი ღირებულების წარმოების

უნარის) ამაღლება მის ნებისმიერ სეგმენტში და პარალელურად მაღალტექნოლოგიური, ძვირადღირებული პროდუქციის ვიწრო სპექტრის წარმოებაზე ორიენტაცია, რისთვისაც საჭიროა:

– როგორც მაკროეკონომიკის, აგრეთვე მიკროეკონომიკის დონეზე სათანადო სტიმულების შექმნა;

– ეფექტიანი ინსტიტუციური გარემოს ფორმირება. მისი მუდმივი განახლების უზრუნველყოფა. საფინანსო ინსტიტუტების განვითარება და მათი ეფექტიანობის ამაღლება;

–სისტემური სტრუქტურული რეფორმების განხორციელება;

– ბაზრების ეფექტიანობის ამაღლება:

–კაპიტალისა და ტექნოლოგიების, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მეთოდების განახლების, ინოვაციური კონკურენციის წახალისება;

– ეკონომიკის პროდუქტიულობის ზრდის განმაპირობებელი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა, რისთვისაც აუცილებელია ახალი მაღალტექნოლოგიური წარმოებებისა და დარგების განვითარების წახალისება;

– განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის რეფორმირება და მათი ეფექტიანობის ამაღლება.

– შრომითი რესურსების მომზადება–გადამზადებისა და ტრენინგების თანამედროვე ფორმების დანერგვა და მათი პროფესიულ-კვალიფიკაციური დონის ამაღლება.

– პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტულ, ახალ დარგებში დაბანდების წახალისება.

სამამულო წარმოების აღორძინება, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება და ექსპორტის ზრდა მჭიდრო კავშირშია ლარის გაცვლითი კურსების ცვლილებასთან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა უახლოეს წლებში განვითარებული მოვლენების შეფასება.

1998 წლის ბოლოსთვის ლარის დევალვაციას წესით უნდა გამოწვია სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპის ამაღლება მომდევნო წლებში. სინამდვილეში კი აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა. რა იყო ამის მიზეზი? ჩვენი აზრით ამის ერთერთი მიზეზია ის, რომ ეროვნული ბანკის მიერ ლარის დევალვაცია 1998 წლის ბოლოსათვის წარმოადგენდა დაგვიანებულ რეაქციას, ერთის მხრივ ფასების დონის ამაღლების მიმართ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1996 წლის დასაწყისიდან, მეორეს მხრივ კი რუსეთში 1998 წლის აგვისტოში

განვითარებული პროცესების მიმართ, რომლის უპირველეს შედეგიც იყო რუსული რუბლის მკვეთრი გაუფასურება საგარეო ბაზარზე. ამ მოვლენამ თავის მხრივ გამოიწვია რუსული პროდუქციის გაიაფება და კატასტროფული სახე მიიღო არალეგალური იმპორტული რუსული პროდუქციის მიერ ქართული ბაზრის შევიწროებამ. მკვეთრად შემცირდა რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციის ერთობლივი მოცულიბაც. საქართველოს ხელისუფლებამ, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, სწრაფად ვერ აუღო ალღო აღნიშნულ პროცესს, რის შედეგადაც, საბოლოო ანგარიშით, დაზარალდა სამამულო წარმოება.

ამგვარად, 1999 წლისათვის ეკონომიკური ზრდის ტემპის 2,9 %-მდე, ხოლო 2000 წლისათვის 1,8 %-მდე შემცირების მიზეზი ლარის დოლარის მიმართ დევალვაცია კი არ იყო, რომელიც 1998 წლის ბოლოსთვის მნიშვნელოვანი დაგვიანებით განხორციელდა, არამედ ლარის აღნიშნული დაგვიანებული დევალვაცია, რასაც შედეგად მოჰყვა იაფი რუსული იმპორტის (იგივე ითქმის თურქული და სხვა იმპორტული პროდუქციის შესახებაც) მიერ ქართული ბაზრის დაპყრობა და რუსეთში ქართული ექსპორტის ერთობლივი მოცულობის (როგორც ლეგალურის აგრეთვე არალეგალურის) შემცირება. ქართველმა მეწარმეებმა მთელი 4-5 წელი მოანდომეს შეცვლილ გარემო პირობებთან ადაპტირებას და დაკარგული პოზიციების დაბრუნებას. ე. ი. 1998-2002 წლებში სამამულო წარმოებაზე უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკური სივრცის მოშლამ და დემპინგური საქონლის კონტრაბანდის არნახულმა აყვავებამ.

ლარის დევალვაციის შემდეგ სამამულო წარმოებამ ვერ შეძლო დაკარგული პოზიციების სწრაფი დაბრუნება. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დაიკარგა როგორც ადგილობრივი, აგრეთვე საგარეო ბაზრების მნიშვნელოვანი სეგმენტები. ქართველმა მეწარმეებმა ვერ შეძლეს საქმიანობის თავიდან დაწყება და დაკარგული ბაზრების სწრაფი დაბრუნება. **მიუხედავად ამისა, ლარის დევალვაციამ მნიშვნელოვანწილად გაანეიტრალა ქართულთან შედარებით რუსული (და სხვა ქვეყნების) პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის, კერძოდ 2003 წლიდან. ე. ი. 1998 წლისათვის ეროვნული ვალუტის დევალვაციამ სასურველი შედეგი მოგვცა მოგვიანებით, 2003 წლისათვის.**

ჩვენთან ბოლო წლებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი აღინიშნება ინფლაციის შედარებით მაღალ დონისა და ლარის მაღალი ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების პირობებში, რაც ცოტა არ იყოს შეუსაბამობაა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები 2004-2006 წლებში, გარკვეულწილად წახალისებულია ინფლაციის აღნიშნული მაღალი ტემპებით, ანუ სახეზეა ინფლაციის წამახალისებელი ზემოქმედება.

დღეისთვის ლარის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლების მიუხედავად იზრდება ექსპორტის მოცულობა (ექსპორტის ზრდა, ისევე როგორც მთელი ეკონომიკისა, ჩვენი აზრით განპირობებულია კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღებით, სამამულო წარმოების დაგვიანებული რეაქციით 1998 წლის ბოლოსთვის განხორციელებული ლარის დევალვაციისადმი, საბაჟო სამსახურის საქმიანობაში ადმინისტრირების გაუმჯობესებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გადიდებით და ა. შ.). ამიტომ მიჩნეულია, რომ მათი ამაღლება არ ახდენს უარყოფით ზემოქმედებას სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობაზე. მაგრამ ყურადღება არ ექცევა იმ ფაქტს, რომ უფრო სწრაფი ტემპებით იზრდება იმპორტი, რაც იწვევს სამამულო წარმოების განვითარებისათვის აუცილებელი სასიცოცხლო სივრცის შეზღუდვას. ანუ რეალური გაცვლითი კურსის ამაღლება იმპორტული პროდუქციის გაიაფებისა და წახალისების გზით დაბლა სცემს სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, რაც შედარებით გრძელვადიანი პერიოდისათვის გამოიწვევს წარმოების დაცემას. ჩვენი აზრით, ეროვნული ვალუტის გაძვირება, რასაც განსაკუთრებით ადგილი აქვს 2004 წლიდან, აუცილებლად მოიტანს უარყოფით შედეგს 2008-2010 წლებში.

სავალუტო ბაზარზე ექსპანსიის გზით ეროვნული ვალუტის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების გეგმაზომიერი შემცირება, რაც აუცილებელია სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, სასურველია განხორციელდეს არა ისეთ ეკონომიკურ პირობებში, როდესაც სხვა არასასურველ მოვლენებთან ერთად, ისედაც აღინიშნება მიმოქცევაში ფულის მასისა და ფასების დონის მკვეთრი ზრდა, არამედ შედარებით სტაბილურ ეკონომიკურ გარემოში, როდესაც ფასები ზრდა არ სცილდება ზომიერ ფარგლებს. ანუ აღნიშნული ეკონომიკური პოლიტიკა დადებით შედეგს იძლევა შედარებით სტაბილურ მაკროგარემოში, ხოლო ინფლაციის მაღალი ტემპებისა და ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებისას, ეროვნული ვალუტის დევალვაცია აუცილებლად გამოიწვევს ფასების დონის შემდგომ დაუგეგმავ და მასშტაბურ ზრდას, რასაც დამღუპველი შედეგები მოჰყვება მთლიანად ეკონომიკისათვის.

მიუხედავად ამისა, გაცვლითი კურსების შემცირება ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისა და საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუმჯობესების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ საქართველოში გაცვლითი კურსებისა და ინფლაციის ერთდროულად ამაღლების მიზეზები.

გაცვლითი კურსების ამაღლების მიზეზია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, უცხოური დახმარებებისა და უცხოეთში დასაქმებული ჩვენი თანამემამულეების ფულადი გზავნილების, აგრეთვე სახელმწიფო ხარჯების ზრდა. ქვეყანაში შემოდინებული უცხოური ვალუტის ზრდა კი თავის მხრივ განაპირობებს ლარზე მოთხოვნის ამაღლებას და შესაბამისად, მიმოქცევაში მყოფი ლარის მასისა და ფასების დონის ზრდას. უცხოური დახმარებების (გრანტების) მსგავსად, სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლებიც განაპირობებენ სახელმწიფო დანახარჯების ზრდას (კაპიტალური შემოსავლები ჩვენთან აღირიცხება ბიუჯეტის შემოსავლებში, რაც ხელოვნურად ამცირებს ბიუჯეტის დეფიციტის რეალურ დონეს, მაგრამ არნახულად ზრდის ფულის მასას მიმოქცევაში). ინფლაციას კიდევ უფრო აღრმავებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრიორიტეტების გათვალისწინების გარეშე საბანკო კომერციული კრედიტების არსებითი გაფართოება, რაც თითქოსდა განპირობებულია თვითდასაქმების წახალისების მოტივით. დღეისთვის მეტისმეტად გამარტივებულია კრედიტის ასაღებად მოთხოვნილი პირობები, რამაც ამ სფეროში ნამდვილი ბუმი გამოიწვია. უფრო მეტიც, მსესხებლები ერთ კომერციულ ბანკში აღებულ სესხებს ფარავენ მეორე ბანკში აღებული კრედიტებით და ასე შემდეგ, და ამაში მათ ხელს არავინ და არაფერი არ უშლის. ყოველივე ეს კი გაუმართლებლად ზრდის მიმოქცევაში მყოფ ლარის მასას და აღრმავებს ინფლაციურ პროცესებს.[1]

ასეთ პირობებში ლარის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების შემცირების მიზნით აუცილებელია ერთდროულად განხორციელდეს, პირველი, ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე ინტერვენცია დოლარის შესაძენად

[1] აქსიომაა, რომ გონივრულ ფარგლებში იაფი კრედიტების სიუხვე, ხელს უწყობს სამეწარმეო საქმიანობის აღმავლობას, მაგრამ კრედიტების მოცულობის არამართლზომიერი გაფართოება განაპირობებს ინფლაციის გაღრმავებას. იაფი კრედიტების პოლიტიკის გატარებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რათა მისმა მოცულობამ არ გადააჭარბოს გარკეულ დასაშვებ ზღვარს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ შეღავათიანი კრედიტები უნდა გაიცეს მხოლოდ პრიორიტეტულ და ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში, აგრეთვე ბინათმშენებლობაში. ამასთან, სამეწარმეო სექტორისათვის გათვალისწინებული იაფი კრედიტები ძირითადად უნდა გაიცეს ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები „საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარების ფონდიდან“, და არა დამატებითი ფულის ემისიის ხარჯზე.

და შესაბამისად ლარის გაცვლითი კურსის შესამცირებლად, მეორეს მხრივ კი სახელმწიფო ხარჯებისა და შიდა კრედიტების გონივრულ ფარგლებში შეზღუდვა. პირველი ღონისძიება ლარის დევალვაციასთან ერთად გამოიწვევს მიმოქცევაში მყოფი ლარის მასისა და ფასების დონის ზრდას, მაგრამ მისი ნეიტრალიზება შესაძლებელია მეორე ღონისძიებით.

აღნიშნული ეკონომიკური პოლიტიკა არ არის ადვილი განსახორციელებელი, იგი არაპოპულარულია, მაგრამ მისი გატარება აუცილებელია სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად.

მართალია, რომ მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხოლო ხშირ შემთხვევაში კი უფრო არსებითიცაა ცალკეული ფირმების როლი. თუკი წარმოვიდგენთ, რომ კონკურენტუნარიანობას გააჩნია პირამიდის ფორმა, მაშინ მის წვერში ფოკუსირდება ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, საძირკველში საქონლის კონკურენტუნარიანობა, ხოლო მათ შორის ფირმების, დარგებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობაა განფენილი.

ქართულმა ფირმებმა უნდა გაითავისონ, რომ მხოლოდ ინოვაციების საფუძველზე კონკურენციაა გრძელვადიან პერიოდში კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების, მოგების ზრდისა და ბაზრის სათანადო სეგმენტის ათვისების აუცილებელი პირობა. ეს ფირმებს დაარწმუნებს კონკურენტუნარიანი გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობაში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლება შეუძლებელია ცალმხრივი ღონისძიებებით ზემოდან ქვემოთ, ან ქვემოდან ზემოთ. უნდა აღინიშნოს ორმხრივი პროცესი, ანუ ხელისუფლებამ ზემოდან უნდა შექმნას სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური, ინსტიტუციური, სამართლებრივი პირობები, ხოლო მიკრო დონეზე მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობებმა (ასეთი შესაძლებლობები იარსებებს მხოლოდ უსაფრთხო ბიზნესგარემოს არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოიწვიოს ფირმების წახალისება ისეთი სამეწარმეო-ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც აამაღლებენ მათ კონკურენტუნარიანობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელსაყრელ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკური მდებარეობა მნიშვნელოვანი როლს ასრულებს მოცემული

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის აამაღლებაში, თუმცა მას სწორი გამოყენება სჭირდება. როგორც წესი განსაზღვრულ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას გააჩნია თავისი სპეციფიკური კონკურენტული უპირატესობა, თუმცა გააჩნია უარყოფითი მხარეებიც. მაგალითად, საქართველოსთვის, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის უარყოფითი მხარეა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ხშირ შემთხვევაში არაჯანსაღი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, რაც გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობით. მათი ინტერესების დაჯახება და ურთიერთჭიდილი უარყოფითად აისახება საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე და შესაბამისად ეკონომიკურ განვითარებაზე. ამიტომ სპეციფიკური კონკურენტული უპირატესობა, რაც გამოწვეულია აზია-ევროპის გზაჯვარედინზე მდებარეობითა და აბრეშუმის გზის აღორძინების შესაძლებლობებით, პრაქტიკულად რეალიზებული არ არის. აღნიშნული ვითარება მოითხოვს, ადექვატური ღონისძიებების განხორციელებას ზემოაღნიშნული დაპირისპირების შერბილების, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებისა და ყველა ქვეყანასთან, პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების მიმართულებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უშუალო მომიჯნავე ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება. და რაც მთავარია, საქართველო არ უნდა იქცეს უცხოელთა საჯირითო ქვეყნად, მხოლოდ ორმხრივ თუ ოთხმრივ დერეფნად, სადაც ორპირი ქარი, მისთვის დამახასიათებელი სავალალო შედეგებით, ჩვეულებრივი მოვლენა გახდება.

10. უმუშევრობის შემცირება, სამეწარმეო საქმიანობის წახალისება, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და დასაქმების დონის ამაღლება

ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე ეკონომიკური პოლიტიკის მოკლევადიანი მიზანია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, უმუშევრობის შემცირება და არსებული შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენება.

აღნიშნული მიზნის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ეკონომიკის ერთერთი უმთავარი პრობლემაა სამუშაო ადგილების დეფიციტი და უმუშევრობა. საკითხი დგას შემდეგნაირად: „რა უნდა გაკეთდეს ქვეყანაში არსებული უმუშევრობის შემცირებისათვის და შრომითი რესურსების დასაქმებისათვის“?

უმუშევრობის, მ. შ. ფარული უმუშევრობის შემცირებისათვის, მოსახლეობის დასაქმებისათვის და მათი ცხოვრების დონის არსებითი გაუმჯობესებისათვის, ანუ ჩვენთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად აუცილებელია:

– ამ ნაშრომში ჩამოთვლილი ღონისძიებების კომპლექსური განხორციელება;

– პრიორიტეტულ დარგებში დასაქმებული ფირმების წახალისება. ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა სათანადო სამართლებრივი, ინსტიტუციური, მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერის, საკონსულტაციო და ინფორმაციული მომსახურების უზრუნველყოფის გზით.

აღსანიშნავია ის, რომ საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული ოფიციალური მონაცემები აშკარად გაყალბებული და ტენდენციურია, განსაკუთრებით ეს შეეხება სოფლის მეურნეობას. 1990 წელს ამ დარგში დასაქმებული იყო 697,2 ათასი კაცი, 2006 წელს კი 966,4 ათასი კაცი, ანუ 1,4-ჯერ მეტი, რაც წარმოუდგენლად მიგვაჩნია იმავე პერიოდში ქვეყნის მოსახლეობის 1055 ათასი კაცით შემცირებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული კრიზისული ვითარების ფონზე. სოფლის მეურნეობის პროდუქცია 2006 წლისათვის 1990 წელთან შედარებით შემცირებულია 34,4 %-ით. 1990-2006წწ პერიოდში ასევე მნიშვნელოვნად შემცირებულია დამუშავებული სახნავი მიწების (საგანგაშოა ის, რომ ნათესი ფართობი შემცირდა 1999-2005 წლებშიც – 54,4 ათასი ჰექტარით), ჩაის პლანტაციების, ვენახისა და ხეხილის გაშენებული ფართობები. ასევე შემცირებულია მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა. აღნიშნულიდან გამომდინარე საეჭვოა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის არნახული ზრდა და ხელისუფლების მხრიდან სირაქლემას პოზაში ყოფნა რაიმე სახის სიკეთის მომტანი არაა.

სოფლის მეურნეობაში დასქმებულთა რაოდენობის მაღალი მაჩვენებლის გამართლებად შეიძლება მოგვეჩვენოს ის, რომ 1990 წელთან შედარებით დაბალია სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის დონე. თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ სოფლად დასაქმებულთა რაოდენობის ოფიციალური მაჩვენებელი ეკონომიკური კრიზისის საწყის ეტაპზევე იქნა ხელოვნურად ამაღლებული, ანუ მაშინ როდესაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო არსებული ტექნიკა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ პრობლემა სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდშია, რომლის თანახმადაც დასაქმებულად ითვლება ყველა პირი, მ.შ. სოფლად მცხოვრებიც, რომლის მშობლებსაც გააჩნიათ მიწის საკარმიდამო ნაკვეთი და რომელმაც უკანასკნელი კვირის მანძილზე იმუშავა თუნდაც ერთი საათი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე ბევრად აღემატება ოფიციალურად გამოქვეყნებულ მაჩვენებელს. ასე მაგალითად, სტატისტიკი დეპარტამენტის მონაცემების თანახმად, უმუშევართა რაოდენობამ 2006 წლისათვის შეადგინა – 275 ათასი კაცი, ხოლო უმუშევრობის დონემ – 13,6%. მხედველობაში მისაღებია ის, რომ 2006 წლისათვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 1990 წელთან შედარებით ხელოვნურად, თითქმის 270 ათასი კაცითაა გაზრდილი და დასაქმებულთა ეს კატეგორია პრაქტიკულად უმუშევარია. ანუ საქართველოში არანაკლებ 445 ათასი (275 ათასს + 270 ათასი) უმუშევარია. შესაბამისად უმუშევრობის დონე მინიმუმ 19,4 % –ია.

თავისთავად ცხადია, რომ მოსალოდნელია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ოფიციალური რაოდენობის შემცირება: მათი რეალური აღრიცხვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური აღჭურვის დონის ამაღლებისას. შესაბამისად, აუცილებელია ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე და ამ მიზნით სამეწარმეო სექტორის წახალისებაზე ზრუნვა.

ჩვენთან საკმაოდ მაღალია კომფორტული ცხოვრების მოთხოვნილებანი, რომლის დაკმაყოფილებაც სათანადოდ ანაზღაურებადი დასაქმების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, უმუშევრობის პრობლემის უმოკლეს ვადებში გადაუჭრელობის შემთხვევაში საქართველო საბოლოოდ დაიცლება მოსახლეობისაგან, ძირითადად ახალგაზრდობისაგან. მაგრამ მხოლოდ ტრადიციული დარგების აღორძინება და ამ გზით სამუშაო ადგილების შექმნა საკმარისი არაა. მაღალტექნოლოგიური დარგების განუვითარებლობის შემთხვევაში კატასტროფულ ზღვარს მიაღწევს ინტელექტუალური კაპიტალის უცხოეთში გადინება. და ეს აუცილებლად მოხდება, ვინაიდან ქართველი ერი ნიჭიერი, ახლის მაძიებელი და ცოდნას მოწყურებული ერია. ყოველივე აღნიშნულის რეალიზაცია თუკი ადგილზე არ მოხდება, მაშინ, დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში საქართველო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაიცლება აბორიგენი მოსახლეობისაგან.

ამგვარად, ტრადიციული დარგების წახალისების პარალელურად განსაკუთრებული ყურადღებას მოითხოვს მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული დარგების ვიწრო სპექტრის შერჩევა და მათი განვითარების ხელშეწყობა, რაც გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების, დასაქმების ზრდის, მოსახლეობის

ცხოვრების დონის ამაღლებისა და ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა.

მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული დარგების განვითარება მოითხოვს სათანადაო ფინანსური რესურსების მობილიზაციას (სახელმწიფოებრივისა და კერძოს, ადგილობრივისა და უცხოურის), შესაბამისი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და ადამიანური კაპიტალის განვითარებას.

ვინაიდან ადამიანური კაპიტალის განვითარების გარეშე შეუძლებელია კონკურენტუნარიანი გადაწყვეტილებების მიღება (როგორც წარმოების აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში) და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ამიტომ იგი უნდა ჩაითავალოს მთავრობის ერთერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება, სამუშაო ძალის მომზადება–გადამზადება ბაზარზე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით და ამ გზით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

უმუშევრობის შემცირებისათვის და დასაქმების ზრდისათვის საჭიროა სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის აუცილებელი ბიზნეს გარემოს ფორმირება. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სათანადოდ ხელშემწყობი სამართლებრივი, ინსტიტუციური, მაკროეკონომიკური და კრიმინოგენური გარემოს ჩამოყალიბება, კანონთან მიმართებაში ყველა ბიზნესმენის თანაბარ პირობებში ჩაყენება – განურჩევლად ფინანსური შესაძლებლობებისა და ხელისუფლების ორგანოებთან სიახლოვისა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავებას. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსხვილ ბიზნესთან შედარებით მცირე და საშუალო ბიზნესის უპირატესი განვითარება ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდისათვის და მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფისათვის პანაცეა არ არის. დღევანდელ სინამდვილეში იგი საქართველოში მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელოვანი სფეროა. მაგრამ გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია მსხვილი წარმოებების განვითარების ხელშეწყობაც, ვინაიდან ისინი იძლევიან თანამედროვე მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. მცირე და საშუალო ბიზნესი კი

ხელს უწყობს კონკურენციული გარემოს ფორმირებას. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმებასთან ერთად ამითაცაა მათი არსებობა გამართლებული.

სამეწარმეო საქმიანობის წახალისების მიზნით მიზანშეწონილია დღგ-ს გადასახადისაგან საერთოდ განთავისუფლდეს საწარმოო დანიშნულების **ახალი** მანქანა-მოწყობილობების წარმოება და რეალიზაცია, მ. შ. იმპორტულისაც.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია „საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარების ფონდის“ შექმნა, რომლის ძირითადი ფუნქციები იქნება: მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება, ამ სფეროებში დასაქმებული მეწარმეებისათვის შედავათიანი კრედიტებისა და გრანტების გაცემა, მათი სამეწარმეო რისკების დაზღვევა და მათი უფასო ინფორმაციული უზრუნველყოფა.

11. ადამიანური კაპიტალის განვითარება და განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება

ადამიანური კაპიტალის სრულყოფა ეკონომიკის განვითარების ინტელექტუალური ბაზის უზრუნველყოფის საწინდარია. ადამიანური კაპიტალის განვითარების გარეშე ინოვაციებზე, მათ დაფინანსებაზე და საერთოდ ინოვაციურ განვითარებაზე საუბარი ზედმეტია. ამასთან, განათლებული და მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალისა და სპეციფიკური სამეწარმეო უნარის მქონე პირების ქვეყანაში დიდი რაოდენობით არსებობა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი წყაროა.

ამგვარად, მხოლოდ ფიზიკურ კაპიტალში ინვესტიციების ზრდა ვერ გამოიწვევს შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და პროდუქტიულობის ზრდას. უპირველეს ყოვლისა, ან უკიდურეს შემთხვევაში პარალელურ რეჟიმში მაინც, აუცილებელია ადამიანური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება, ანუ მისი პროფესიული და ზოგადი განათლების დონის ამაღლება. უნდა ვიცოდეთ, რომ უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობა, არაფრის მთქმელი სტატისტიკური მაჩვენებელია ჩვენთან არსებული საგანმანათლებლო სისტემისა და სწავლების დონის (რომელიც კიდევ უფრო გაუარესდა ბოლო პერიოდში) პირობებში, და ამიტომ, ვერ ასახავს სამუშაო ძალის განათლებისა და ხარისხის შესახებ რეალურ სურათს.

ადამიანური კაპიტალის განვითარება უპირობოდ მოითხოვს ინვესტიციების უპირატესი მიმართვას ადამიანური კაპიტალის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, ჯანმრთელობის

დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სფეროების დაჩქარებული ტემპებით განვითარებას, მათი ეფექტიანობის ამაღლებას. ქვეყანაში უნდა გაიზარდოს ერთობლივი დანახარჯები (როგორც სახელმწოფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე კერძო სექტორიდან) განათლებასა და მეცნიერებაზე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე. შესაბამისად მშპ-ში უნდა ამაღლდეს აღნიშნულ სფეროებზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წონა ცივილიზებულ სამყაროში არსებულ საშუალო დონემდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკური გლობალიზაციის არსებული ტემპის პირობებში საქართველოს ემუქრება პერიფერიული, უკიდურესად ჩამორჩენილი და განუვითარებელი ქვეყნის სტატუსის შემდგომი განმტკიცების საშიშროება.

მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობა ეკონომიკური ზრდის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის სწორი ორგანიზაცია (როგორც მაკრო, აგრეთვე მიკრო დონეებზე), მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება და ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამიტომ აუცილებელია განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება და განათლების ცალკეული საფეხურების მიხედვით მიღებული ცოდნის ხარისხის გაუმჯობესება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ გვჭირდება შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მაქსიმალურად ორიენტირებული ეფექტიანი განათლების სისტემა. ამასთან, შრომის ბაზარზეც რომ გაჩნდეს მოთხოვნა რთული, მაღალპროდუქტიული შრომის მაღალკვალიფიციურ კადრებზე, საჭიროა ზოგიერთი მაღალპროდუქტიული დარგის პრიორიტეტულად აღიარება და მისი განვითარების წახალისება. ანუ, განათლების სისტემის ეფექტიანობა, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია და ერთმანეთს განაპირობებენ.

როგორი ვითარებაა საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში? პირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ **სწავლების ხარისხის თვალსაზრისით საგანგაშო მდგომარეობაა, როგორც უმაღლესი, აგრეთვე საშუალო სასკოლო განათლების სფეროებში.**

უმაღლესი განათლების სფეროში, ეგრეთწოდებული რეფორმების ჩატარების შედეგად, პრაქტიკულად არ გაუმჯობესებულა სწავლების ხარისხი, რაშიც უარყოფითი როლი შეასრულა გამოცდილი და მაღალკვალიფიციური, მაგრამ ხელისუფლებისათვის მიუღებელი კადრების მასობრივმა დათხოვნამ.

განსაკუთრებით დიდი ზიანი მიადგა საბუნებისმეტყველო (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა. შ.) და იმ ჰუმანიტარულ დისციპლინებს, რომლებსაც მათი სპეციფიკიდან გამომდინარე მაიცდამაინც არ განუცდიათ კომუნისტური იდეოლოგიის ზეგავლენა. შესაბამისად, აღნიშნულ სფეროებში, უმაღლესი სკოლის ფარგლებში, მოღვაწეობდნენ მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები. სხვადასხვა ყურითმოთრეული მიზეზების მოშველიებით ისინი სამუშაოდან უბოდიშოდ დაითხოვეს. მათ ნაცვლად კი მრავალ ღირსეულ პროფესიონალთან ერთად „მწვანე შუქი აუნთეს“ და უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებში შეუშვეს გამოუცდელი, დაბალკვალიფიციური და ეროვნულ ფასეულობებთან მწყრალად მყოფი, მაგრამ ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი კადრები. **აღნიშნული რეფორმის მიზანია ქვეყანაში ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების განადგურება და ამ გზით სამამულო წარმოების, უპირველეს ყოვლისა, კი მაღალტექნოლოგიური სამრეწველო წარმოების განვითარებისათვის საფუძვლების გამოცლა. აღნიშნული რეფორმებით აგრეთვე მიმდინარეობს ჰუმანიტარული აზროვნების დეზორგანიზაცია, მისი ზნეობრივი საფუძვლების გაუფასურება და ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებისათვის მიუღებელი ფასეულობების დამკვიდრება.**

საგანგაშოა ისიც, რომ დღემდე გრძელდება უმაღლესი განათლების ტრადიციული ცენტრების დისკრედიტაციის პოლიტიკა, რაც მიმართულია მათი რეიტინგის დაქვეითებისაკენ და ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მფლობელობაში არსებული კერძო უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგის ამაღლებისაკენ.

მიუხედავად უმაღლესი განათლების სფეროში ჩატარებული რეფორმებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისა უნდა ვაღიაროთ, რომ დადებითი მოვლენაა მისაღები გამოცდების უმაღლესი სასწავლებლების კედლებიდან განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურაში გადატანა. ამით უმაღლეს სასწავლებლებში აღმოიფხვრა კორუფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. ეს მისასალმებელი ფაქტია განათლების სამინისტროში მისაღები გამოცდების ჩატარებისას კორუფციული გარიგებების განხორციელების შემთხვევაშიც. მნიშვნელოვანია ის, რომ უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალი არ იქნება ასეთი გარიგებების მონაწილე, რაც ლექტორსა და სტუდენტს შორის განაპირობებს სუფთა, განვითარებულ, ცივილიზებულ სამყაროში ჩამოყალიბებული ურთიერთობების დამკვიდრებას.

საშუალო განათლების დონეზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ცალკეული საგნების სწავლება ხორციელდება ყოვლად აბსურდული ურთიერთმონაცვლეობის, ე. წ. პილოტიზირებული სისტემით (როგორც ჩანს

სწავლების ამ მოდელის დანერგვის ერთადერთი მოტივი იყო უცხოური გრანტების მოზიდვა), რომლის პირობებშიც საფუძვლიანი ცოდნის მიღებაზე საუბარი ზედმეტია. ეს განსაკუთრებით შეეხება საბუნებისმეტყველო საგნებს, რომელთა შესწავლისათვის საჭიროა მრავალი წლის დროში უწყვეტი და სისტემური მეცადინეობა.[1]

მნიშვნელოვანი პრობლემაა ყველასათვის საერთო, ერთიანი სასკოლო სახელმძღვანელოების არ არსებობა. ყველა სკოლაში დამამთავრებელი გამოცდები, აგრეთვე ყველა უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები ტარდება ერთიანი პროგრამით (სპეციალობების გათვალისწინებით), რაც ლოგიკურია. შესაბამისად, აუცილებელია ცალკეულ დისციპლინებში, ცალკეული კლასების მიხედვით არსებობდეს ყველასთვის საერთო სახელმძღვანელოები. ბავშვების განათლების საკითხი არ უნდა შეეწიროს ცალკეული პირების (ავტორების, ლიცენზიის გამცემების, გამომცემლობების) პირად კომერციულ, თუ სხვა ქვენა და ამორალურ (ზოგიერთ სახელმძღვანელოში ჩვენი სახელოვანი მწერლების შემოქმედებაზე და ისტორიის ამა თუ იმ ეტაპზე ქართული ქრისტიანული ტრადიციისათვის მიუღებელი და ამავე დროს რეალურობისაგან შორსმდგომი თვალსაზრისია გადმოცემული) მიზნებს. ამასთან, სახელმძღვანელოების მრავალფეროვნება აბნევს პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. თანაც სწავლება ხშირად მიმდინარეობს ამა თუ იმ საფეხურის შეუსაბამო პროგრამით, რაც იწვევს ცოდნის დაბალ დონეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოში არსებული ყველა საშუალო სკოლისთვის სავალდებულო სახელმძღვანელოების შემუშავება განათლების სამინისტროს, საპატრიაქოსა და საშუალო და უმაღლესი სკოლის პედაგოგების ერთობლივი მონაწილეობით.

---

[1] **ისეთი საგნები, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია, სასწავლო წლის მანძილზე არსებული სამი სემესტრის განმავლობაში ისწავლება ურთიერთმონაცვლეობით – თითო სემესტრში და ასე გრძელდება მომდევნო წლებშიც. ამასთან, ყველაზე აბსურდულია ის, რომ მათი სწავლების თანმიმდევრობის შესახებ არ არსებობს არავითარი წინასწარ დადგენილი წესი, რის შედეგადაც მასწავლებელს, რომელიც ამ სისტემის თანახმად სამივე საგანს ასწავლოს, შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს აღნიშნული თანმიმდევრობა. ისედაც აბსურდული „სისტემის“ ასეთი უსისტემობა და სამივე დისციპლინაში ერთი და იმავე მასწავლებლის სათანადო დონეზე მომზადების შეუძლებლობა, განაპირობებს მოსწავლეებისადმი გადაცემული ცოდნის დაბალ ხარისხს. ამასთან, ამა თუ იმ დისციპლინის ცალკეული საფეხურების სწავლებაში არსებული დროის თითქმის ერთ წლიანი ინტერვალი იწვევს შეძენილი ცოდნის დავიწყებას და საბოლოო ანგარიშით, ხელს უშლის საფუძვლიანი ცოდნის მიღებას.**

12. მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლება და ინოვაციური საქმიანობის წახალისება

საქართველოში წარმოების, სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა და საერთოდ სახელმწიფოს მართვაში მთავარ პრობლემას წარმოადგენს მეცნიერული აზროვნების დეფიციტის არსებობა. ეს გარკვეულწილად საბჭოური პერიოდის გადმონაშთია, როდესაც მეცნიერება, როგორც საზოგადოებისა და წარმოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი უკანა პლანზე იყო გადატანილი, ხოლო პრიორიტეტი ენიჭებოდა კომუნისტური პარტიის დირექტივებს, როგორც ჭეშმარიტების უმაღლეს გამოხატულებას. **ნიშანდობლივია ისიც, რომ 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში პოზიციასაც და ოპოზიციასაც თავიანთ გამოსვლებში და მრავალრიცხოვან ზდაპრულ დაპირებებში პრაქტიკულად გამორჩათ მეცნიერების სფერო და მეცნიერთა სოციალური პრობლემები. ეს გამოწვეულია საზოგადოების ცხოვრებაში მეცნიერების როლის შეუფასებლობითა და მეცნიერთა ფენის, როგორც საზოგადოების ყველაზე მცირერიცხოვანი ნაწილის (არჩევნებზე ხომ ფასი ხმების რაოდენობას გააჩნია და არა მის ხარისხს) უგულვებელყოფით.**

მეცნიერების როლის შეუფასებლობა ყველაზე მწვავე პრობლემაა, ვინაიდან მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები, ადექვატური თავდაცვითი ღონისძიებების განუხორციელებლობის შემთხვევაში გადაშენებით ემუქრება მცირერიცხოვან და ეკონომიკურად ჩამორჩენილ ერებს. ჩვენი ერის გადარჩენა მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოებაში განმტკიცებასთან და ეროვნული იდეოლოგიის აღორძინებასთან ერთად, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ცოდნის ფაქტორზე, მეცნიერების განვითარებაზე, მეცნიერულად დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე, წარმოების სფეროში ახალი ტექნოლოგიებისა და ორგანიზაციულ-მმართველობითი სიახლეების დანერგვაზე.

ჩვენი ქვეყნის მომავალი ჩვენ უნდა ავაშენოთ ცოდნაზე და მეცნიერებაზე დაყრდნობით. როგორც დიდი ილია ბრძანებდა: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არვის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა. **შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით** მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და

ხერხს ვედარავინ-და გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ“ (23, გვ. 177).

ამგვარად, ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, საქართველოში, განსაკუთრებით აქტუალურია მატერიალური დოვლათის წარმოების ორგანიზაცია მეცნიერების გამოყენების საფუძველზე. წარმოების პროცესში მეცნიერების უახლესი მიღწევების გამოყენება ხელს შეუწყობს სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებას და ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ აღორძინებას. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი იმ ფინანსური საშუალებების გამომუშავება, რომლებიც უნდა წარიმართოს ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის განმტკიცებისათვის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

სამამულო წარმოების აღორძინების, მისი კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებისა და რაც მთავარია, ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო-ტექნიკური და საერთოდ, საინოვაციო პოტენციალის სისტემატურ ამაღლებასა და მის ეფექტიან გამოყენებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია ინოვაციურ პოტენციალზე და წარმოების სფეროში მისი გამოყენების დონეზე. რაც უფრო მაღალია აღნიშნული პოტენციალი, და რაც უფრო ეფექტიანად გამოიყენება იგი წარმოების პროცესში, მით უფრო მაღალია შრომის მწარმოებლურობა და მით უფრო მაღალხარისხიანია გამოშვებული პროდუქცია. ამასთან, ინოვაციური პოტენციალი რაც უფრო მეტად მიიმართება ახალ, თანამედროვე მაღალტექნოლოგიურ დარგებში, მით უფრო კონკურენტუნარიანი ხდება სახელმწიფო დროთა ვითარებაში.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს: ეკონომიკაში მიმდინარე დინამიურ პროცესებს, ეკონომიკური ზრდის პროცესის უწყვეტობას და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას; ეროვნული მეურნეობის, მათ შორის მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურასა და ქვეყნის ადგილს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში; მუშახელის, ნედლეულისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეფექტურობას და ა.შ.

საქართველოში, საინოვაციო სფეროში, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე სახეზეა მეტად საშიში ტენდენცია, რომელიც ხასიათდება საინოვაციო აქტივობისა და მშპ-ში მეცნიერებაზე დახარჯული სახსრების ხვედრითი წონის დაბალი დონით, მეცნიერებატევად დარგებსა და საწარმოებში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებით და ა.შ.

აღნიშნული ტენდენციის დაძლევა გარდა მეცნიერების განვითარებაზე გამოყოფილი სახსრების გადიდებისა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის შემუშავებისა და წარმოების პროცესში მეცნიერების როლის ამაღლებისა, აგრეთვე მოითხოვს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის მოთხოვნების შესატყვისი ერთიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებას.

ეროვნული ინოვაციური სისტემა მოიცავს ორ ძირითად რგოლს: პირველი, ესაა მოცემული ქვეყნის ფარგლებში სამეცნიერო გამოკვლევების განხორციელების, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და კომერციული რეალიზაციის სფეროში დასაქმებული ორგანიზაციები და მეორე, იმ სამართლებრივი, ფინანსური და სოციალური ხასიათის ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც ეროვნული ტრადიციების, რელიგიური აღმსარებლობის, კულტურული, პოლიტიკური და ისტორიული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით უზრუნველყოფენ საინოვაციო სფეროს განვითარებას [28, გვ. 61].

საქართველოში საინოვაციო სფეროს განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებად გვევლინება ინოვაციური სისტემის შემადგენელი ცალკეული რგოლებისა და ინსტიტუტების განუვითარებლობა და საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის მოთხოვნებთან მათ შეუსაბამობა.[1] საინოვაციო სფეროს განვითარებაზე ასევე უარყოფითად მოქმედებს წარმოების აღორძინების პროცესში ინოვაციების მნიშვნელობის არასათანადო შეფასება. **როგორც ცნობილია, საწარმოში მოგებისა და რენტაბელობის ზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნის შესატყვისი, ან საბაზრო მოთხოვნის გამომწვევი და წამახალისებელი სრულიად ახალი პროდუქციის მინიმალური დანახარჯებით წარმოება, რაც მიიღწევა ტექნოლოგიურ სიახლეთა შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვის გზით. ჩვენთან, სამწუხაროდ, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ნაკლები ყურადღება ექცევა ეკონომიური ზრდის განმსაზღვრელ მიწოდების ფაქტორებს, მათ შორის ინოვაციებს.**

ავსტრიელი მეცნიერი ი. შუმპეტერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად ფაქტორად აღიარებდა ინოვაციების საფუძველზე, ანუ სამეცნიერო გამოკვლევებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე კონკურენციას. ვინაიდან მეწარმეს ახალი საქონლის ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვა გარკვეული დროის მანძილზე კონკურენციული უპირატესობის

[1] ჯერჯერობით გაურკვეველია იმ რეფორმების რეალური შედეგებიც, რომლებიც მიმართულია სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რაოდენობის ოპტიმიზაციისაკენ, მით უფრო, რომ ამ პროცესს გამოკვეთილი სუბიექტური ხასიათი გააჩნია და ნაკლებად ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტურ ინტერესებს.

მოპოვების საშუალებას აძლევს, ამიტომ ინოვაციების დანერგვა წარმოების მოცულობის ზრდისა და ეკონომიკური პროგრესის აუცილებელი პირობაა.

ვინაიდან, მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოკვლევების განხორციელებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები მხოლოდ მსხვილ საწარმოებს გააჩნიათ, ამიტომ შუმპეტერი ინოვაციების ძირითად წყაროდ აღიარებდა მსხვილი საწარმოების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობას. ხოლო მცირე და საშუალო საწარმოების არსებობა მიაჩნდა კონკურენციული ურთიერთობების შენარჩუნება-გაღრმავების აუცილებელ პირობად. დასავლეთის ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში, აგრეთვე იაპონიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაამტკიცა აღნიშნული თვალსაზრისის უცილობელი ჭეშმარიტება.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლება და ეფექტიანი გამოყენება მოითხოვს ინოვაციური სფეროს ადაპტირებას მეურნეობრიობის ახალ რეალობებთან და შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნას, რომლის მიღწევაც კერძო სექტორის განუვითარებლობის პირობებში, სახელმწიფოს აქტიური, მიზანმიმართული ჩარევის გარეშე შეუძლებელია. მართალია, მე-20 საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში აღინიშნა სამეცნიერო საქმიანობის სფეროში სახელმწიფოს როლის შემცირება, მაგრამ ამ ფაქტის დოგმატიზირება და ჩვენთან ანალოგიური პოლიტიკის განხორციელება გამოიწვევს სამეცნიერო-კვლევითი სფეროს საბოლოო პარალიზებას. გასა-თვალისწინებელია ის, რომ აღნიშნულ ქვეყნებში უახლოეს წარსულში ადგილი ჰქონდა საწინააღმდეგო პროცესს. მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში აღინიშნა სახელმწიფოს გააქტიურება ინოვაციური საქმიანობის სფეროში, რაც გამოწვეული იყო ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივებითა და განვითარების პოლიტიკური პრიორიტეტების გაძლიერებით: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და სოციალისტურ ბანაკთან შეჯიბრებაში გამარჯვების მიღწევა მოითხოვდა მნიშვნელოვანი მოცულობის სახელმწიფო სახსრების წარმართვას ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევებისა და სტრატეგიული დანიშნულების ტექნოლოგიების (კოსმოსური, ატომური, ლაზერული და ა.შ., რომლებიც საჭიროებენ მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებას და უკუგებას იძლევიან ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ) შესამუშავებლად, ვინაიდან კერძო სექტორს არ შეეძლო ასეთი მასშტაბური გამოკვლევების დამოუკიდებლად ჩატარება – სახსრების უკმარისობისა და შესაბამისი პროექტების მოგებიანობასთან დაკავშირებით გაურკვევლობისა და რისკის მაღალი ფაქტორის არსებობის

შედეგად. ამან აღნიშნულ ქვეყნებში გამოიწვია გამოყენებითი და განსაკუთრებით კი ფუნდამენტური გამოკვლევების დაფინანსებაში სახელმწიფოს წილის ამაღლება, რის შედეგადაც კერძო სექტორის საწარმოები სამეცნიერო სამუშაოთა ძირითად ნაწილს ახორციელებდნენ სახელმწიფო შეკვეთების ხარჯზე, რაც უზრუნველყოფდა აღნიშნული სფეროს განვითარებას სწრაფი ტემპებით.

სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდგომ მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა მკვეთრად აამაღლა ტრანსნაციონალური კომპანიების ფინანსური შესაძლებლობები. ამასთან, ინდუსტრიულ ქვეყნებში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვლილ პერიოდში, საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით დაიხვეწა და ჩამოყალიბდა ინოვაციური სფეროს ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა და მისი მარეგულირებელი ინსტიტუტები. ყოველივე ამის შედეგად შემცირდა სახელმწიფოს გავლენა სამეცნიერო საქმიანობის სფეროში და ამაღლდა ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და გლობალური ბაზრების როლი.

სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. ინსტიტუციურ ცვლილებებთან შედარებით ფასებისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისადმი და სახელმწიფო საკუთრების პრივატიზებისადმი უპირატესობის მინიჭებამ და შესაბამისად, ეკონომიკური რეფორმების არამართლზომიერმა, დაუბალანსებელმა განხორციელებამ, გამოიწვია ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება-გახანგრძლივება, მატერიალური წარმოების დარგების, განსაკუთრებით კი სამრეწველო წარმოების სფეროს გაჩანაგება, ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება და მოსახლეობის ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემა. ყოველივე ეს უარყოფითად აისახა ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მდგომარეობაზე. მკვეთრად შემცირდა წამყვანი სამეცნიერო ცენტრების (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების და ა.შ.) დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მოცულობა, რამაც განაპირობა ბევრი მათგანის მუშაობის პარალიზება, რადგანაც მათ ვერ მოახერხეს შეცვლილ ეკონომიკურ პირობებთან ადაპტირება.

ამასთან, წარმოების დაცემისა და შემოსავლების კატასტროფული შემცირების შედეგად მსხვილმა სამრეწველო საწარმოებმაც შეწყვიტეს საპროექტო-საკონსტრუქტორო და საცდელ-ექსპერიმენტალური ბიუროებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებების საქმიანობის დაფინანსება, რის შედეგადაც სამეცნიერო კადრების ერთი ნაწილი საერთოდ უმუშევარი დარჩა, მეორე ნაწილმა პროფესია შეიცვალა და სხვა სფეროში გააგრძელა მუშაობა, მესამე ნაწილი კი სამეცნიერო მოღვაწეობას აგრძელებს ქვეყნის ფარგლებს

გარეთ. შესაბამისად, კატასტროფულად დაეცა ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი, რაც უარყოფითად აისახა სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობაზე.

ამრიგად, წარმოიქმნა მოჯადოებული წრე: საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდით განპირობებულმა სუბიექტურმა და ობიექტურმა მიზეზებმა გამოიწვია პროდუქციის გამოშვების მოცულობისა და შესაბამისად, სახელმწიფოსა და ცალკეული საწარმოების შემოსავლების არსებითი შემცირება, რის გამოც მკვეთრად შემცირდა სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების დაფინანსება, ხშირ შემთხვევაში კი იგი საერთოდ შეწყდა; ამან კი გამოიწვია სამამულო პროდუქციის ხარისხობრივი გაუარესება და შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის დონის დაცემა, რაც თავის მხრივ განაპირობებს ეკონომიკური კრიზისის გახანგრძლივებას.

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღემდე სახეზეა სისტემური ეკონომიკური კრიზისი. მისი ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია სამამულო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პირობების გაუარესება, რომლის ლოგიკური შედეგიცაა საწარმოთა მხრიდან საინოვაციო ღონისძიებებისადმი დაინტერესების შემცირება. ცხადია, რომ მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს სწრაფი განვითარებისა და გლობალური ბაზრის მხრიდან მკაცრი კონკურენციის პირობებში, ინოვაციები წარმოადგენს წარმატების უმთავრეს ფაქტორს. ამიტომ, სამამულო წარმოების აღორძინება მოითხოვს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის სწრაფ აღდგენას და შემდგომ განვითარებას, რაც ქვეყანაში არსებული პირობების გათვალისწინებით წარმოუდგენელია სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობის გარეშე.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამა თუ იმ საწარმოს საინოვაციო პოტენციალი გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით ყალიბდება, რომლებიც შეიძლება დაიყოს შიგა და გარე ფაქტორებად. შიგა ფაქტორებს მიეკუთვნება: მანქანა-მოწყობილობების ფიზიკური ცვეთა; პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მისწრაფება; საწარმოში მიმდინარე ინსტიტუციური ცვლილებები და ა.შ. გარე ფაქტორებია: ბაზრის მოთხოვნა; კონკურენცია; ინსტიტუციური ცვლილებები (მაგ.გარემოს დაცვის სფეროში მოთხოვნების გამკაცრება); ცვლილებები სამრეწველო-საინოვაციო პოლიტიკის მიმართულებებში და ა.შ.

აღნიშნულ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარე სამყაროს, ვინაიდან იგი ადგენს საინოვაციო საქმიანობის ეკონომიკური მიზანშეწონილობის საზღვრებს. გარე სამყაროს მიერ საწარმოთათვის შეთავაზებული შესაძლებლობები კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია

სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკაზე. სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტების დადგენა, სათანადო ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა, სახელმწიფო და კერძო სექტორის მოღვაწეობის კოორდინაცია, მოქმედი კანონმდებლობის გადასინჯვა, დახვეწა და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, სათანადო საფინანსო კლიმატის შექმნა სახელმწიფოს უმთავრესი მოვალეობაა [2, გვ. 40]. ე.ი. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკაში და შესაბამისად, ანტიკრიზისულ პროგრამებში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საინოვაციო პროცესების მართვას.

საერთოდ, „მცირე ღია ეკონომიკის“ ქვეყანამ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მკაცრად განსაზღვროს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების მოთხოვნებისა და ფინანსური რესურსების დეფიციტის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე საჭიროა შეირჩეს და პრიორიტეტი მიენიჭოს იმ მიმართულებებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდება პრიორიტეტული დარგების განვითარება. პრიორიტეტების განსაზღვრა დეფიციტური ფინანსური რესურსების ეფექტური გამოყენების საშუალებასაც იძლევა, რაც ხელს შეუწყობს როგორც სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის, აგრეთვე ეროვნული მეურნეობის უმოკლეს ვადებში აღორძინებას.

სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების შესატყვისი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა სახელმწიფოსგან მოითხოვს მეცნიერულად დასაბუთებული მართვისა და რეგულირების პოლიტიკის გატარებას. საქართველოს მთავრობამ, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს მეცნიერების ორგანული შერწყმა ეკონომიკურ პროცესებთან და სამეცნიერო-ტექნიკური კადრების შენარჩუნება. ამ მიზნის მისაღწევად მან ხელი უნდა შეუწყოს:

- ფუნდამენტური ცოდნის, სტრატეგიული ტექნოლოგიებისა და პრიორიტეტული მეცნიერებატევადი დარგების (ან საწარმოების) განვითარებას;
- ქვეყანაში არსებული ინოვაციური სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურების გარდაქმნას – საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის მოცემული კონკრეტული ეტაპის მოთხოვნების გათვალისწინებით;
- სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისათვის აუცილებელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას;
- ინოვაციების საფუძველზე კონკურენციის წახალისებას.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინოვაციური პროცესი გულისხმობს არა ერთჯერად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და

ტექნოლოგიების არა ერთჯერად დანერგვას, არამედ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უწყვეტ განხორციელებას და ინოვაციებზე მუდმივ ორიენტაციას.

შესაბამისად, სახელმწიფომ ყოველმხრივ და უწყვეტად უნდა წაახალისოს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები, შრომისა და წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ახალი მეთოდების, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების შემუშავება და წარმოებაში დანერგვა.

ინოვაციების ხელშეწყობამ ჩვენთან, ცივილიზებული სამყაროს გამოცდილების გათვალისწინებით, უნდა შეიძინოს ახალი შინაარსი, ანუ უნდა წახალისდეს არა მარტო ტექნოლოგიური ინოვაციები, არამედ ჰუმანიტარული: ცოდნისეული და მმართველობითი ხასიათის ინოვაციებიც.

ინოვაციური საქმიანობის წახალისების მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღგ-ისგან საერთოდ განთავისუფლდეს:

– სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებული, ახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და კომერციული რეალიზაციის სფეროში დასაქმებული ორგანიზაციები და კერძო პირები;

– სამეცნიერო-საკონსულტაციო დაწესებულებები;

– საწარმოო დანიშნულების ინფორმაციის მოპოვებით, დამუშავებითა და რეალიზაციით დაკავებული ფირმები.

უნდა გაიზარდოს მეცნიერებაზე (როგორც ფუნდამენტურ, აგრეთვე გამოყენებით კვლევებზე, აგრეთვე როგორც საბუნებისმეტყველო, აგრეთვე ჰუმანიტარულ მიმართულებებზე) გაწეული დანახარჯები.[1] მთავრობის

---

[1] უკიდურესად მცირეა სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯები მეცნიერების განვითარებაზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების თანახმად მიმდინარეობს სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამეცნიერო გაერთიანებების საგრანტო დაფინანსებაზე ეტაპობრივი გადასვლა – პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების შეკვეცის პირობებში. პრობლემა ისაა, რომ მიზერულია გრანტების სახით, როგორც მთლიანად (წელიწადში დაახლოებით 5-7 მილ. ლარი), აგრეთვე ცალკეულ გამარჯვებულ პროექტზე გამოყოფილი სახსრების მოცულობა. ერთი წლის მანძილზე გამარჯვებულ პროექტზე გამოყოფილმა გრანტის მაქსიმალურმა თანხამ შეიძლება შეადგინოს 50 ათასი ლარი. პროექტში 5-6 კაცის მონაწილეობისას, ერთ კაცზე გაანგარიშებით ხელფასი თვეში შეადგენს დაახლოებით 400-500 ლარს – სხვადასხვა ზედნადები და კაპიტალის შესაძენად გათვალისწინებული ხარჯების გათვალისწინების შემთხვევაში. ეს თანხა ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს მეცნიერთა ჭეშმარიტი სამეცნიერო შრომის ანაზღაურებას, რის გამოც მათი უმრავლესობა პარალელურად სხვა საქმიანობითაცაა დაკავებული. ეს კი აუარესებს სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხს და ამცირებს სრულყოფილი სამეცნიერო გამოკვლევების განხორციელების შესაძლებლობას (ფუნდამენტურ, ძირეულ სამეცნიერო გამოკვლევის ჩატარებაზე, რომელიც მოითხოვს ხშირად რამდენიმე ათეული ადამიანის თავაუღებელ შრომას, საუბარი საერთოდ ზედმეტია). ამიტომ, აუცილებელია საგრანტო დაფინანსების სახით, როგორც მთლიანად, აგრეთვე ცალკეულ პროექტზე, გამოყოფილი თანხის არსებითი, მინიმუმ 2-3ჯერ გადიდება. ამასთან, საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების არსებითი ზრდა, რაც კადრების აღზრდის, მათი შენარჩუნებისა და აღნიშნული ინსტიტუტების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა, ანუ იგი უზრუნველყოფს მათ სტაბილურ მუშაობას. ცალკე საუბრის თემაა კონკურსში გამარჯვებული პროექტების შერჩევის მექანიზმის სრულყოფა და ამ პროცესში სუბიექტური ფაქტორების აღმოფხვრა. ამავე დროს მეცნიერების თითოეულ

ძალისხმევით ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი საქმიანი ბიზნესგარემო, რომელიც მეწარმეებს დაარწმუნებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე დანახარჯების განხორციელების აუცილებლობაში. ამასთან, აუცილებელია კერძო სექტორის წახალისება კვლევასა და განვითარებაზე რაც შეიძლება მეტი სახსრების გამოყოფის მიზნით. კერძო სექტორის გააქტიურება ამ სფეროში აუცილებელია, ვინაიდან ფირმების ხელმძღვანელებმა სახელმწიფო ჩინოვნიკებზე უკეთ იციან, თუ რა მიმართულებით უნდა განხორციელდეს გამოყენებითი კვლევა მათი მიერ შერჩეულ საქმიანობის სფეროში და მათთდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში. სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე სახსრების გამოყოფის მიზნით საწარმოების წასახალისებლად საჭიროა ეფექტიანი ფორმების დანერგვა. ყოველივე ეს გამოიწვევს მეცნიერებაზე გაწეულ მთლიან დანახარჯებში კერძო დანახარჯების წილის ამაღლებას.

ამასთან, უნდა შემუშავდეს ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და რეალიზაციის (მ. შ. უცხოეთშიც), კარგად მოფიქრებული სისტემა, რომლისგანაც სარგებელს მიიღებს როგორც გამომგონებელი, აგრეთვე სახელმწიფოც. შესაბამისად, მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სათანადო სამართლებრივი ბაზის შემუშავებას. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასაცავად ნორმატიული აქტების შემუშავება და პატენტებისა და ლიცენზიების მიღება-გაცემის სისტემის დახვეწა-განვითარება.

ამასთან, უნდა შეიქმნას ისეთი ინსტიტუციური და ფინანსური გარემო (ფულად-საკრედიტო, საგადასახადო, საინვესტიციო პოლიტიკის მეშვეობით), რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ სამეცნიერო გამოკვლევების განხორციელებას და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებას, არამედ, რაც მთავარია, წარმოების პროცესში მათ რეალურ გამოყენებას. ე.ი. სამეცნიერო-ტექნოლოგიური გამოკვლევების განხორციელებასთან და სიახლეთა შემუშავებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წარმოებაში მათ ოპერატიულ დანერგვას. ქვეყანას შეიძლება გააჩნდეს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის მაღალი დონე, ახორციელებდეს მნიშვნელოვან მეცნიერულ გამოკვლევებს, მაგრამ ასევე შეიძლება, რომ მათი გამოყენების მაჩვენებელი დაბალი იყოს გრძელვადიანი ეკონომიკური კრიზისის

მიმართულებისათვის დადგენილი უნდა იყოს განსაზღვრული ქვოტა, რაც თავიდან აგვაცილებს ამა თუ იმ მიმართულების შეუფასებლობის ისეთ შემთხვევას, როგორსაც ადგილი ჰქონდა 2007 წელს გამართულ კონკურსზე, რომლის შედეგების მიხედვით, 139 გამარჯვებული პროექტიდან ეკონომიკის მიმართულებაზე მოდის მხოლოდ 2 პროექტი. ეს ფაქტი მიუთითებს ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროს მხრიდან ეკონომიკური მეცნიერების როლის შეუფასებლობაზე საზოგადოების ცხოვრებაში.

არსებობის, ტექნოლოგიების გადაცემის საშუამავლო სისტემისა და სხვა ინსტიტუციური სტრუქტურების განუვითარებლობის შედეგად.

სამეცნიერო გამოკვლევებისა და ტექნოლოგიურ სიახლეთა შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და დაინტერესებული მხარისათვის დროული მიწოდების მიზნით, საჭიროა შეიქმნას სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გავრცელების კომერციული ქსელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ასეთი ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული (ძირითადად საგადასახადო შეღავათების დაწესების გზით) ფასებით.

სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზნით, საქართველოში აუცილებელია შეიქმნას უწყებათაშორისი ორგანო – **სამეცნიერო საბჭო,** რომლის შემადგენლობაშიც უნდა შევიდნენ ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და მსხვილი კერძო საწარმოების წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები. აღნიშნულმა საბჭომ უნდა განსაზღვროს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტები და სტრატეგია. ე.ი. არსებული ეკონომიკური რესურსების, ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებების, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ამოცანებისა და მოსალოდნელი კომერციული წარმატების გათვალისწინებით სამეცნიერო საბჭომ უნდა შეიმუშავოს კვლევის ისეთი პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს: 1. ეფექტურად გამოვიყენოთ ქვეყანაში არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი; 2. განვავითაროთ მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგების განსაზღვრული რაოდენობა, რაც კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების აუცილებელი პირობაა.

სამეცნიერო საბჭომ ასევე უნდა შეიმუშავოს კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების რეალიზაციაში სამეცნიერო ცენტრების და სათანადო პროფილის საწარმოების ჩაბმის მექანიზმები. ამ მიზნით, მან უნდა განსაზღვროს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წახალისების გზები. მისი რეკომენდაციით მთავრობამ შეიძლება მიმართოს პირდაპირ დაფინანსებას (სუბსიდირებას), აგრეთვე შექმნას ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო - საგადასახადო და საკრედიტო შეღავათების დაწესებით აღნიშნული სახის სამუშაოების შემსრულებელი საწარმოებისთვის, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია რისკის დაზღვევას და ამ მიზნით სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფას.

13. მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემის ფორმირება

სამეწარმეო საქმიანობის აღორძინება, ეკონომიკური პროგრესი და საერთოდ საზოგადოების ჰარმონიული, უკომფლიქტო განვითარება წარმოუდგენელია სათანადო სოციალური ფონის უზრუნველყოფის გარეშე. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემის ფორმირებას და მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სახელმწიფო ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებს და სათანადო პოლიტიკას ატარებდა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ღარიბ-ღატაკნი და მოსახლეობის შრომისუუნარო ნაწილი ისტორიულად ყოველთვის წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოს ზრუნვის საგანს. ასე მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის თანახმად, ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ბაგრატ კურაპალატს, გლახაკთა და უძლურთა სასარგებლოდ დაუწესებია განსაკუთრებული გადასახადი „გლახაკთა ნაწილი“ [25, გვ. 115].

პოსტსოციალისტურ პერიოდში, საქართველოში, „შოკური თერაპიის“ კონ-ცეფციის საფუძველზე განხორციელებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა გამოიწვია სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება, რეალური ეკონომიკური სექტორის ფაქტიური განადგურება და ძირითადი საწარმოო ფონდების დეგრადაცია-განიავება, უმუშევრობის მკვეთრი ზრდა, მოსახლეობის შემოსავლების არნახული დაცემა და სოციალურად დაუცველი ფენების მდგომარეობის არნახული გაუარესება. **ეკონომიკის სფეროში ხელისუფლების დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთი მაგალითია 1992 წლის ზაფხულში მის მიერ განხორციელებული ღონისძიება, რომლის თანახმადაც მოხდა ანაბრებზე რიცხული თანხების გაორმაგება, რომელიც სინამდვილეში მიმართული იყო არა სახელმწიფოს განკარგულებაში მობილიზებული ლიკვიდური აქტივების გასაზრდელად და ინფლაციის აღმოსაფხვრელად, არამედ მიზნად ისახავდა მოსახლეობის განკარგულებაში არსებული დანაზოგების ხელში ჩაგდებასა და მისი ლეგალური გზით კონფისკაციას.** ხელისუფლების მიერ გადაგდებული სატყუარა მოსახლეობამაც აიტაცა და ანაბრებზე თანხების (რუსული

---

[1] აქვე წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური დაცვის პოლიტიკამ ღარიბ-ღატაკების მდგომარეობის გაუმჯობესების პარალელურად არ უნდა გამოიწვიოს მდიდრებისა და განსაკუთრებით საშუალო ფენების, ანუ განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვის და მცირე ბიზნესის წარმომადგენლების გაღატაკება, რასაც ჩვენთან ადგილი აქვს ბოლო პერიოდში. ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება გულისხმობს ყველა სოციალური ფენის ჰარმონიულ განვითარებას, წონასწორობის დაცვას სოციალურ სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ღარიბი მოსახლეობის პრობლემების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბება საზოგადოების დანარჩენ ფენებში, ბიზნესის განვითარების სტიმულების გაქრობა და ღარიბი მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზის განადგურება.

რუბლების) განთავსება აქტიურად დაიწყო. ხელისუფლებამ მოსახლეობის გულუბრყვილობას მიმოქცევაში შემოღებული კუპონის მასობრივი გაუფასურებით უპასუხა, რითაც მეანაბრეები პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა. მოგებული კი დარჩნენ აღნიშნულ აფიორაში აქტიურად ჩართული ხელისუფლების, საბანკო სექტორისა და ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლები, რომლებმაც კუპონის შემოღებამდე და მის გაუფასურებამდე აღებული კრედიტებისა და ბანკებში განთავსებული ანაბრების დოლარებში გადაყვანა მოასწრეს. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის ხარჯზე ასე ხდებოდა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე. აღნიშნული პროცესი შეცვლილი, მაგრამ შინაარსობრივად იდენტური არაკანონიერი გზებით დღეს ფართოდ მიმდინარეობს.

ყოველივე აღნიშნულის შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა საცხოვრებლად უცხოეთის ქვეყნებს მიაშურა. მოსახლეობის უცხოეთში ემიგრაციის პროცესის შეუქცევადი ხასიათი განაპირობებს საქართველოს ფარგლებში მკვიდრი ქართული მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას. ამიტომ აუცილებელია კორექტივების შეტანა ეკონომიკური რეფორმების სტრატეგიაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს რეალური ეკონომიკური სექტორის აღორძინება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლების გადიდება და სოციალური დაცვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლება.

ეკონომიკური და სოციალური სტრატეგიები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში კი არ უნდა მოდიოდნენ, არამედ ერთმანეთს უნდა ავსებდნენ და ერთიანობაში ხელს უნდა უწყობდნენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მ.შ. მოსახლეობის ყველა ფენის ცხოვრების დონის ამაღლებას. ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებისას ეკონომიკური ეფექტიანობის უზრუნველყოფასა და სოციალური სამართლიანობის პრინციპის დაცვას შორის დაცულ უნდა იყოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენების უკომფლიქტო თანამშრომლობისათვის აუცილებელი გონივრული ბალანსი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების, შრომის უნარდაკარგული ან დაქვეითებული პირების, პენსიონრების, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების, მარჩენალის გარეშე დარჩენილი ხანდაზმული ადამიანების, უპატრონო ბავშვებისა და უმუშევრების, აგრეთვე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა და დასახიჩრებულთა ოჯახების სოციალურ დაცვას, მათთვის ნორმალური ცხოველმყოფელობისათვის აუცილებელი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას. მათზე გაცემული ყოველთვიური დახმარება უნდა მიებას **საარსებო მინიმუმს.**

საქართველოში ცხოვრების დონის შეფასებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა კვების პროდუქტების მოხმარებისა და სიღარიბის დონის მაჩვენებლების დინამიკა 2000-2005 წწ. (იხ. ცხრ. 3).

კვების პროდუქტების მოხმარებისა (კილოგრამი ერთ სულზე წელიწადში) და სიღარიბის დონის მაჩვენებლები (ლარი)[1] ცხრ. 3

	2000[2]	2001	2002	2003	2004	2005	2006
1. საკვები მარცვლეული და ბურღულეული	6,6	7,7	6,8	6,3	6,3	6,7	
2. პური	72,5	70,2	69,8	64,0	64,7	61,7	
3. მაკარონი და სხვა ანალოგიური ნაწარმი	9,4	6,9	5,3	6,5	6,6	6,6	
4. გამომცხვარი საკონდიტრო ნაწარმი	2,1	1,2	0,9	1,4	1,3	1,4	
5. სხვა პურპროდუქტები	65,5	71,2	68,2	71,2	76,5	75,6	
6. ხორცი და ხორცის პროდუქტები	19,5	19,2	19,9	17,6	18,5	16,4	
7. თევზეული	4,8	5,0	3,8	3,9	3,8	3,5	
8. ახალი რძე	69,6	65,5	60,2	59,5	59,1	59,5	
9. დაკონსერვებული რძე (რძის ფხვნილი)	0,3	0,8	0,2	0,6	0,3	0,2	
10. მაწონი და სხვა	10,0	11,4	10,8	9,7	9,8	10,3	
11. ყველი და ხაჭო	12,2	12,0	11,7	12,1	11,7	11,2	
12. რძის სხვა პროდუქტები	1,6	1,5	1,6	1,4	1,4	1,4	
13. კვერცხი (ცალი)	129	125	105	112,9	108,3	102,4	
14. ზეთი და ცხიმი	13,9	15,4	12,7	12,4	12,5	12,4	
15. ხილი, ყურძენი	51,0	41,2	41,3	46,2	39,6	40,6	
16. ბოსტნეული, კარტოფილი, ბაღჩეულის ჩათვლით	146,5	151,4	147,3	134,8	134,7	137,5	
17. შაქარი, ჯემი, თაფლი, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	20,7	20,2	21,7	23,5	23,9	24,1	
18. კვების სხვა პროდუქტები	7,2	6,9	7,4	9,0	9,4	8,5	
19. ყავა, ჩაი და კაკაო	0,6	0,6	0,6	0,7	0,7	0,8	
20. მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები, ნატურალური წვენები	3,9	5,6	2,6	2,6	2,6		
21. საარსებო მიმიმუმი (საშუალო წლის მანძილზე, ლარებში)	**114,6**	**116,6[2]**	**125,4[2]**	**130,7[2]**	**84,3 (137,1)[2]**	**92,6**	
22. სიღარიბის დონე საშუალოდ ქვეყანაში, საარსებო მინიმუმის მიმართ (IV კვარტ., %-ში)	**49,1**			**50,7[2]**	**36,2 (51,0)[2]**	**36,1**	

[1] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით

[2] ეს მაჩვენებლები გაანგარიშბულია 2004 წლამდე მოქმედი მეთოდის თანახმად (იხ. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული 2005. თბ.: 2005 გვ.87-89).

2000-2005 წლებში, ქვეყანაში ცხოვრების დონის გაუარესებაზე მიუთითებს ის, რომ **ერთ სულზე გაანგარიშებით** არსებითად შემცირდა ხორცისა და ხორცის პროდუქტების (15,9%-ით), თევზეულის (27%-ით), ახალი რძის (14,5%-ით), ყველისა და ხაჭოს (8,2%-ით), კვერცხის (20,6%-ით), ბოსტნეულის (6,1%-ით) და ა. შ. მოხმარება.

ერთი შეხედვით გაურკვეველი ვითარებაა საარსებო მინიმუმისა და სიღარიბის დონის მაჩვენებლებთან დაკავშირებითაც. 2004 წლიდან მოქმედი მეთოდოლოგიის მიხედვით, საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისას შეამცირეს ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი კალორიების რაოდენობა და შესაბამისი პროდუქციის ხვედრითი წონა იმ მოტივით, რომ საშუალო მომხმარებელის მხრიდან ასეთ პროდუქციაზე მოთხოვნა არ არსებობს, ან შემცირებულია (გათვალისწინებულ არ იქნა, რომ ამის მიზეზი არა ფიზიოლოგიური მოთხოვნილების, არამედ სათანადო შემოსავლის უქონლობაა). ე. ი. საარსებო მინიმუმის გაანგარიშებისათვის განსაზღვრული სასაქონლო ნაკრებიდან (სამომხმარებლო კალათიდან) ამოღებულ იქნა ეკონომიკურ კრიზისამდე სათანადო მოთხოვნის მქონე მაღალკალორიული და შედარებით ძვირადღირებული პროდუქცია (ან შემცირებულ იქნა ასეთი პროდუქციის წონა).

ამ მეთოდის გამოყენების შედეგად ხელოვნურად შემცირებულ იქნა საარსებო მინიმუმის სიდიდე. 2004 წლამდე მოქმედი მეთოდის მიხედვით გაანგარიშებულმა მისმა დონემ 2004 წლისთვის შეადგინა 137,1 ლარი, ხოლო ახალი მეთოდის მიხედვით 84,3 ლარი, ანუ ხელოვნურად შემცირდა 38,5%-ით. შესაბამისად შემცირდა საარსებო მინიმუმის მიხედვით გაანგარიშებული სიღარიბის დონე. მისმა მნიშვნელობამ 2004 წლისათვის, ამ წლამდე მოქმედი მეთოდოლოგიით გაანგარიშებისას, შეადგინა 51%, ხოლო 2004 წლიდან მოქმედი მეთოდოლოგიით 36,2%. ხელისუფლების წარმომადგენლები ამის საფუძველზე ამტკიცებენ, რომ სიღარიბის დონე 50,7%-დან (2003 წლისთვის) შემცირდა 36,2%-მდე 2004 წლისათვის და ა. შ. მაგრამ ეს ან თავის მოტყუებაა ან კიდევ ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრა: 2004 წლამდე მოქმედი მეთოდით გაანგარიშებულმა სიღარიბის დონემ 2004 წლისათვის შეადგინა 51% და გადააჭარბა 2003 წლის შესაბამის დონეს (50,7%).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი ერთი და იმავე მეთოდით გავიანგარიშებთ საარსებო მინიმუმისა და სიღარიბის დონეს 2004 წლამდეც და მომდევნო პერიოდშიც, მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ 2005-2007 წლებში სიღარიბის დონე არა თუ შემცირებული, არამედ მნიშვნელოვნად იყოს გაზრდილი.

სიღარიბის დონის რეალური შემცირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად, საჭიროა მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებების გატარებაც. კერძოდ, უნდა გაიზარდოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯების მოცულობა, რომლის ფარგლებში უნდა დაწესდეს და უფასო უნდა გახდეს მოსახლეობის ყოველწლიური ერთჯერადი სავალდებულო პროფილაქტიკური გამოკვლევა, აგრეთვე სასწრაფო და გადაუდებელი ოპერაციები. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში სახელმწიფომ თავის თავზე მთლიანად ან ნაწილობრივ უნდა აიღოს დაბალშემოსავლიანი ფენების სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება.

შესაძლებლობებთან მიმართებაში არსებული დისპროპორციების შერბილებისა და შედარებით თანაბარი პირობების შექმნის მიზნით აუცილებელია როგორც უმუშევრების, აგრეთვე დასაქმებულების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ღონისძიებების (ტრენინგებისა და მომზადება-გადამზადების) შემუშავება და საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებთან მათი ადაპტირება.

საქართველოში მთელ რიგ შემთხვევაში გამეფებულია მონური შრომა, რომლის საფუძველია უმუშევრობის მაღალი დონით განპირობებული კაბალური ხელშეკრულებები, რომლებიც სამწუხაროდ ყველაზე ხშირად გავრცელებულია ადგილობრივ კომპანიებში, სადაც 70-80 საათიანი სამუშაო კვირა ჩვეულებრივ მოვლენადაა ქცეული. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ახლად მიღებულმა შრომის კოდექსმა, რომელმაც ცალმხრივად გააფართოა დამქირავებლის უფლებები, ხოლო დაქირავებული მუშახელი კი პრაქტიკულად უუფლებო სუბიექტად აქცია.

საერთოდ კანონები უნდა შემუშავდეს და მიღებულ უნდა იქნას არა უცხოელთა წინაშე საკეკლუცოდ (მაგალითად იმით თავისმოსაწონებლად, რომ ჩვენთან მსოფლიოში ყველაზე ლიბერალური შრომის კანონმდებლობაა, რომლის თანახმადაც დაქირავებული მუშახელი უუფლებო მდგომარეობაშია ჩაყენებული, ხოლო მეწარმეს კი დაქირავებულის წინაშე პრაქტიკულად არავითარი ვალდებულება არ გააჩნია), არამედ ქვეყნისა და ხალხის, მ. შ. როგორც დამქირავებლის, აგრეთვე დაქირავებულის ფუნდამენტური ინტერესების გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია:

– შრომის კოდექსის გადასინჯვა და ცივილიზებულ სამყაროში აღიარებულ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

– დაქირავებნული მუშაკების ზეგანაკვეთური სამუშაო დროის საკანონმდებლო შეზღუდვა (ევროპული სტანდარტების მიხედვით ჩვეულებრივი

და ზეგანაკვეთური სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 48 საათს) და მისი დამრღვევი კომპანიების უმკაცრესი დასჯა.

– შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადის დაცვის მოთხოვნის გავრცელება როგორც დაქირავებულზე, აგრეთვე დამქირავებელზე.

– საარსებო მინიმუმის რეალური დონის დადგენა და მასთან მინიმალური ხელფასის 2-3 წელიწადში ეტაპობრივი გათანაბრება.

– სოციალური დაცვის მიზნით გათვალისწინებული დახმარებების ინდექსაცია ცხოვრების ღირებულების გაძვირების გათვალისწინებით.

14. მომხმარებელთა ინტერესების დაცვა

ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის (განსაკუთრებით კვების პროდუქტების, წამლების, მანქანა-დანადგარებისა და ა. შ.) წარმოებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფა. ფალსიფიცირებული და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის მწარმოებელთა, იმპორტიორთა და რაელიზატორთა, აგრეთვე გარემოს დამაბინძურებელთა და ბუნების გამჩანაგებელთა წინააღმდეგ უმკაცრესი ზომების მიღება უნდა იქცეს ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრეს პრიორიტეტად. პროდუქციის ხარისხის სტანდარტების, პროდუქციის უსაფრთხოების ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება, მათი მაკონტროლებელი სტრუქტურების შექმნა და არსებულის ეფექტიანობის ამაღლება. ანუ აღნიშნული ღონისძიებების ცხოვრებაში რეალურად გატარების მიზნით საჭიროა შესაბამისი სამსახურების (სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური, სტანდარტიზაციისა და კვლევის ლაბორატორია, საბაჟო სამსახური და ა.შ.) საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწა-სრულყოფა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხობრივი განახლება-გაუმჯობესება. ყოველივე ეს მომხმარებელთა სამომხმარებლო ინტერესების დაცვასთან ერთად ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას ეკონომიკაში და სამამულო წარმოების აღორძინებას, მით უფრო რომ დღეისთვის სამამულო პროდუქცია ტოტალურ კონკურენციას განიცდის ეკოლოგიურად მავნე და დემპინგური უცხოური პროდუქციის მხრიდან.

15. მაკროეკონომიკური დისპროპორციების აღმოფხვრა, მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდა

საქართველოში ეკონომიკური ზრდის პარალელურად აღინიშნება მაკროეკონომიკური დისპროპორციების (მოთხოვნასა და მიწოდებას, ინვესტიციურ მოთხოვნასა და დანაზოგების მიწოდებას, შემოსავლებსა და

დანახარჯებს, ექსპორტსა და იმპორტს და ა. შ. შორის) კვლავწარმოება, თანაც ხშირად გაფართოებულ რეჟიმში. ეკონომიკაში არ აღინიშნება თვისობრივი ხასიათის ცვლილებები, ეკონომიკის განვითარების ხარისხობრივი მახასიათებლების არსებითი გაუმჯობესება, ანუ არ შეინიშნება ეკონომიკის განვითარების რეგიონული და დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა, შრომის ნაყოფიერების არსებითი ამაღლება, ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების განვითარების დონის ამაღლება, წარმოების კაპიტალშეიარაღების ზრდა და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უკიდურესად ნელი ტემპით მიმდინარეობს ეკონომიკის ტექნოლოგიური სრულყოფის პროცესი. ყოველივე ეს ხელს უშლის მაკროეკონომიკური დისპროპორციების აღმოფხვრასა და ხშირად განაპირობებს ახლის წარმოშობას.

საქართველოში, შიდა ბაზარზე, ერთი შეხედვით საკმაოდ მაღალია ერთობლივი დანახარჯების (ერთობლივი მოთხოვნის) დონე, რასაც ადასტურებს იმპორტის მკვეთრი მეტობა ექსპორტზე და შესაბამისად იმპორტის ექსპორტით გადაფარვის დაბალი კოეფიციენტი, რაც იმაზე მიუთითებს რომ სამამულო პროდუქციის გამოშვება (ერთობლივი მიწოდება) ვერ აბალანსებს ერთობლივ მოთხოვნას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუარესება, სხვა თანაბარ პირობებში, შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ერთობლივი მოთხოვნის შედარებით მაღალი დონით, აგრეთვე სამამულო პროდუქციის გამოშვების (ერთობლივი მიწოდების) შედარებით დაბალი დონით, რომელიც ვერ აბალანსებს შედარებით მაღალ ერთობლივ მოთხოვნას (ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, შეიძლება რეალურად არც თუ ისე მაღალი იყოს). როგორც ჩანს ორივე მოვლენას აქვს ადგილი, რის შედეგადაც ერთობლივი მოთხოვნა აღემატება ერთობლივ მიწოდებას. მაგრამ საინტერესოა რის ხარჯზეა ერთობლივი მოთხოვნა მაღალი, თანაც როგორია აღნიშნული მოთხოვნის სტრუქტურა, უწყობს თუ არა იგი ხელს წარმოების მატერიალური ბაზის თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე აღორძინება-განვითარებასა და დაბალშემოსავლიანი ფენებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქციის წარმოების გაფართოებას, ანუ უწყობს თუ არა იგი ხელს ეკონომიკის დაბალანსებულ განვითარებას, გააჩნია თუ არა ქვეყანას საკმარისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური, ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული და ა. შ.) ერთობლივი მიწოდების ადექვატური გადიდებისათვის და ა. შ.?

საქართველოში მოსახლეობის მიერ ქვეყნის შიდა წყაროების ბაზაზე ფორმირებული შემოსავლები დაბალია, რაც გამოწვეულია შრომის ნაყოფიერების დაბალი დონით. შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე კი ძირითადად განპირობებულია საწარმოო დანიშნულების ინვესტიციების

ნაკლებობით, მატერიალური წარმოების დარგების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით და შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებთან სამუშაო ძალის პროფესიულ-კვალიფიკაციური დონის შეუსაბამობით. შემოსავლების დაბალი დონე თავის მხრივ განაპირობებს ქვეყნის შიდა წყაროების ბაზაზე ფორმირებული მსყიდველობითი უნარიანობის დაბალ დონეს, თუმცა საერთო მსყიდველობითი უნარიანობა, რომელიც შიდა წყაროების დამატებით, აგრეთვე განპირობებულია უცხოური დახმარებებით, უცხოური კაპიტალის შემოსვლითა და უცხოეთში დასაქმებულ თანამემამულეთა ფულადი გზავნილებით, შედარებით მაღალია. შიდა წყაროების ბაზაზე ფორმირებულ მსყიდველობითუნარიანობაზე საერთო მსყიდველობითი უნარიანობის ნამეტი მართალია ამაღლებს ერთობლივ მოთხოვნას, მაგრამ იგი, მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, მთლიანად თუ არა, ძირითადად მაინც წარიმართება იმპორტული პროდუქციის შესაძენად. აღნიშნულის შედეგად იკვრება ეგრეთწოდებული „სიღატაკის მანკიერი წრე“, ანუ კაპიტალის დეფიციტი, წარმოების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და სამუშაო ძალის არასათანადო პროფესიულ-კვალიფიკაციური დონე განაპირობებს წარმოების დაბალ პროდუქტიულობას, საიდანაც => შემოსავლების დაბალი დონე და მკვეთრი დიფერენციაცია შემოსავლების განაწილებაში => შიდა წყაროების ბაზაზე ფორმირებული მსყიდველობითუნარიანობის დაბალი დონე => მოხმარებისა და დანაზოგების დაბალი დონე => ერთობლივი მოთხოვნის დაბალი დონე => ადგილობრივი ინვესტიციების დაბალი დონე => ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე.

ამგვარად, მაღალი ერთობლივი მოთხოვნის შედარებით მაღალი დონე ძირითადად განპირობებულია არა საშინაო, არამედ საგარეო წყაროებით, ანუ უცხოური დახმარებებით, უცხოური კაპიტალის შემოდინებითა და უცხოეთში დასაქმებული თანამემამულეების ფულადი გზავნილებით, აგრეთვე ნაწილობრივ სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად მიღებული შემოსავლების ხარჯზე. ასეთ პირობებში, სამამულო წარმოების განუვითარებლობისა და მისი აღორძინებისათვის აუცილებელი ბიზნესგარემოს არარსებობის შედეგად, სასაქონლო დეფიციტის აღმოფხვრისა და მაკროეკონომიკური დისპროპორციების დაძლევის, მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფის ერთადერთ საშუალებად რჩება საქონლის იმპორტი, მისი მოცულობის გადიდება. პროდუქციის იმპორტის მასშტაბების ზრდა, იმპორტული პროდუქციის მხრიდან ტოტალური, ყოველგვარ გონივრულ ზღვარს გადაცილებული კონკურენცია კი თავის მხრივ აფერხებს სამამულო წარმოების განვითარებას, რის შედეგადაც საქართველოში დღემდე ვერ ხერხდება დაბალანსებული, ერთიანი ეროვნული ბაზრის ფორმირება.

ვერ ვიტყვით, რომ ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურაში დაბალია ინვესტიციური დანიშნულების პროდუქციაზე მოთხოვნა. ძირითადი კაპიტალის ფორმირებაზე გაწეული ინვესტიციური დანახარჯების წილი მშპ-ში 2001-2005წწ მერყეობს 24-28 %-ის ფარგლებში, რაც არც თუ ურიგო მაჩვენებელია (თუმცა მისი დონე უფრო მაღალია აზიის ახალ, სწრაფად განვითარებად ინდუსტრიულ ქვეყნებში – 28-34%). უფრო საგანგაშო ისაა, რომ ინვესტიციურ მოთხოვნაში დაბალია საწარმოო დანიშნულების პროდუქციაზე მოთხოვნა, რაც ძირითადად გამოწვეულია ბიზნესგარემოს არახელსაყრელობითა და სამამულო პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობით. ერთობლივი მოთხოვნის აღნიშნული სტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ქვეყანა განიცდის ადგილობრივი დანაზოგებისა და შესაბამისად, ადგილობრივი ინვესტიციების დეფიციტს. არანაკლებ შემაშფოთებელია ის, რომ ადგილობრივი დანაზოგების მნიშვნელოვანი ნაწილი ტრანსფორმირდება არა საწარმოო ინვესტიციებში, არამედ ან უძრავ ქონებაში, ან უცხოურ ვალუტაში და საზღვარგარეთ გაედინება. ასეთი დანაზოგები პრაქტიკულად არაფერს მატებენ ეროვნულ ეკონომიკას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა დანაზოგების უზრუნველყოფისა და წარმოების სფეროში მისი კაპიტალიზაციის პრობლემა. საქართველოს ეკონომიკის სუბიექტების დანაზოგები, ამა თუ იმ მიზეზის შედეგად, ვერ უზრუნველყოფენ არსებული ინვესტიციური მოთხოვნის დაკმაყოფილებას, განსაკუთრებით კი მაღალტექნოლოგიურ და მაღალპროდუქტიულ დარგებში, რომლებიც მოითხოვენ შედარებით მსხვილ კაპიტალდაბანდებებს და სადაც შედარებით მაღალია რისკის ფაქტორი.

დანაზოგებისა და საწარმოო ინვესტიციების ნაკლებობა განაპირობებს დისპროპორციების არსებობას ცალკეული დარგების განვითარებაშიც. პრაქტიკულად განუვითარებელია ძვირადღირებული, მეცნიერებატევადი და ტექნოლოგიებტევადი პროდუქციის, მ.შ. წარმოების საშუალებების მწარმოებელი დარგები, რაც განაპირობებს ქვეყნის პერმანენტულ ეკონომიკურ ჩამორჩენილობას და მაკროეკონომიკურ დაუბალანსებლობას.

მაკროეკონომიკური დისპროპორციების აღმოფხვრა და მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევა შეუძლებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის გარეშე. მაგრამ ეს უკანასკნელი ნამდვილად არ მიიღწევა ეროვნული ვალუტის საგარეო ბაზარზე გაუმართლებელი გაძვირებითა (ეროვნული ვალუტის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლება) და სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის დაშინება-დარეკეტებით

(ხელისუფლების ლეგალური თუ არალეგალური საქმიანობის დასაფინანსებლად).

მაკროეკონომიკური სტაბილურობის ფარგლებში უზრუნველყოფილ უნდა იქნას გონივრული ბალანსი ბიუჯეტის დეფიციტის, ფასების დონისა და გაცვლითი კურსების ცვლილებას შორის. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი ფასებისა და გაცლითი კურსების ცვლილების ისეთი ტრაექტორიის უზრუნველყოფა, რომლის დროსაც პროდუქციის გამოშვების გადიდებისას, პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული საშუალო დანახარჯების ცვლილება, კერძოდ მისი ამაღლება, არ გამოიწვევს მოგების საშუალო ნორმის შემცირებასა და სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაცემას.

მაკროეკონომიკური წონასწორობის შესახებ კი უნდა აღინიშნოს, რომ მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის მიღწეული დონის შესაბამისი რესურსების ოპტიმალური განაწილება. ამასთან მაკროეკონომიკური წონასწორობის დონე, რომელიც შეესაბამება მშპ-ის პოტენციურ დონეს, განსაზღვრავს საზოგადოების მაქსიმალურ კეთილდღეობას. თუმცა ეს არ გამორიცხავს საზოგადოების კეთილდღეობის ახალ უფრო მაღალ საფეხურზე ამაღლების შესაძლებლობას, ანუ წარმოების პროცესში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის გზით წარმოებისა და შემოსავლების ზრდის უნარს. ამიტომ აქტიურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ (ბიუჯეტურ-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო, სამრეწველო, სტრუქტურული, ინსტიტუციური და ა.შ.) უნდა წაახალისოს ეკონომიკის საბაზრო წონასწორობიდან პერმანენტული გამოყვანა (განსაკუთრებით ასეთი პოლიტიკა აუცილებელია მაშინ, როდესაც მშპ-ის მოცულობა მკვეთრად ჩამორჩება პოტენციურ დონეს) და მაკროეკონომიკური წონასწორობის ხარისხობრივად ახალი, წინაზე აღმატებული საფეხურის მიღწევა. ანუ ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს მყარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფას გრძელვადიანი პერიოდისათვის.

ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება, ჩვენთან, ძირითადად დამოკიდებულია არა შინაგან ფაქტორებზე, არამედ უცხოურ ინვესტიციებსა და უცხოურ დახმარებებზე და მსხვილი ქონების პრივატიზების შედეგად მიღებულ შემოსავლებზე, რაც განპირობებულია ხელისუფლების არამართლზომიერი დამოკიდებულებით სამამულო წარმოებისადმი.

სამამულო წარმოების მდგრადი განვითარებისა და ეროვნულ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება-განხორციელებისას აუცილებელია სახელმწიფომ მეტი ყურადღება დაუთმოს შიდა ინვესტიციების მოზიდვას, ადგილობრივი მეწარმეებისათვის უცხოელებზე არანაკლებ ხელსაყრელი პირობების შექმნას.

საქართველოში დღეისთვის არსებული ინვესტიციური კლიმატი უფრო ხელსაყრელია უცხოური კაპიტალისათვის, ვიდრე ადგილობრივისათვის. ყოველ შემთხვევაში უცხოური კომპანიების სახელმწიფო რეკეტი ნაკლებ სავარაუდოა, რაც მეტად გავრცელებული ფორმაა ადგილობრივ ფირმებთან სახელმწიფოს დამოკიდებულებაში.

მოსახლეობის მხრიდან დანაზოგების ფორმირებისა და ინვესტიციების წყაროდ მისი გადაქცევის მიზნით აუცილებელია:

– სახელმწიფომ გადადგას ნაბიჯი საბანკო სექტორის მიმართ მოსახლეობის ნდობის ფაქტორის ამაღლების მიზნით, რისთვისაც უპირველეს ყოვლისა საჭიროა ანაბრების სახელმწიფო დაზღვევისა და ინდექსაციის სისტემის ფართოდ დანერგვა;

– შემოსავლების განაწილებაში არსებული მკვეთრი დისპროპორციის აღმოფხვრა, ვინაიდან იგი იწვევს შიდა ბაზრის შევიწროებასა და დეფორმაციას. ეს გამოწვეულია, ჯერ ერთი იმით, რომ შემოსავლის დიდი ნაწილი თავს იყრის მოსახლეობის მცირე ნაწილის ხელში, მეორე კი, იმით რომ შემოსავლების განაწილებაში მკვეთრი დისპროპორციის არსებობისას, მაღალი შემოსავლების წყარო ძირითადად კორუფცია და ჩრდილოვანი ეკონომიკაა, რის შედეგადაც აღნიშნული შემოსავლების ხარჯზე ფორმირებული კაპიტალი „გათეთრების“ მიზნით ხშირად გააქვთ უცხოეთში. ანუ დისპროპორცია შემოსავლების განაწილებაში განაპირობებს კაპიტალის უცხოეთში გაქცევას, რაც აფერხებს შიდა ინვესტიციებისათვის აუცილებელი დანაზოგების ფორმირებასა და სამამულო წარმოების განვითარებას.

ქვეყნის ეკონომიკის დაბალანსებული (რეგიონებისა და ცალკეული დარგების მიხედვით), მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ბიუჯეტის ერთწლიანი გეგმის შემუშავების დამატებით, აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიისა და ინდიკატური გეგმის შემუშავება, რომელიც დაემყარება მეცნიერული კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით მიღებულ პროგნოზებს.

16. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა

ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს არა მხოლოდ ინფლაციური პროცესებისა და სავალუტო კურსების რეგულირებას, არამედ აგრეთვე სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასაც.

მანამ, ვიდრე განვიხილავთ, თუ რა მიზნებს ემსახურება გარდამავალ პერიოდში საქართველოში განხორციელებული ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა, მანამ მოკლედ მიმოვიხილოთ ბოლო წლებში ინფლაციის გამომწვევი მიზეზები ჩვენს ქვეყანაში.

2004 წელს ინფლაციის მიზეზებში შეზღუდული როლი გააჩნდა:

1. მონეტარულ ფაქტორებს, ვინაიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა რეალურ ფულად ნარჩენზე მოთხოვნა;

2. გაცვლით კურსს, ვინაიდან ფასების დონის ამაღლება აღინიშნებოდა ეროვნული ვალუტის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლების პირობებში. ეს ტენდენცია შენარჩუნებულია დღემდე.

აღნიშნულ წელს ინფლაციური პროცესების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა:

1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაძვირებამ კლიმატური პირობების გაუარესების შედეგად;

2. კონტრაბანდის გარკვეულ ზომამდე შემცირებამ (რაც რა თქმა უნდა დადებითი პროგრესული მოვლენაა), რამაც გამოიწვია იმპორტული საქონლის გაძვირება. თუმცა წესით, კონტრაბანდის აღმოფხვრის შედეგად იმპორტული საქონლის გაძვირების კომპენსაცია უნდა მოეხდინა ეროვნული ვალუტის გაძვირებას, რადგან იგი ხელს უწყობს იმპორტის გაიაფებას;

3. ენერგეტიკული რესურსების გაძვირებამ და პროდუქციის საწარმოებლად აუცილებელი დანახარჯების ზრდამ;

4. საგადასახადო ადმინისტრირების სფეროში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრამ, რის შედეგადაც გარკვეულწილად შემცირდა გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების შესაძლებლობები, რამაც განაპირობა პროდუქციის გაძვირება. თუმცა ამ ღონისძიებების განხორციელება ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზების მიზნით აუცილებელი იყო.

2005-2006 წლებში, ინფლაციის გაღრმავებაში, ზემოაღნიშნული მიზეზებიდან, კვლავ მნიშვნელოვანი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ენერგეტიკული რესურსების გაძვირება და შესაბამისად, პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელი დანახარჯების ზრდა. ამასთან, წინა პლანზე წამოიწია მონეტარულმა ფაქტორებმა. კერძოდ, ფულის მიწოდების მნიშვნელოვანმა ზრდამ, რომელიც განხორციელდა 2004 წლისათვის, გამოიწვია ფულზე მოთხოვნის შემცირება 2005 წლისათვის, რაც გამოიხატა M_0, M_2, M_3 ფულადი აგრეგატების მიხედვით გაანგარიშებული მონეტიზაციის კოეფიციენტების მნიშვნელობების ზრდის ტემპების არსებით შემცირებაში. ამასთან, ფულადი აგრეგატების ზრდის ტემპები მართალია არა 2004 წლის მასშტაბებში, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი იყო თვით 2005-2006 წლებშიც.

შესაბამისად, 2006 წლისათვის აღინიშნა ბანკებს გარეთ მიმოქცევაში მყოფ ნაღდ ფულზე მოთხოვნის შემცირება, კერძოდ 2006 წლისათვის 2005 წელთან შედარებით K_0 მონეტიზაციის კოეფიციენტი შემცირდა 5,4%-ით.[1] მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის მასის არსებით ზრდაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახელმწიფო დანახარჯების ზრდამ, საბანკო-საკრედიტო ექსპანსიის არნახულმა გაფართოებამ და პუი-ის მზარდმა შემოდინებამ. ყოველივე ამან ბიძგი მისცა ინფლაციური პროცესების გაღრმავებას. შესაბამისად, 2005-2006 წლებში აღინიშნა K_2 და K_3 მონეტიზაციის კოეფიციენტების ამაღლება 2004 წელს დაფიქსირებულთან შედარებით უფრო დაბალი ტემპებით, ანუ M_2 და M_2 ფულზე მოთხოვნა გაიზარდა სასურველთან შედარებით უფრო დაბალი ტემპებით, ხოლო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, M_0 ფულზე მოთხოვნა 2006 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა კიდევაც (იხ. ცხრ. 4)

ეს რაც შეეხება ოფიციალურ მონაცემებს. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლებში (2005-2007წწ) ინფლაციისა და შესაბამისად, ნომინალური მშპ-ის ფაქტიური დონეები მათ ოფიციალურ დონეებთან შედარებით რეალურად ბევრად უფრო მაღალია, რაზეც ხშირად მიუთითებენ ესპერტები, მაშინ სრულიად შესაძლებელია, რომ მონეტიზაციის კოეფიციენტები 2005-2006 წლებში შემცირებული იყოს არა მხოლოდ M_0 ფულადი აგრეგატის მიხედვით, არამედ M_2 აგრეგატის მიხედვითაც.

თუკი ვენდობით ინფლაციისა და ნომინალური მშპ-ის ფაქტიური დონეების შესახებ ოფიციალურ მონაცემებს, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2004-2006 წლებში აღინიშნა ფულზე მოთხოვნის გარკვეული ზრდა, რასაც ადასტურებს დროის მითითებულ მონაკვეთში ეკონომიკის მონეტიზაციის K_2 და K_3 კოეფიციენტების ამაღლება წინა პერიოდთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ფულზე მოთხოვნისა და ეკონომიკის მონეტიზაციის კოეფიციენტების აღნიშნული მნიშვნელობები ჯერჯერობით ბევრად შორსაა სასურველი ოპტიმალური დონისაგან. მათი დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ სტანდარტებს. ამასთან, მეტ ყურადღებას მოითხოვს K_0 მონეტიზაციის კოეფიციენტის შემცირება 2006 წლისათვის. ასეთ მოკლევადიან პერიოდში მისი შემცირება, თანაც საქართველოს პირობებში, სადაც ფულის მიმოქცევის სიჩქარის ამაღლების სხვა მიზეზებზე საუბარი, გარდა ინფლაციისა ზედმეტია, მიუთითებს ნაღდ ფულზე მოთხოვნის არსებით შემცირებაზე ფასების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების შედეგად. ფასების

---

[1] **K_0-ის შემცირების პირობებში K_2-ის ზრდა ძირითადად განპირობებულია დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის ამაღლებით და უნაღდო ანგარიშსწორების მასშტაბების გაფართოებით.**

დონის ამაღლების მიზეზს M_0 ფულის მიწოდების გადიდებასთან ერთად წარმოადგენს განვადებით (კრედიტით) განხორციელებული გაყიდვის ოპერაციების არნახული გაფართოება.

საქართველოში ფულზე მოთხოვნის დაბალ დონეს გააჩნია მრავალი მიზეზი.

ფულზე ერთობლივი მოთხოვნა, როგორც ცნობილია ყალიბდება ორი კომპონენტისაგან: გარიგებისათვის ფულზე მოთხოვნა (რომელიც ძირითადად დამოკიდებულია ტრანსაქციათა მოცულობაზე) და დანაზოგების ფორმით ფულზე მოთხოვნა.

ფულზე მოთხოვნა აქტივების სახით თავის მხრივ დამოკიდებულია შემოსავლების მოცულობაზე, პროცენტის ნომინალურ განაკვეთზე, ინფლაციის წარსულში არსებულ და მომავალში მოსალოდნელ დონეებზე და ნომინალურ გაცვლით კურსზე (ეს უკანასკნელი ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მ. შ. საქართველოში).

შემოსავლების განსაზღვრულ დონემდე ამაღლებისას იზრდება ფულზე მოთხოვნა როგორც ტრანსაქციათა განხორციელებისათვის, აგრეთვე დანაზოგების ფორმით, ვინაიდან მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლევა თავისი შემოსავლების მეტი ნაწილი გადაინახოს აქტივების სახით ფულად ფორმაში. სამწუხაროდ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების ერთობლივი დონე ჯერჯერობით მკვეთრად დაბალია. შესაბამისად, დაბალია ფულზე მოთხოვნა აქტივების სახით. მოსახლეობის შემოსავლების ამაღლების მიზნით აუცილებელია სათანადო ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელება ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მისაღწევად, აგრეთვე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესება.

პროცენტის ნომინალური განაკვეთი როცა მაღალია მაშინ აქტივების ფორმით ფულზე მოთხოვნა და შესაბამისად ფულზე ერთობლივი მოთხოვნა დაბალია. აქტივების სახით ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის შემცირებას განსაკუთრებით განაპირობებს მოსალოდნელი ინფლაციის მაღალი ტემპით გამოწვეული პროცენტის ნომინალური განაკვეთის ამაღლება. ანუ ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის შემცირებას განაპირობებს არა თავისთავად პროცენტის ნომინალური განაკვეთის ამაღლება, არამედ ისიც, თუ მის ამაღლებაში რა წვლილი მიუძღვის მოსალოდნელი ინფლაციის ტემპის ცვლილებას. ეს იმითაა გამოწვეული, რომ როცა ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი მაღალია, მაშინ მაღალია დანაზოგების სახით ფულის შენახვის ხარჯები. საქართველოში ამ მიზეზით, ანუ მოსალოდნელი ინფლაციის მაღალი დონის შედეგად, აქტივების

სახით ფულზე, კერძოდ კი ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნა დაბალია. ამ ფორმით ფულზე მოთხოვნა ძირითადად წარმოდგენილია უცხოური ვალუტის, კერძოდ კი დოლარის სახით. ამას ადასტურებს, როგორც დეპოზიტებზე განთავსებული დანაზოგების დოლარიზაციის მაღალი კოეფიციენტი, აგრეთვე ისიც, რომ ჩვენთან უძრავი ქონებისა და საბითუმო საქონლის შეძენა ძირითადად ხდება უცხოურ ვალუტაში, რომელიც ლარისადმი უნდობლობის შედეგად წარმოადგენს დაზოგილი ფულის ძირითად კომპონენტს.[1]

ლარისდადმი გარკვეული უნდობლობის, მასზე მოთხოვნის დაბალი დონის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორია კუპონის ერაში განვითარებული ჰიპერინფლაციური პროცესები, რომლის უარყოფითი შედეგებიც ხალხის მეხსიერებაში დაილექა და დიდი ხნით შეარყია ნდობა ეროვნული ვალუტისადმი. ამიტომ იმ პერიოდიდან ხალხი ინერციით უპირატესობას მყარ უცხოურ ვალუტას ანიჭებს, უპირველეს ყოვლისა, კი დოლარს, რომელმაც მთელ რიგ ზემოაღნიშნულ ოპერაციებში პრაქტიკულად ჩაანაცვლა ლარი, რითაც შეზღუდა მისი ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სასიცოცხლო ეკონომიკური სივრცე. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამეწარმეო საქმიანობის შემდგომ ლეგალიზებას, და რაც მთავარია საბითუმო გარიგებების განხორციელებისას და უძრავი ქონებით ვაჭრობისას ლარით უნაღდო ანგარიშსწორების გაფართოებას (რადგან ნაღდი ანგარიშსწორება ძირითადად ხორციელდება დოლარებში). ნაღდი ანგარიშსწორების განხორციელებისას კი მოთხოვნილ უნდა იქნას სათანადოდ დადასტურებული დოკუმენტი აღნიშნული ანგარიშსწორების ლარის მეშვეობით განხორციელების შესახებ.

ფულზე მოთხოვნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საფონდო ბაზრები, რომლებიც ჩვენთან განუვითარებელია, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მონეტიზაციის შედარებით დაბალ დონეს.

დღეისთვის საქართველოში, როგორც ფულად-საკრედიტო სფეროში, აგრეთვე სავალუტო ბაზარზე არსებული სიტუაცია მიმართულია სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის საწინააღმდეგოდ. ინფლაციის მაღალი დონის პარალელურად, დოლართან მიმართებაში ლარის ნომინალური

[1] საქართველოს პირობებში ცალსახად იმის თქმა, თუ რამდენად არის ეკონომიკა მონეტიზებული ძნელია. თუკი მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ ეროვნულ ვალუტას ლარს, მაშინ ცხადია რომ მისი დონე მკვეთრად დაბალია. მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ რომ ლარის პარალელურად მიმოქცევაში იმყოფება დოლარის მნიშვნელოვანი მოცულობა, მაშინ ცხადია რომ ეკონომიკის მონეტიზაციის დონე ბევრად უფრო მაღალია, თუმცა სასურველამდე მაინც ბევრი უკლია. ამგვარად, ეკონომიკის მონეტიზაციის საჭირო დონის მიღწევასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა ლარისადმი ნდობის ამაღლება და ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად მისი საბოლოო აღიარება, რაც თავის მხრივ წაადგება ლარში გამოსახულ მონეტიზაციის დონის ამაღლებას.

გაცვლითი კურსის ამაღლება განაპირობებს რეალური გაცვლითი კურსის ზრდას. ეს ხელს უშლის არა მხოლოდ სამამულო წარმოების აღორძინება-განვითარებას, არამედ აგრეთვე ეკონომიკური ინტერესების მქონე პირდაპირი უცხოურ ინვესტიციების მოზიდვას ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში. რეალური გაცვლითი კურსის ამაღლება ზრდის უცხოელი ინვესტორების მიერ ქართული პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს დოლარებში და შესაბამისად აძვირებს საბოლოო პროდუქციას, რაც თავის მხრივ ნაწილობრივ ანეიტრალებს საქართველოში შრომაზე, მასალებზე, ნედლეულზე, ელექტროენერგიაზე და ა. შ. გაწეულ დაბალ დანახარჯებს ლარებში და ამიტომ წარმოშობს პრობლემებს აღნიშნული პროდუქციის რეალიზაციისას მსოფლიო ბაზარზე.

ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლება ცხადყოფს, რომ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა გარკვეულ წინააღმდეგობაშია სამამულო წარმოების აღორძინება-განვითარების მოთხოვნებთან, რაც გამოწვეულია საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში პოპულარული თეორიულ-მეთოდოლოგიური შეხედულებების ცალმხრივობით, რომლის თანახმადაც ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა, ერთის მხრივ, ინფლაციის დაბალ დონეზე, კერძოდ მცოცავი ინფლაციის, ან უკიდურეს შემთხვევაში „ჯადოსნური“ ერთნიშნა რიცხვის ფარგლებში შენარჩუნება, ხოლო მეორეს მხრივ კი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მაღალი დონის უზრუნველყოფა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სამამულო წარმოების, უპირველეს ყოვლისა კი, მატერიალური წარმოების დარგების აღორძინება, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, ეკონომიკური ზრდის ხარისხის გაუმჯობესება. ამ მიზნის მისაღწევად კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფლაციის ოპტიმალური ტემპის უზრუნველყოფას, ანუ ფასების დონის მოძრაობის ისეთი ტრაექტორიის მიღწევას, რომელიც პროდუქციის გამოშვების გადიდებისას უზრუნველყოფს პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული საშუალო დანახარჯების ზრდის ანაზღაურებას – მოგების საშუალო ნორმის შემცირების გარეშე.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამა ამოქმედდა ჰიპერინფლაციის პირობებში, რომელიც აუცილებელი იყო ამ უკანასკნელის აღმოსაფხვრელად. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, რომლისთვისაც დამახასიათებელია მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სამართლებრივი ბაზისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის არსებობა აუცილებელია ეკონომიკურ პოლიტიკაში შეტანილ იქნას გარკვეული

კორექტივები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამეწარმეო აქტივობის შემდგომ წახალისებას და სამამულო წარმოების, უპირველეს ყოვლისა კი, პრიორიტეტული დარგების აღორძინებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის შემდგომ პერიოდში ფასების დონეზე მოქმედ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროდუქციის გამოშვების გადიდების პარალელურად პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე გაწეული საშუალო დანახარჯების ზრდა, რაც გამოწვეულია თავისუფალი რესურსების ამოწურვითა, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გაძვირებითა და სხვადასხვა სახის მომსახურებაზე დანახარჯების ამაღლებით, აგრეთვე მოძველებული მანქანამოწყობილობების ექსპლუატაციისა და ახალი ტექნიკის დანერგვის ხარჯების გადიდებით.

ამიტომ, მიმდინარე ეტაპზე, ინფლაციის ტემპის რეგულირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ფულადი ფაქტორები, აგრეთვე ერთობლივ მიწოდებაზე ზემომქმედი ეგრეთწოდებული „ფასწარმომქმნელი“ ფაქტორებიც. ამის აუცილებლობას განაპირობებს ის, რომ გრძელვადიანი პერიოდისათვის ნებისმიერი მაკროეკონომიკური პოლიტიკა (მონეტარულ თუ ფისკალურ სფეროებში) განწირულია კრახისთვის ადექვატური მიკროეკონომიკური პოლიტიკის გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე ინფლაციის ტემპის შემცირება ზემოთ აღნიშნულ მინიმალურ დონემდე, საითკენაც ჩვენთან ბოლო წლების განმავლობაში კურსია აღებული, არ შეესაბამება ადგილობრივი საქონელწარმოების აღორძინების ინტერესებს. ინფლაციის ასეთი დაბალი დონე ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვების გადიდებისას წარმოქმნილ დამატებითი დანახარჯების ანაზღაურებას – მოგების საშუალო ნორმის არსებული დონის მკვეთრი შემცირების გარეშე.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, რომლებშიც მშპ-ის ფაქტობრივი მოცულობა პოტენციურს მაქსიმალურად უახლოვდება, ან მისი ტოლია, 1-3%-იანი წლიური ინფლაცია სრულიად საკმარისია ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპის უზრუნველსაყოფად. ჩვენთან კი ინფლაციის ასეთი დაბალი ტემპი, მ. შ. ხშირად 10%-ის ფარგლებშიც კი, ვერ უზრუნველყოფს ფასების დონის მოძრაობის ისეთ ტრაექტორიას, რომელიც საჭირო ა ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად და სამეწარმეო საქმიანობის წასახალისებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუღებლად მიგვაჩნია ჩვენთან, ბოლო 9-10 წლის მანძილზე ჩამოყალიბებული ტენდენცია, რომელიც მდგომარეობს ინფლაციის ტემპის მინიმალურ დონემდე შემცირების უსაფუძვლოდ გაპიარებული იდეის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად დეკლარირებაში, რასაც ეწირება ქართული საქონლის

კონკურენტუნარიანობა. ამასთან, აღნიშნული იდეა რეალურ ცხოვრებაში პრაქტიკულად მიუღწევადი აღმოჩნდა, რაზეც მიუთითებს ფასების რეალური (და არა ოფიციალურის და შესაბამისად გაყალბებულის) დონის მკვეთრი ამაღლება,[1] რაც ნებისმიერი ფენისათვის საგრძნობია. მთავრობას ეს ნაკლებად აღელვებს. მას ჩართული აქვს სტატისტიკური ინფორმაციის გაყალბების მანქანა და ხალხს თვალებში ნაცარს აყრის.

სავალუტო პოლიტიკა, ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლება და მათი მაღალ დონეზე შენარჩუნება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის დაწყებიდან დღემდე ემსახურება ინფლაციის ტემპის მინიმალური დონის მიღწევას (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში გაცვლითი კურსების ამაღლება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია სხვა, სავალუტო პოლიტიკისგან დამოუკიდებელი მიზეზებით. სავალუტო პოლიტიკამ კი ვერ შეძლო წინ აღდგომოდა მათ ამაღლებას). ლარის მაღალი და სტაბილური გაცვლითი კურსის პირობებში ინფლაციის ზეწოლა ვლინდება იმპორტის სასარგებლო საგარეო დისბალანსში, აგრეთვე ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად და ეროვნული ვალუტის კურსის განსამტკიცებლად უცხოური სესხებისა და დახმარებების გაუმართლებელ მოზიდვაში. ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის ამაღლების გზით ინფლაციის მოთოკვა მართალია იწვევს ინფლაციის ტემპის მინიმალურ დონემდე შემცირებას (ჩვენთან ესეც პრაქტიკულად მიუღწეველი აღმოჩნდა), მაგრამ ამავე დროს ლარის რეალური გაცვლითი კურსის ამაღლების შედეგად განაპირობებს სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შემცირებას, მისი დარგობრივი სტრუქტურის დეფორმაციას, რაც გამოიხატება მრეწველობის დარგების პარალიზებაში, რითაც ხელს უშლის ეკონომიკის დაბალანსებულ განვითარებას, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ-ეკონომიკურ უსაფრთხოებას და საფუძველს ქმნის მომავალში გაცვლითი კურსების მკვეთრი მერყეობისათვის.

არასწორი სავალუტო პოლიტიკის შედეგები კარგად ჩანს საქართველოს მაგალითზე, სადაც ბოლო წლებში ლარის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსის ამაღლებამ, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, რაც აისახა ექსპორტთან შედარებით იმპორტის უფრო სწრაფ ზრდაში, რის შედეგადაც მოგებულნი დარჩნენ იმპორტიორები და სავალუტო კურსების მკვეთრი რყევებით დაინტერესებული ფინანსური ჯგუფები.

---

[1] ინფლაციის რეალურმა დონემ, როგორც ჩანს ბევრად გადააჭარბა მაქსიმალურ დასაშვებ დონეს. გარდამავალი ქვეყნების გამოცდილებისა და საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით ასეთ დონედ ჩვენ მიგვაჩნია დაახლოებით 15-20%.

ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსის ამაღლება როცა გამოწვეულია სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებითა და მასზე მოთხოვნის გადიდებით, მაშინ ეს ნორმალური სიტუაციაა, მაგრამ როცა იგი გამოწვეულია სხვა ფქატორებით, მაშინ იგი იწვევს სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის დაცემას, ექსპორტის შეზღუდვასა და იმპორტის წახალისებას. ეს იმითაა გამოწვეული, რომ როცა ეროვნული ვალუტის რეალური გაცვლითი კურსი მაღალია, მაშინ უცხოური საქონლები შედარებით იაფია, ხოლო სამამულო ნაწარმი შედარებით ძვირია და ეს ეკონომიკურ ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებული აქსიომაა.

ამგვარად, უნდა ითქვას, რომ მცირე ღია ეკონომიკისათვის საშიშია არა შედარებით მაღალი ინფლაცია (ზომიერი ტემპის ფარგლებში), არამედ ინფლაცია ეროვნული ვალუტის საგარეო ბაზარზე ერთდროული გაძვირების პირობებში, რასაც სამწუხაროდ ადგილი აქვს საქართველოში.

ლარის დოლარის მიმართ გაძვირება და ინფლაცია საინტერესოა ვის წისქვილზე ასხამს წყალს.

ლარის დოლარის მიმართ გაძვირება გარკვეულწილად აწყობთ დანაზოგების მფლობელებსა და კომერციულ ბანკებს. მათ წესით არ უნდა აწყობდეთ ინფლაცია. თუმცა კომერციული ბაკები და დანაზოგების მსხვილი მფლობელები ამ ორი ურთიერთ საწინააღმდეგო პროცესისაგან მაინც მოგებულნი რჩებიან. კომერციული ბანკები არიან შუამავლები დანაზოგების მფლობელებსა და მსესხებლებს შორის, რის შედეგადაც ნებისმიერ შემთხვევაში რჩებათ საკომისიო (საბანკო პროცენტი). ანუ მიუხედავად ინფლაციისა, რომელიც რა თქმა უნდა აუფასურებს მათ კუთვნილ საკომისიოს, მათ მაინც რჩებათ მოგება. ამასთან, ინფლაციისას დანაზოგების მფლობელებს, კომერციულ ბანკებში განთავსებული დანაზოგები შესაბამისი პროცენტით მართალია უკან უბრუნდებათ შემცირებული ღირებულებით, მაგრამ იმავდროულად ლარის საგარეო ბაზარზე გაძვირება მათ საშუალებას აძლევს აღნიშნული თანხით შეიძინონ დოლარების მეტი რაოდენობა (ისევე როგორც კომერციულ ბანკებს შეუძლიათ მიღებული მოგებით შეიძინონ მეტი დოლარი), ვიდრე ამას შეძლებდნენ დანაზოგების კომერციულ ბანკებში განთავსებამდე. შესაბამისად, მათ შეუძლიათ მეტი უცხოური საქონლის შესყიდვა და შიდა ბაზარზე ძვირად გაყიდვა, რასაც ხელს უწყობს ინფლაციაც. ანუ ისინი ინფლაციისაგან ღებულობენ მოგებას. ამასთან, იმპორტული საქონლის გაყიდვიდან მიღებული თანხით ყიდულობენ მეტი რაოდენობის დოლარებს, მით უფრო, თუკი ლარის დოლარის მიმართ გაძვირების პროცესს შეუქცევადი ხასიათი გააჩნია. აქედან დასკვნა: რომ ლარის დოლარის მიმართ გაძვირება და

ინფლაცია შიდა ბაზარზე ყველაზე მეტად აწყობთ იმპორტიორებს,[1] რომლებიც მოგებას ღებულობენ როგორც ლარის დოლარის მიმართ გაძვირებისაგან, აგრეთვე ინფლაციისაგან. წაგებულნი კი რჩებიან სამამულო საქონელმწარმოებლები, რომელთა საქმიანობასაც მძიმე დარტყმას აყენებს ლარის გაძვირება საგარეო ბაზარზე და მომხმარებლები, რომლებიც იტანჯებიან ინფლაციისაგან.

ამიტომ, ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია რეალური გაცვლითი კურსის შემცირება. ამ მიზნით საჭიროა დოლართან მიმართებაში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსის გეგმაზომიერი შემცირება მინიმალურ კონტროლირებად ფარგლებში – ეროვნული ბანკის მიერ სავალუტო ბაზარზე დოლარის შესაძენად განხორციელებული სავალუტო ინტერვენციის გზით. იმისათვის, რომ ამან არ გამოიწვიოს ფასების დონის შესაბამისი ტემპით ამაღლება, ამისათვის საჭიროა ერთდროულად გონივრულ ფარგლებში შეიზღუდოს სახელმწიფო ხარჯები და შიდა კრედიტების გაცემა.[2] ამ შემთხვევაში აღნიშნული სავალუტო პოლიტიკა ძირითადად ზემოქმედებას მოახდენს იმპორტულ საქონლის ფასზე, ხოლო სამამულო პროდუქციაზე ფასები ამაღლდება შედარებით უმნიშვნელოდ, ვინაიდან ადგილობრივი წარმოება, სავალუტო ბაზარზე მომხდარ ასეთ ცვლილებებს ფასების ამაღლებასთან ერთად უპასუხებს საქონლის მიწოდების გადიდებით.

ვალუტის დევალვაცია ხშირად ინფლაციის გამკაცრებას იწვევს, თუმცა მსოფლიო პრაქტიკაში მკაცრი კანონზომიერება მათ შორის თანაფარდობაში არ არის დადგენილი. ასე მაგალითად, როდესაც ქვეყანაში, ზომიერი ინფლაციის არსებობის პირობებში, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულია სტაბილური გაცვლითი კურსი (რასაც ადგილი ჰქონდა ლარის შემთხვევაში

---

[1] იმპორტის ლობისტებად ჩვენთან ძირითადად გამოდიან ხელისუფლების ზედა ეშელონების წარმომადგენლები. ამის მიზეზია ის, რომ ვაჭრობის სფეროში კაპიტალი სწრაფად ბრუნავს და სხვა სფეროებთან შედარებით სწრაფად ხდება ჩადებული თანხის ამოღება და მოგების მიღება. ამასთან, ვაჭრობის სფერო, არ მოითხოვს იმ სპეციფიკურ ცოდნას და მენეჯერულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია მატერიალური წარმოების სფეროს ეფექტიანი ორგანიზებისათვის როგორც მიკრო, აგრეთვე მაკრო დონეზე და რომლის დეფიციტსაც განიცდის ჩვენი ხელისუფლება. ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან დაინტერესებითაა განპირობებული ის, რომ ჩვენთან ბოლო 15 წლის მანძილზე დაუფარავად მიმდინარეობს იმპორტის ყველა მეთოდით წახალისება, მ. შ., უპირველეს ყოვლისა, საგარეო ბაზარზე ეროვნული ვალუტის ხელოვნური გაძვირებითაც, რაც სასიკვდილო დარტყმას აყენებს სამამულო წარმოებას.

[2] დღეს იაფი კრედიტები ძირითადად გაიცემა მომსახურების სფეროში და სამომხმარებლო პროდუქციის შესაძენად, რომლის მიზანიც, თითქოსდა, თვითდასაქმების წახალისებაა, სინამდვილეში კი საბანკო სექტორის მიერ მოგების მიღებაა. ნებისმიერ შემთხვევაში იგი ვერ უზრუნველყოფს მყარი დასაქმებისა და დაბალანსებული ეკონომიკური აღმავლობის საფუძვლებს, რისთვისაც მნიშვნელოვანია რეალურ სექტორში, ანუ მატერიალური წარმოების სფეროებში დასაქმებული მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის დაბალანსებული აღორძინება, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია მსყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის შესაბამის დონემდე ლარის გაცვლითი კურსების შემცირების გარეშე.

1996-97 წლებში და 1998 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში), მაშინ სავალუტო კურსის ხელოვნურ შენარჩუნებაზე უარის თქმა გამოიწვევს ვალუტის დევალვაციას, რასაც შედეგად მოყვება ნომინალური გაცვლითი კურსის ბუნებრივი დონის აღდგენა მსყიდველობითი უნარის პარიტეტის შესაბამისად, ხოლო ფასების დონე შედარებით უმნიშვნელოდ გაიზრდება (ფასების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება მოცემულ შემთხვევაში წინ უსწრებს ვალუტის დევალვაციას. უფრო მეტიც ვალუტის დევალვაცია გამოწვეულია სტაბილური გაცვლითი კურსის არსებობის პირობებში ფასების დონის აღნიშნული მნიშვნელოვანი ამაღლებით). დევალვაციის ტემპსა და ინფლაციის ტემპს შორის თანაფარდობა დამოკიდებულია დევალვაციის წინა პერიოდში სავალუტო კურსის ცვლილებასა და ფასების დონის ცვლილებას შორის არსებულ თანაფარდობაზე.

ე. ი., 1998 წლის დასაწყისიდან, დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი გაუფასურება გამოიწვევდა ფასების დონისა და შესაბამისად ინფლაციის ტემპის მხოლოდ უმნიშვნელო ამაღლებას, ისიც ძირითადად იმპორტული საქონელის ხარჯზე, რაც აამაღლებდა ქართული საქონლის კონკურენტუნარიანობას, ანუ ქართულ ნაწარმს მიანიჭებდა ფარდობით უპირატესობას იმპორტულთან შედარებით, თუმცა ეს არ განხორციელებულა მანამ, ვიდრე რუსეთში აგვისტოს ფინანსურმა კრიზისმა საბოლოოდ არ დაარწმუნა საქართველოს მთავრობა და მისი მთავარი მრჩევალი საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ასეთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაში.

მიუხედავად ზემოარნიშნულისა, 1998 წლის სექტემბერ-ნომებრის თვეებში საქართველოს ეროვნული ბანკი, სავალუტო ბაზარზე ინტენსიური ინტერვენციების მეშვეობით ეწინააღმდეგებოდა ლარის გაცვლითი კურსის მკვეთრ გაუფასურებას აშშ-ის დოლართან მიმართებაში და ცდილობდა გადაცვლის კურსის მართვადი მცურავი რეჟიმის პოლიტიკის გატარებას, ანუ ცდილობდა ლარის გაცვლითი კურსის უკიდურესად მცოცავი ტემპით შემცირების შენარჩუნებას. მაგრამ ამგვარმა პოლიტიკამ გამოიწვია სებ-ის უცხოური ვალუტის რეზერვების მკვეთრი შემცირება. ამავე დროს ცხადი გახდა მართვადი მცოცავი რეჟიმით განსაზღვრულ ფარგლებში ლარის გაცვლის კურსის შენარჩუნების შეუძლებლობა დოლარზე მაღალი მოთხოვნისა და სებ-ის უცხოური ვალუტის რეზერვების შევსების წყაროს არარსებობის გამო. ამიტომ ნოემბრის შუა პერიოდიდან სებ-მა შეწყვიტა ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე და ლარის გაცვლითი კურსი გაათავისუფლა სავალუტო კონტროლისაგან. ლარის გაცვლითმა კურსმა მიიღო თავისუფლად მცურავი სავალუტო კურსის სტატუსი, რამაც საფუძველი ჩაუყარა აშშ-ს დოლართან თანაფარდობაში ლარის გაცვლითი კურსის დადგენას სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების

რეალურად არსებული თანაფარდობის შესაბამისად (თუმცა როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, თავისუფლად მცურავი საკურსო რეჟიმისადმი სიტყვიერი ერთგულების მიუხედავად, ეროვნული ბანკი შემდგომ წლებშიც აგრძელებდა მნიშვნელოვან და სისტემატურ ზემოქმედებას სავალუტო კურსზე. აღნიშნულ პერიოდში მოქმედ სავალუტო-საკურსო რეჟიმს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ მკაცრად მართვადი მცურავი კურსის, ანუ მართვადი კურსის რეჟიმი, რომლის ძირითად მიზანსაც წარმოადგენდა ლარის გაცვლითი კურსის ხელოვნურად მაღალ დონეზე შენარჩუნება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სამამულო საქონელწარმოებას. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ 1998 წლის შემოდგომაზე ლარის დევალვაცია და შესაბამისად სამამულო საქონელწარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა არ შედიოდა მთავრობისა და საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციების გეგმაში. იგი წარმოადგენდა იძულებით რეაქციას რუსეთის საფინანსო-სასაქონლო ბაზარზე განვითარებული მოვლენების მიმართ, რომლის შედეგად დოლარმა საქართველოდან რუსეთში დაიწყო გადინება).

სსდ-ის ინფორმაციით 1998 წლის ნოემბრის თვის მეორე ნახევარში და დეკემბრის თვის დასაწყისში ლარის გაცვლითი კურსი გაუფასურდა დაახლოებით 33 %-ით, რამაც გამოიწვია ფასების ამაღლება მხოლოდ 12 %-ით ძირითადად იმპორტულ პროდუქციაზე, რაც ადასტურებს იმას რომ გაცვლითი კურსის დაცემა განსაზღვრულ პირობებში არ იწვევს ფასების დონის ადექვატურ ამაღლებას.

ჩვენთან სამრეწველო წარმოების სფეროს მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხის გამო ძნელია იმის განჭვრეტა, დღევანდელ პირობებში თუ რა ზემოქმედებას მოახდენს ლარის გაცვლითი კურსის დაცემა სამამულო წარმოებაზე. თუმცა, თუკი ლარის დევალვაციის ტემპთან შედარებით, ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე ამ მიზეზით (ლარის დევალვაციით) ფასები გაიზრდება უფრო ნაკლები ტემპით, მაშინ იმპორტულ საქონელზე მოთხოვნა შემცირდება, ხოლო სამამულო წარმოების საქონელზე პირიქით გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს ქართული საქონელწარმოების აღორძინება-განვითარებას (ამ თვალსაზრისით კვლავ უაღრესად არასახარბიელო სიტუაცია დაფიქსირდა 1999 წლისათვის: სსდ-ის მონაცემების თანახმად, წლის დასაწყისთან შედარებით თითქმის მთელი წლის განმავლობაში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი მაღალი იყო, მაშინ როდესაც ინფლაციის წლიურმა ტემპმა შეადგინა 10,9 %; სავალუტო კურსისა და ფასების დონის ცვლილების აღნიშნულმა თანაფარდობამ ისევ გააუარესა პირობები ადგილობრივი წარმოებისათვის. მიუხედავად ამისა, 1998 წლისათვის მომხდარმა ლარის დევალვაციამ გარკვეული დადებითი ზეგავლენა მოახდინა სამამულო

საქონელწარმოებაზე, რაც გამოვლინდა უფრო შორეული პერიოდისათვის, კერძოდ 2003 წლისათვის).

საქართველოში, სავალუტო პოლიტიკის მეშვეობით, ლარის დოლართან მიმართებაში გეგმაზომიერი მინიმალური გაუფასურება, სახელმწიფო ხარჯებისა და საბანკო კრედიტების შემცირების პირობებში, ჩვენი აზრით არ გამოიწვევს ფასების დონის შესაბამისი ტემპით ამაღლებას. იგი ძირითადად ზემოქმედებას მოახდენს იმპორტული საქონლის ფასზე, ხოლო სამამულო პროდუქციაზე ფასები ამაღლდება შედარებით უმნიშვნელოდ, ვინაიდან შიდა სასაქონლო ბაზარი სავალუტო ბაზარზე მომხდარ ასეთ ცვლილებებს უპასუხებს როგორც ფასების, ასევე საქონლის მიწოდების გადიდებით.

ამგვარად, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის მეშვეობით მიზანშეწონილად მიგვაჩნია უზრუნველყოფილ იქნას რეალური გაცვლითი კურსის ყოველწლიური შემცირება თუნდაც 1%-ის ფარგლებში (უკიდურეს შემთხვევაში აუცილებელია რეალური გაცვლითი კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფა, რათა დაძლეულ იქნას მისი შემცირებისა და სამამულო პროდუქციის გაძვირების ტენდენცია). რეალური გაცვლითი კურსის შემცირება გამოიწვევს სამამულო და იმპორტულ საქონელს შორის შეფარდებითი ფასების ისეთი ცვლილებას, რომელიც იმპორტულთან შედარებით გაიაფებს ქართულ საქონელს და წაახალისებს სამამულო საქონელწარმოებას, აგრეთვე სასაქონლო ექსპორტს, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის დეფიციტის შემცირებას.

რეალური გაცვლითი კურსის შემცირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია დოლართან მიმართებაში ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი ყოველწლიურად გაუფასურდეს: საქართველოში და აშშ-ში ფასების დონეების თანაფარდობის ზრდის ტემპთან შედარებით უფრო მაღალი ტემპით (ხოლო რეალური გაცვლითი კურსის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საჭიროა ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი ყოველწლიურად გაიაფდეს, ან გაძვირდეს ფასების დონეების ზემოაღნიშნული თანაფარდობის ამაღლების, ან შემცირების ტემპის შესაბამისი სიდიდით). იგივე პოლიტიკა უნდა განხორციელდეს იმ ქვეყნების ვალუტების მიმართაც, რომლებიც საგარეო ვაჭრობის სფეროში წარმოადგენენ საქართველოს მთავარ პარტნიორებს (ძირითადად საუბარია რუსულ რუბლზე და თურქულ ლირაზე).

რეალური გაცვლითი კურსის შემცირება სამომხმარებლო პროდუქციის იმპორტთან ერთად გააძვირებს მანქანა-მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების იმპორტსაც, მაგრამ ამის თავიდან აცილება შესაძლებელია, მაგალითად, იმპორტირებულ მანქანა-მოწყობოლობებზე და ტექნოლოგიებზე დღგ-ის შემცირების ან გაუქმების, ან მათი იმპორტის სუბსიდირების გზით.

გაცვლითი კურსების რეგულირებისას, რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ პუი-ის, უცხოური დახმარებებისა და უცხოეთში დასაქმებული ჩვენი თანამემამულეების ფულადი გზავნილების მოცულობების გადიდება განაპირობებს ლარზე მოთხოვნის ზრდას, რაც თავის მხრივ იწვევს ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლებას. უცხოური ვალუტის ბაზარზე ლარზე მოთხოვნა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლების პროცესი მიმდინარეობს მიმოქცევაში მყოფი ლარის მასის ზრდისა და ფასების დონის ამაღლების პირობებში, რაც ართულებს გაცვლითი კურსების ცვლილებას სასურველი მიმართულებით. გაცვლითი კურსებისა და ინფლაციის რეგულირებისას ძირითადი პრობლემაა, ინფლაციის ტემპის ეკონომიკურად მიზანშეწონილი დიაპაზონის შერჩევა. ჩვენთან, როგორც აღვნიშნეთ ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ ინფლაციის ტემპმა არ გადააჭარბოს დასაშვებ „ჯადოსნურ“ ერთნიშნა ნიშნულს, ანუ მისი მაქსიმალური დასაშვები ზღვარი 10%-ზე ნაკლებია. თუმცა ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ინფლაციის ტემპის დასაშვები დონე ამაღლდეს 15-20 %-მდე. სწორედ ამ დონემდეა დასაშვები ინფლაციის ტემპის ამაღლება, ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ჩვენს მიერ ზემოთ მითითებულ მინიმალურ ფარგლებში შემცირებისას და მიმოქცევაში მყოფი ლარის მასის შესაბამისი ცვლილებისას[1].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპტიმალური ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გატარება, რომლის ფარგლებშიც ინფლაციის ტემპისა და სავალუტო კურსების რეგულირება მიმართული იქნება არა მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფად, არამედ აგრეთვე სამამულო წარმოების, უწინარეს ყოვლისა კი მატერიალური წარმოების

[1] სხვა საკითხია ის, თუ ინფლაციის ოფიციალური ტემპი რამდენად რეალურად ასახავს მის რეალურ მნიშვნელობას. საზოგადოებაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მისი რეალური დონე გაცილებით მაღალია ოფიციალურზე. ასეთ პირობებში გარდაუვალია ან ფულად-საკრედიტო და სავალუტო სფეროებში არსებულ ვითარებასთან და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის გაუარესებასთან შეგუება, ან აუცილებელია ფულად-სავალუტო პოლიტიკის გადახედვა, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და/ან საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის პრიორიტეტების გადასინჯვა, რისი განხორციელების შესაძლებლობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაერთიანების შემდეგ მინიმალურია. ცხადია ისიც, რომ გაურკვეველი მიზეზების გამო დღეისთვის მთავრობა ამ მინიმალურ შესაძლებლობასაც არ იყენებს. უფრო რეალურია პუი-ის ნაკადების მართვა, მათი წახალისება ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად მიღებული შემოსავლების ძირითადი ნაწილის გადაცემა „საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარების ფონდი“-სთვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სამამულო წარმოების პრიორიტეტულ დარგებში მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის სფეროში დასაქმებული მეწარმეების წახალისება გრანტებისა და შედავათიანი კრედიტების გაცემის, უფასო კონსულტაციებისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით. აღნიშნული ღონისძიებების კომპლექსური განხორციელება სათანადო პირობებს შექმნის გრძელვადიან პერიოდში სამამულო წარმოების

სფეროების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და ასაღორძინებლად, მოითხოვს ძლიერი და დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის არსებობას. დღეისთვის საუბარი მიმდინარეობს ეროვნული ბანკის ფუნქციების შეკვეცაზე, მონეტარული პოლიტიკის სფეროში მისი როლის შესუსტებაზე, უფრო მეტიც მის სრულ გაუქმებაზეც, რაც ამ სფეროში ყველაზე აბსურდული და გაუმართლებელი გადაწყვეტილება იქნება. უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული ბანკი (მიუხედავად მის მიერ დაშვებული გარკვეული შეცდომებისა, რომლებიც მნიშვნელოვანწილად გარე ფაქტორებითაც იყო გამოწვეული) და საერთოდ ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა დამოუკიდებელი საქართველოს მნიშვნელოვანი მონაპოვარია და მას გაფრთხილება სჭირდება. სათანადო საკანონმდებლო ბაზისა და სათანადო გარემოს (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური) პირობებში ეროვნული ბანკი ქართული ეკონომიკური სივრცის ნორმალური ფუნქციონირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

17. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დისპროპორციების გამოთანაბრება და მათი თანაბარზომიერი განვითარების ხელშეწყობა

საქართველოს რეგიონების უმრავლესობა ხასიათდება უარყოფითი განვითარების ჩაკეტილი ციკლის არსებობით, რომლის დაძლევის გარეშე შეუძლებელია საუბარი ქვეყნის დაბალანსებულ და რაც მთავარია მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე.

რეგიონების ფინანსურ უზრუნველყოფაში არსებული დისპროპორციების აღმოფხვრისა და გამოთანაბრების ერთ-ერთ ინსტრუმენტად უნდა იქცეს „ფინანსური შესაძლებლობების გამოთანაბრება“, ანუ მდიდარი რეგიონების (ჩვენს შემთხვევაში ქალაქების) მიერ შემოსავლების ნაწილის გადაცემა ღარიბი რეგიონებისათვის. თუმცა ეს მოითხოვს ფრთხილ მიდგომას, ვინაიდან შემოსავლების გადანაწილებით მეტისმეტმა გატაცებამ, შეიძლება გამოიწვიოს მდიდარი რეგიონების წარმომადგენელთა პროტესტი. თუმცა, იდეოლოგიური თვალსაზრისით სათანადოდ უზრუნველყოფილი ერთიანი ეროვნულ-ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში ამის მიღწევა გარკვეული პერიოდის მანძილზე შესაძლებელია. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნულ ღონისძიებას, ისევე როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონებისათვის მიზნობრივი ტრანსფერტების გამოყოფას არ გააჩნია წამახალისებელი ხასიათი.

კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. რაც მთავარია საფუძველი ჩაეყრება უმუშევრობის შემცირებასა და მოსახლეობის რეალურ დასაქმებას.

შესაბამისად, ისინი ვერ უზრუნველყოფენ რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ამიტომ, ჩამორჩენილ რეგიონებში სამეწარმეო საქმიანობის წახალისებისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მიზნით აუცილებელია სტიმულირების ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა:

– ინვესტიციური გრანტები;

– შეღავათიანი სესხები, მ.შ. უპროცენტო სესხების გაცემა სამეწარმეო საქმიანობის წამახალისებელი ფონდებიდან (მაგალითად საქართველოს ეკონომიკის აღორძინების ფონდიდან);

– საგადასახადო კრედიტი, ანუ გადასახადის გადახდის გადავადება განსაზღვრული პერიოდის მანძილზე, რომლითაც უნდა წახალისდეს ჩამორჩენილ რეგიონებში წარმოების გადაადგილება ან დაარსება.

– საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაცია ცალკეული რეგიონების მიხედვით, რაც უნდა განხორციელდეს არა მწარმოებლის რეგისტრაციის ადგილის ან იურდიული მისამართის მიხედვით, არამედ პროდუქციის ფაქტობრივი წარმოების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ამასთან, რეგიონებში მოსახლეობის დასაქმებისა და დამაგრებისათვის ხელშეწყობის მიზნით, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებისას მიზანშეწონილია ტერიტორიული კოეფიციენტების გამოყენება.

განსაკუთრებულ ხელშეწყობას საჭიროებენ ის საწარმოები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ ინოვაციური კონკურენციის საფუძველზე, რითაც ხელს უწყობენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებასა და შესაბამისად, რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

უნდა შემუშავდეს ეკონომიკური ზრდის რეგონული ცენტრების (ზრდის თავისებური პოლუსების) განვითარების პროგრამები. ეკონომიკური ზრდის აღნიშნული „პოლუსები“ უნდა იქცენ ინოვაციისა და პროგრესის წყაროდ, უპირველეს ყოვლისა რეგიონების მასშტაბით, რაც ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

18. სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ხელშეწყობა

საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებულ პრობლემებს შორის განსაკუთრებით აქტუალურია: დაბალი პროდუქტიულობა; კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი; შემოსავლების დაბალი დონე; იაფფასიანი, კარგად შეფუთული და გაფორმებული, მაგრამ ეკოლოგიურად

საშიში იმპორტული პროდუქციის მხრიდან ტოტალური კონკურენცია; ტექნიკური აღჭურვის უკიდურესად დაბალი დონე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში სათანადოდ განათლებული ფერმერების დეფიციტი და ა. შ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზანია:

– ქვეყნის მოსახლეობის სამამულო წარმოების სურსათით მაქსიმალური თვითუზრუნველყოფა;

– დასაქმებულთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლება;

– სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების ოპტიმალურ-რაციონალური გამოყენება;

– სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მუშაკების შემოსავლების ზრდა, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ადგილზე დამაგრების უზრუნველყოფა.

სახელმწიფომ, ცალკეული რეგიონების სპეციფიკურობის (მოსახლეობის სიმჭიდროვე, მცირემიწიანობა და ა. შ.) გათვალისწინებით, ხელი უნდა შეუწყოს როგორც წვრილი, აგრეთვე მსხვილი გლეხურ-ფერმერული მეურნეობების განვითარებას.

მსხვილი გლეხური მეურნეობების წახალისება ძირითადად გამართლებულია მათი შედარებით მაღალი ეფექტიანობითა და შესაბამისად, მათი მაღალმწარმოებლურობით, წვრილი გლეხური მეურნეობებისა კი იმით, რომ ისინი უზრუნველყოფენ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის თვითდასაქმებასა და ადგილზე დამაგრებას, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია დემოგრაფიული პრობლემების გარკვეულ მოგვარებასთან, ვინაიდან სოფლად მოსახლეობის გამრავლების ტემპი შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქად.

საქართველო მცირემიწიანი და მთაგორიანი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლადაა დასაქმებული. ამიტომ, მანამდე მაინც, ვიდრე ქალაქად არ მოხდება დასაქმების დონის ამაღლება და არ გაჩნდება მოთხოვნა ახალ მუშახელზე, მანამ საჭიროა სოფლად განხორციელდეს მცირე და საშუალო ფერმერების საქმიანობის წახალისებისა და შესაბამისად, მოსახლეობის ადგილზე დამაგრების პოლიტიკა. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელი დაიცლება მოსახლეობისაგან, რომლის ნაწილიც მიაშურებს ქალაქს და კიდევ უფრო დაამძიმებს იქ არსებულ სოციალურ ატმოსფეროს, მეორე ნაწილი კი შეუერთდება ემიგრანტების მრავალრიცხოვან არმიას. ნებისმიერ შემთხვევაში წაგებული დარჩება ჩვენი სახელმწიფო, რომლის სასიცოცხლო დვრიტა ქართულ სოფელშია დავანებული.

წვრილი გლეხურ-ფერმერული მეურნეობების უმთავრესი პრობლემაა დაბალი ეფექტიანობა, რომლის დაძლევაც შეუძლებელია ტექნიკური საშუალებებისადმი ხელმისაწვდომობის გაიოლების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელისუფლების ნომერ პირველი ამოცანაა მათი მწარმოებლურობის ამაღლების ხელშეწყობა. ანუ, ხელისუფლების ეგიდით უნდა შეიქმნას მანქანა-ტრაქტორების სპეციალური პარკები, რომლებიც შეღავათიან ფასებში (მთავრობის მიერ სუბსიდირებულ ფასებში) მოემსახურებიან აღნიშნულ მეურნეობებს.

როგორც წვრილი, აგრეთვე მსხვილი გლეხურ-ფერმერული მეურნეობების წახალისების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას:

– სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების რეგულირება, როგორც საბიუჯეტო სუბსიდირების შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული ღონისძიება გულისხმობს მიზნობრივი (დაცული) ანუ ორიენტირებული ფასების და საინტერვენციო ფასების, ანუ მინიმალური გარანტირებული ფასების დაწესებას. ასევე შესაძლებელია ფასების მრავალფაზიანი სისტემისა და საგირავნო ფასების შემოღება [19, გვ.].;

– იმპორტულ პროდუქციაზე მინიმალური ფასის დაწესება, რათა აღმოიფხვრას ეკოლოგიურად მავნე და დემპინგური იმპორტული პროდუქციის მხრიდან ტოტალური კონკურენცია. ამავე მიზნით შეიძლება შემოღებულ იქნას ფიტო-სანიტარული ნორმები, რომლის მოთხოვნებიც თანაბრად უნდა გავრცელდეს სამამულო პროდუქციაზეც;

– სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა (ფინანსური, ტექნიკური, მატერიალური) სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განხორციელებისას. ამავე მიზნით უფასო საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრების შექმნა;

– საკრედიტო და საგადასახადო შეღავათების დაწესება. გლეხურ-ფერმერული მეურნეობების შეღავათიანი დაკრედიტების უზრუნველყოფის მიზნით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაფინანსებაზე სპეციალიზებული სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულების შექმნა.

– მაღალმთიან რეგიონებში არსებული გლეხურ-ფერმერული მეურნეობების განვითარების მიზნით, ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების დამატებით, სპეციალური პროგრამების შემუშავება.

აქტუალურია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენადაა მისაღები მიწის ბაზრის ფუნქციონირება ჩვენთან? და თუკი მისაღებია, მაშინ რა სპეციფიკა და რა ასპექტებია გასათვალისწინებელი?

მიწის ბაზრის (იგულისხმება, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულები, აგრეთვე ტყის ფონდი და ბუნებრივი წყალსაცავები) არსებობა მიწის რესურსების ოპტიმალურ-რაციონალური გამოყენების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამასთან, მისი გახსნილობის ხარისხის ამაღლებისას (ბაზარზე უცხოელთა დაშვებისას) გასათვალისწინებელია უარყოფითი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტები (მიწის რესურსების ზღვარსგადასული ექსპლოატაცია და მისი რესურსების გაჩანაგება), აგრეთვე პოლიტიკური და დემოგრაფიული პრობლემები. საქართველოში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობისა და მოსალოდნელი ეკოლოგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მიწის მხოლოდ შიდა ბაზრის არსებობა. ანუ, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გათვალისწინებით მიუღებლად მიგვაჩნია აღნიშნულ ბაზარზე **უცხოელთა, როგორც ფიზიკური ისე იურდიული პირების** დაშვება (ესაა ერთადერთი ბაზარი, სადაც დაშვებულ უნდა იქნან მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები და მათ მიერ დაფუძნებული ფირმები). ამასთან, ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულებისა და ტყის რესურსების ადგილობრივ მესაკუთრეთა მკაცრი კონტროლი, ვინაიდან როგორც ცნობილია, ტყის რესურსებს, ბოლო 15 წლის მანძილზე აუნაზღაურებელი ზიანი სწორედ ჩვენმა თანამემამულეებმა მიაყენეს.

19. ძირითადი ინფრასტრუქტურის (ენერგეტიკის, კავშიგაბმულობის, ტელესაკომუნიკაციოსა და სატრანსპორტოს) განვითარება

ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ენერგეტიკის სფეროში არსებული ვითარება, მისი ტექნოლოგიური აღჭურვისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ენერგეტიკული სისტემის ეფექტიანობის ამაღლებასა და მისი მდგრადობის უზრუნველყოფას. ამისთვის აუცილებელია:

– ელექტროენერგიის წარმოების სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა (რაც აგრეთვე ხელს შეუწყობს ამ სფეროში კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებას);

– ელექტროენერგიის წარმოების სფეროში ტრადიციული ჰიდრო და თბოენერგიების გამოყენების პარალელურად ქარის, ზღვის, მზისა და ენერგიის სხვა წყაროების გამოყენების დანერგვის წახალისება;

– ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება, მათი წილის ამაღლება და იმპორტის წილის ეტაპობრივი შემცირება. აღსანიშნავია, რომ საკუთარ რესურსების უკმარისობის შედეგად საქართველოში შეუძლებელია თვითკმარი, ჩაკეტილი ენერგოსისტემის ჩამოყალიბება, მაგრამ აუცილებელია და შესაძლებელიცაა ადგილობრივი წარმოების წილის ამაღლება ელექტროენერგიის მიწოდებაში;

– გაზის მარაგის შექმნა. ამ მიზნით სათანადო საცავის მშენებლობა;

– ელექტროენერგიის საბოლოო მოხმარების ეფექტიანობის ამაღლება – ელექტროენერგიის დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვის გზით. ამასთან, ენერგოტევად პროდუქციის წარმოებასთან შედარებით მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოებისთვის უპირატესობის მინიჭება და მისი წახალისება;

– ენერგორესურსების მოწოდების იმპორტული წყაროების დივერსიფიკაციის დონის ამაღლება;

– ენერგობაზარზე მაქსიმალურად კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და ახალი კომპანიების შესვლისათვის სამართლიანი პირობების უზრუნველსაყოფად ენერგეტიკის სფეროში რესტრუქტურიზაციის, ინსტიტუციური და ორგანიზაციული რეფორმების გაგრძელება – აღნიშნული ბაზრის სპეციფიკის (რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი მიეკუთვნება ბუნებრივი მონოპოლიის სფეროს), ეკონომიკური მიზანშეწონილობის, გარე გარემოს ცვლილებებისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით.

– ენერგეტიკული სექტორის ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურული ერთეულების (გენერაცია, გადაცემა, მიწოდება და განაწილება), განსაკუთრებით კი იმ სეგმენტების ტექნიკურ-იურდიული განცალკევების დასრულება, რომლებშიც არსებობს კონკურენციის გაღრმავების პოტენციალი (რა თქმა უნდა ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით).

– ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოების (კომისიების) მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება, მათი საქმიანობაში საჯარობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, მათი დამოუკიდებლობისა და შესაბამისად, ლეგიტიმურობის ხარისხის ამაღლება;

– მარეგულირებელი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღება არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ხშირად პოლიტიკურად არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღებას. ამასთან, მარეგულირებელ ორგანოს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს გონივრული ბალანსის დაცვა სამართლიანობასა (ძირითადად მომხმარებელთა ინტერესები) და ეფექტიანობას (ძირითადად ენერგეტიკის სფეროში დასაქმებული კომპანიების ინტერესები) შორის, ანუ მისაღებობასა და მიზანშეწონილობას შორის;

– მარეგულირებელი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღება უპირატესად გრძელვადიანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით.

მარეგულირებელი ორგანოების არსებობა ენერგეტიკისა და გაზით მომარაგების სექტორებში გარდაუვალია. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული სფეროები მიეკუთვნება ბუნებრივ მონოპოლიას, სადაც სათანადო სახელმწიფოებრივი რეგულირების არარსებობის შემთხვევაში, მონოპოლისტი ფირმებისაგან მოსალოდნელია პროდუქციის მოცულობით, ხარისხითა და ფასებით მანიპულირება – ხელოვნურად გადიდებული მოგების მისაღებად.

მარეგულირებელმა ორგანოებმა ენერგეტიკისა და გაზით მომარაგების სფეროში დასაქმებულ ფირმები უნდა აიძულონ ისეთი ფასების დაწესება, ან უნდა დაუდგინონ ისეთი ფასები, რომლებიც ერთის მხრივ, ხელს შეუწყობენ აღნიშნული მონოპოლიური ფირმების მიერ გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას, მათი ძირითადი ფონდების განახლებას, მათ მიერ ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვას და მოგების ნორმალური ნორმის მიღებას, მეორეს მხრივ კი მისაღები იქნებიან მომხმარებლებისათვის. ე.ი. მარეგულირებელმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს გონივრული ბალანსი მომხმარებლებისა და ენერგობაზარზე მომქმედი კომპანიების ინტერესებს შორის.

აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფოებრივი რეგულირება აიძულებს ბუნებრივი მონოპოლიის სფეროში (მ. შ. ენერგეტიკის) დასაქმებულ ფირმებსა და მათ კონკურენტებს ახალი ტექნოლოგიებისა და ახალი სერვისის დანერგვას, რაც ხელს უწყობს კონკურენციული გარემოს შექმნას. ამის დადასტურებაა ტელეკომუნიკაციების სფეროში ციფრული და სატელიტური ტექნოლოგიების განვითარება, რის შედეგადაც გაჩნდა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა საკაბელო, ფიჭურ და სატელიტურ სატელეფონო სისტემებს შორის.

ამგვარად, ენერგეტიკისა და გაზით მომარაგების სფეროების რეგულირება მისაღებია იმ ზომამდე, რომლის ფარგლებშიც იგი, ერთის მხრივ, ხელს უწყობს ამ სფეროებში დასაქმებული ფირმების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას, მეორეს მხრივ კი განაპირობებს მომხმარებლებისათვის მისაღებ ფასებში ელექტროენერგიისა და გაზის შეუფერხებელ მიწოდებას, მესამეს მხრივ კი ხელს უწყობს ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებას.

ელექტროენერგეტიკულ სექტორში რეფორმების განხორციელებისას გასათვალისწინებელია უცხოეთის გამოცდილება. ასე მაგალითად, ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში ელექტროენერგეტიკულ სფეროში შეინიშნება ბაზრის კონცენტრაცია და კონსოლიდაცია, აგრეთვე პრივატიზებული კომპანიების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციისაკენ მისწრაფება, რის შედეგადაც აღნიშნულ ბაზარზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დომონირებული მდგომარეობა უკავია 3-4 მსხვილ კომპანიას. უფრო მეტიც ჰოლანდიასა და ნორვეგიაში ეროვნული ელექტროენერგეტიკული კომპანიების სხვა ქვეყნის კომპანიების მიერ შესყიდვის თავიდან ასაცილებლად პრაქტიკულად არ განხორციელებულა მათი პრივატიზება [9, გვ. 64-66]. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეუწონლად მიგვაჩნია საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ლიბერალიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესების ფორსირებული განხორციელება, რომელთა ძირითადი მიზანია ქონების განაწილება-გადანაწილება, პრივატიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლებით ბიუჯეტის შევსება და ენერგორესურსების გაძვირება, რაც საბოლოო ანგარიშით განაპირობებს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესებას როგორც მოხმარებული ენერგიის გადასახადის გადიდების, აგრეთვე სამამულო პროდუქციის გაძვირების შედეგად. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ გარკვეული პრობლემები ჩნდება ქვეყნის უსაფრთხო განვითარების თვალსაზრისით.

კონკურენციული გარემოს გაღრმავების მიზნით, რა თქმა უნდა აუცილებელია ლიბერალიზაცია, პრივატიზება და რესტრუქტურიზაცია (ვერტიკალურად ინტეგრირებული სეგმენტებისა და ჰორიზონტალურად კონცენტრირებული წარმოების – გენერაციისა), მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, კარგად მოფიქრებული და გათვლილი პოლიტიკის მიხედვით, რათა თავიდან იქნას აცილებული უარყოფითი ეფექტები, უპირველეს ყოვლისა კი სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის ზრდა და ქვეყნის უსაფრთხოების შემცირება.

ეკონომიკური გლობალიზაციის მიმდინარე ეტაპზე წარმოების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა ინფორმაცია, რომლის გარეშეც შეუძლებელია

სწრაფად ცვალებადი სიტუაციის ადექვატური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება. კომპანიების მართვის მრავალი ფუნქცია ვითარდება ელექტრონული კომერციის ფარგლებში და ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელს უწყობენ მართვის მრავალი ფუნქციის ვირტუალურ სივრცეში გადაცემას და ინფორმაციის რეალურ დროში გავრცელებას დედამიწის ნებისმიერ წერტილში. ამიტომ, გარდა ენერგეტიკის დარგისა, ქვეყნის ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინფორმაციის მოპოვება-მიღებისა და გადამუშავება–გადაცემის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და წარმოების ინტერესებისათვის მათი გამოყენების დონე. აღნიშნული ტექნოლოგიების განვითარების გარეშე წარმოუდგენელია მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ღირსეული ადგილის დაკავება.

შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია თანამედროვე ინფორმაციულ-ტექნოლოგიური სისტემების დაჩქარებულ განვითარებას, კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის დონის ამაღლებას როგორც ეკონომიკის სფეროში, აგრეთვე მთელ ქვეყნის მასშტაბით.

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და მასობრივი კომპიუტერიზაცია ხელს შეუწყობს ინფორმაციული ასიმეტრიულობის შემცირებას, რაც მოსახლეობის დაბალშემოსავლიან ფენებსაც აღნიშნული ინფორმაციის დროული გაცნობისა და საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების საშუალებას მისცემს.

ქვეყნის აღორძინებისათვის ასევე არსებითი მნიშვნელობა გააჩნია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც შეამცირებს გადაადგილებაზე და ტვირთების გადაზიდვაზე გაწეულ დანახარჯებს და უზრუნველყოფს ცენტრსა და პერიფერიებს შორის, აგრეთვე ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს.

20. ზომიერად პროტექციული პოლიტიკის გატარების გზით სამამულო წარმოების დაცვა იმპორტული პროდუქციის მხრიდან ტოტალური კონკურენციისაგან

საქართველოში ბოლო წლების მანძილზე მკვეთრად გაუარესდა საგარეო ვაჭრობის ბალანსი, რაც გამოიხატა იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტის შემცირებაში (იხ. ცხრ. 5). ხელისუფლების მტკიცებით ეს გამოწვეულია იმპორტის ლეგალიზაციის ხარისხის ამაღლებით, რაშიც შეიძლება მხოლოდ ნაწილობრივ დავეთანხმოთ. საგარეო ვაჭრობის ბალანსის გაუარესების მთავარ მიზეზად მიგვაჩნია:

საქართველოს ექსპორტი და იმპორტი 1997-2005 წლებში[1] (ცხრ. 5)

		1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
1	ექსპორტი სულ, მლნ აშშ დოლარი	239,8	192,4	238,2	322,8	317,6	345,9	461,4	647,0	866,2	993,1
2	იმპორტი, სულ მლნ აშშ დოლარი	941,7	884,3	601,9	709,4	753,2	795,6	1141,2	1847,9	2490,9	3681,3
3	იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი, %	25,5	21,8	39,5	45,5	42,2	43,5	40,4	35,0	34,8	27,0

1. იმპორტის ტოტალური ლიბერალიზაცია, რაც ძირითადად გამოიხატა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებისას იმპორტისათვის დაწესებული შეზღუდვების ცალმხრივი, ვადამდელი გაუქმებით საქართველოს ხელისუფლების მხრიდან[2]

2. ბიზნესგარემოს გაუარესება ადგილობრივი მეწარმეებისათვის, რის შედეგადაც იმპორტის ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად ჩამორჩება ექსპორტის ზრდის ტემპი. ასე მაგალითად, 2000 წელთან შედარებით 2006 წლისათვის იმპორტი გაიზარდა 5,2-ჯერ, ექსპორტი მხოლოდ – 3,1-ჯერ, ანუ აღნიშნულ პერიოდში იმპორტი ექსპორტთან შედარებით გაიზარდა 1,7-ჯერ.

აღნიშნული ვითარების შედეგად, საქართველო დიდი ხანია თავს ვერ აღწევს საერთაშორისო ვაჭრობით განპირობებული ტოტალური უცხოური კონკურენციის უარყოფით ეფექტებს, უპირველეს ყოვლისა კი სამამულო წარმოების სრულ გაჩანგებას. ამასთან, დაბალხარისხიანი და იაფი იმპორტული პროდუქციის მოძალებისა და სხვა მიზეზების შედეგად ბიზნესგარემოს გაუარესება განაპირობებს ადგილობრივი კაპიტალის უცხოეთში გადინებას, ან უძრავ ქონებაში დაბანდებას, რაც საბოლოო ანგარიშით აზარალებს საქართველოს ეკონომიკას და იწვევს მოსახლეობის ცხოვრების პირობების შემდგომ გაუარესებას.

[1] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით

[2] **იმპორტისთვის ხელშეწყობა რატომღაც საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს 1992 წლიდან მოყოლებული, რასაც ვერ ვიტყვით ექპორტის შესახებ. ასე მაგალითად, 1992 წელს შემოღებული ერთიანი საბაჟო ტარიფების მიხედვით იმპორტი იბეგრებოდა 2, ხოლო ექსპორტი 8 პროცენტით (18, გვ. 36), რის შედეგადაც საფუძველი ჩაეყარა იმპორტული პროდუქციის მხრიდან ტოტალურ კონკურენციას და სამამულო წარმოების განადგურებას. აღნიშნულმა საბაჟო პოლიტიკამ, სამამულო წარმოებისათვის, კიდევ უფრო გააუარესა 1991-1992 წლების მიჯნაზე განხორციელებული გადატრიალების შემდგომ საყოველთაო ანარქიით განპირობებული არახელსაყრელი ბიზნესგარემო და გამოიწვია სამამულო პროდუქციის მასობრივი ჩანაცვლება იმპორტულით.**

ასეთ პირობებში საქართველოს ეკონომიკის რაღაც დონეზე ფუნქციონირება წარმოუდგენელია უცხოური ფინანსური დახმარებების გარეშე. იმპორტის მეტობა ექსპორტზე ნაწილობრივ ფინანსდება სწორედ აღნიშნული დახმარებებისა და უცხოეთში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების გზავნილების ხარჯზე. საგანგაშო ისიც, რომ ქვეყანაში მასიურად შემოდის არა საწარმოო დანიშნულების, არამედ სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქცია, ანუ იკვრება მანკიერი წრე, რომელიც გამორიცხავს სამამულო წარმოების აღორძინებას და ქვეყანას პერმანენტულად დამოკიდებულს ხდის უცხოურ დახმარებებზე. ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების არსაკმარისი ტემპი ხელს უწყობს ემიგრაციის ახალ ტალღას და შესაბამისად, ქვეყანას ტოვებს ადამიანური კაპიტალის გარეშე და რაც ყველაზე საგანგაშოა, განაპირობებს ეროვნულ კატასტროფას, ვინაიდან ქვეყანა იცლება აბორიგენი მოსახლეობისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმპორტული პროდუქციის მხრიდან ტოტალური კონკურენციისაგან სამამულო წარმოების დასაცავად აუცილებელია ყველა იმ ზომებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებსაც ითვალისწინებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესდება და მასთან გაფორმებული შეთანხმება.

ამასთან, უფრო მნიშვნელოვანია ბიზნესგარემოს არსებითი გაუმჯობესება, სახელმწიფო რეკეტის აღმოფხვრა და სამართალკანონიერების განმტკიცება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების წახალისება (შეღავათიანი კრედიტები, გრანტები, საგადასახადო შეღავათები და ა. შ.), ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სამამულო წარმოების ხელშემწყობი, ყოველმხრივ გააზრებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის გატარება და ა. შ.

21. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ინტერესების პრიორიტეტის მაქსიმალური გათვალისწინება

გლობალიზაცია, ცალკეული სახელმწიფოებისა და ერების, აგრეთვე ცალკეული ცივილიზაციების პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. ურთიერთდამოკიდებულების ზრდისა და შესაბამისად, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს მეტნაკლები ინტერნაციონალიზაციის ობიექტური პროცესია, რაც გამოწვეულია ეპოქის სულის განმსაზღვრელი მსოფლმხედველობრივი, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული ფაქტორებით, ტრანსნაციონალური კაპიტალის ექსპანსიის გაძლიერებითა და

ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობის აღმავლობით, მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებით, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დაჩქარების ახალ „რეაქტიულ" ფაზაში გადასვლით, შრომის საერთაშორისო დანაწილების, სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავებით, საკომუნიკაციო-საინფორმაციო საშუალებების სწრაფი განვითარებით, კაცობრიობისათვის საყოველთაო საფრთხის შემცველი გლობალური პრობლემების წინა პლანზე წამოწევითა და მათი გადაჭრის აუცილებლობით.

ამრიგად, გლობალიზაცია მსოფლიო ცივილიზაციის ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და სოციო-კულტურული განვითარების ისტორიული პროცესის ლოგიკური შედეგია. იგი საყოველთაო, ყოვლისმომცველი მოვლენაა, რომლის მახასიათებელი ნიშნები ძირითადად გამოვლინდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან.

გლობალიზაციის, როგორც ზოგადი მოვლენის, უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ფაქტორებია ტექნოლოგიური რევოლუციები კავშირგაბმულობის, ტელეკომუნიკაციებისა და ტრანსპორტის სფეროებში, რამაც: ხელსაყრელი პირობები შექმნა ინფორმაციის სწრაფი გავრცელება-გაცვლისათვის; გაადვილა რეგიონებსა და ქვეყნებს შორის ნებისმიერი სახის კავშირ-ურთიერთობები; ხელი შეუწყო ქვეყნებისა და ცივილიზაციების ურთიერთშეღწევადობისა და მათი ურთიერთგავლენის ზრდას საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში.

ამასთან, გლობალიზაციის პროცესების შეუფერხებელი განვითარება წარმოუდგენელია (მიუხედავად მისი ობიექტური ხასიათისა) გარკვეული დაინტერესებული ძალების (განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების, ტრანსნაციონალური „გლობალური" ფირმების, საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების, სხვადასხვა ფარული ორგანიზაციების და ა. შ.) მხრიდან ხელშეწყობის გარეშე. აღნიშნული ძალები გლობალიზაციის პროცესებს წარმართავენ საკუთარი მიზნების მისაღწევად. ე. ი. გლობალიზაცია გარკვეულწილად მართვადი პროცესიცაა, ვინაიდან მისი დაჩქარება და გარკვეული ძალების ინტერესების სამსახურში ჩაყენება ინიცირებულ-ინსპირირებულია და კონტროლირებადია აღნიშნული დაინტერე-სებული ძალების მიერ. მათი მოქმედება კიდევ უფრო ამძაფრებს გლობალიზაციისათვის დამახასიათებელ უარყოფით ეფექტებს. ასე მაგალითად, მსოფლიო საზოგადოების ცხოვრებაში ტრანსნაციონალური ინსტიტუტების როლის ტოტალური ამაღლება განაპირობებს სუვერენული სახელმწიფოს ავტორიტეტის დაცემას, მისი ძირითადი ფუნქციების გადაცემას აღნიშნული ინსტიტუტებისადმი, რაც მიუთითებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ჩარჩოების (ტერიტორია, რელიგია, ენა, კულტურა, ტრადიციები და ა. შ.) ძირფესვიან

შერყევაზე. ასეთი ვითარება საეჭვოს ხდის ეროვნული სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ლეგიტიმურობას, პოლიტიკურ ძალაუფლებასა და მაკონტროლებელ უნარს.

ამგვარად, გლობალიზაციის უმთავრესი შედეგია სუვერენული სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების შემცირება და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური და პოლიტიკური, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ტნკ-ის როლის ამაღლება საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა: ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა, რელიგია და ა.შ.

დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნები ტრანსნაციონალურ-ინტერნაციონალური ინსტიტუტებისა და ფირმების (რომლებსაც ყოველნაირად ხელს უწყობენ კაპიტალის გატანაში) მეშვეობით ცდილობენ მთელ მსოფლიოში საკუთარი გავლენის გავრცელებას და საკუთარი ინტერესების რეალიზაციას. მე-20 საუკუნის ბოლომდე ხალხის მართვას ახორციელებდა სუვერენული სახელმწიფო. დღეისთვის იზრდება ტრანსნაციონალური ძალების როლი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური პროცესების მართვაში, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საკომუნიკაციო-საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებით. აღნიშნული ინოვაციები საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნას დროის, მანძილისა და საზღვრების პრობლემები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა სახელმწიფოებსა და დედამიწის სხვადასხვა კუთხეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ზრდას – ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ტექნოლოგიურ, საკომუნიკაციო, ეკოლოგიურ, კულტურულ, შრომის ორგანიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროებში. აღნიშნული ტენდენცია ნოყიერ ნიადაგს ქმნის ტრანსნაციონალური ძალების მოღვაწეობისათვის როგორც ლოკალურ (ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე), აგრეთვე გლობალურ (მსოფლიო) არენაზე.

საყოველთაო გლობალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ეკონომიკური გლობალიზაცია, რომლის საფუძველია საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების ინტერნაციონალიზაცია. ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავების პარალელურად შეინიშნება ეროვნული ეკონომიკური სისტემების მიერ ავტონომიურობის თანდათანობით დაკარგვა[1] და მათ ფუნციონირებაში საერთაშორისი პროცესების, ურთიერთობებისა და

[1] ავტონომიურობის დაკარგვა, მსოფლიო გლობალიზაციის ამ ეტაპზე, ძირითადად ემუქრება ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებს. აღნიშნული საფრთხე ჯერჯერობი ნაკლებად ემუქრება მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა კი აშშ-ის, ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებს. ეს ცოტა შორეული პერსპექტივაა.

ინსტიტუტების როლის პერმანენტული ამაღლება, რაც არასასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი სუვერენული სახელმწიფოს როლის შემცირების ერთერთი ძირითადი მიზეზია.

გლობალიზაციის პროცესი განსაზღვრავს გლობალურ ბაზრებზე მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების წარმატებული საქმიანობის პირობებს. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი პირდაპირი თუ ირიბი ზეგავლენა ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაზე. უფრო მეტიც, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის არსებული ტემპის პირობებში, ნებისმიერი ეროვნული მეურნეობის აღმშენებლობითი პროცესის წარმატება წარმოუდგენელია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ობიექტური ტენდენციების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ მსოფლიო ეკონომიკის და მისი შემადგენელი ეროვნული მეურნეობების განვითარებაზე გლობალიზაციის ზეგავლენა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. გლობალიზაციის დადებითი მხარეა ის, რომ იგი იძლევა ცოდნისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების სწრაფი გავრცელების შესაძლებლობას. მისი ძირითადი სუბიექტების კეთილი ნების შემთხვევაში, აგრეთვე შესაძლებელია ეკოლოგიური კრიზისისა და სიღარიბის პრობლემის დაძლევა, კაცობრიობის არსებობისათვის არანაკლებ საშიში ეპიდემიებისა და ვირუსების საწინააღმდეგო ეფექტიანი ღონისძიებების გატარება და ა.შ. ასეთი გლობალური ხასიათის პრობლემების გადაჭრა, რაც მოითხოვს უზარმაზარ ფინანსურ საშუალებებსა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების გამოყენებას, ნამდვილად წარმოუდგენელია ცალკეული სახელმ-წიფოების დონეზე. გლობალიზაცია, აგრეთვე ხელს უწყობს მსოფლიო მეურნეობის განვითარებას და სამეურნეო პროგრესის დაჩქარებას, მაგრამ იმავდროულად იწვევს დიფერენციაციის გაღრმავებას გლობალური მასშტაბით. გლობალიზაცია და თავისუფალი ვაჭრობა განვითარებად ქვეყნებში ძირითადად განაპირობებს შრომატევადი და სანედლეულო რესურსების მწარმოებელი დარგების განვითარებას, რაც რესურსების არამწარმოებლურ გამოყენების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. დასავლური კაპიტალისთვისაც მხოლოდ ასეთ პირობებშია მიმზიდველი კაპიტალდაბანდების განხორციელება აღნიშნულ ქვეყნებში. ანუ, განვითარებად ქვეყნებში დასაქმებული ტრანსნაციონალური ფირმებისათვის განვითარებად ქვეყნებში მოგების ზრდის წყაროს წარმოადგენს არა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და შრომის ორგანიზაციის პროგრესული მეთოდების დანერგვა, არამედ მინიმალური ხელფასების შენარჩუნება. ე. ი.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი ნაწილობრივ დაწყებულია ევროკავშირის ფარგლებში.

გლობალიზაცია პერიფერიულ ქვეყნებში წარმოშობს სიღარიბისა და გარემოს დაცვის პრობლემებს და ხელს უწყობს სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ გლობალური პირობები და გლობალური სამართლებრივი ნორმები ყალიბდება ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე, სადაც განმსაზღვრელ როლს ასრულებენ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები და მათ მიერ ფორმირებული საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტები.

შესაბამისად, გლობალურ ბაზრებზე არსებული პირობები შორსაა სამართლიანობისაგან, ხოლო მათი ფუნქციონირების მარეგულირებელი წესები განვითარებად ქვეყნებზე ახდენენ ნეგატიურ ზემოქმედებას (32, გვ. 15).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სპეციალიზაცია, შეფარდებითი უპირატესობის მოპოვება და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა როგორც ტრადიციულ დარგებში, აგრეთვე ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის და მდგრადი განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ახალ, მაღალტექნოლოგიურ და მაღალპროდუქტიულ სფერეოებშიც.[1]

---

[1] შედარებითი უპირატესობის პრინციპის შესაბამისი სპეციალიზაცია, მართალია ხელს უწყობს მსოფლიო რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას და პროდუქციის გამოშვების მსოფლიო მოცულობის გადიდებას, მაგრამ იგი არ შეესაბამება ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს. მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის გადიდება, მსოფლიო რეს-ურსების ეფექტიანი გამოყენება, აგრეთვე პროდუქციის გამოშვების მსოფლიო მოცულობის გადიდება აბსტრაქტული ცნებებია, რომლებიც ემსახურებიან მსოფლიო (ინტერნაციონალური) კაპიტალის ინტერესებს, აგრეთვე შედარებითი უპირატესობის პრინციპზე დამყარებული მსოფლიო ვაჭრობის ნაკლოვანებების მიჩქმალვას. მსოფლიო მეურნეობის ამ მოდელით ფუნქციონირება განვითარებად ქვეყნებში, მართალია, ხელს უწყობს კონკურენციის გაღრმავებასა და ადგილობრივი მონოპოლიების შეზღუდვას, მაგრამ არასახარბიელო სასტარტო შესაძლებლობების შედეგად იგი დეპრესიისათვის სწირავს მათ სამამულო წარმოებას, განსაკუთრებით კი მრეწველობის დარგებს, რომელთა აღორძინება მოითხოვს მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას.

შედარებითი ეფექტიანობის პრინციპის შესაბამისად, ვთქვათ არაბეთის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებს და მონღოლეთს უნდა გაეღრმავებინათ სპეციალიზაცია მომთაბარული მეურნეობის ტრადიციულ სფეროში და მსოფლიო ბაზარზე ძირითადად დარჩენილიყვნენ შესაბამისი პროდუქციის მიმწოდებლებად, ხოლო აფრიკის კონტინენტის სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა უნდა დასპეციალებულიყო მხოლოდ გარეულ ცხოველებზე ნადირობაში და ხილ-კენკროვანი ნაყოფის მოგროვებაში. მაგრამ ზემოაღნიშნული ქვეყნების, ისევე როგორც დანარჩენ განვითარებად სახელმწიფოთა მთავრობები, შეძლებისდაგვარად ცდილობენ არატრადიციული სფეროების, კერძოდ, სამრეწველო, მაღალტექნოლოგიური

ე. ი. საქართველოში გარკვეულწილად უნდა შეიცვალოს ეკონომიკის არსებული სპეციალიზაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებს დაბალპროდუქტიული ტექნოლოგიები და დაბალპროდუქტიული წარმოება, რაც გამორიცხავს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად და უსაფრთხო განვითარებასა და მოსახლეობის შემოსავლების არსებით ამაღლებას. ამგვარად, უნდა შეიცვალოს ეკონომიკის არსებული დარგობრივი სტრუქტურა არა ტურიზმის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობისა და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მომსახურების სექტორების სასარგებლოდ, როგორც ამას გვთავაზობენ უცხოელი ექსპერტები, არამედ წინასწარ შერჩეული მაღალტექნოლოგიური და შედარებით ძვირადღირებული პროდუქციის მწარმოებელი დარგების სასარგებლოდ.

ე. ი. საქართველომ, ისევე როგორც ნებისმიერმა ეკონომიკურად ჩამორჩენილმა ქვეყანამ, განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება სწრაფად ცვალებად გარე გარემოსთან და შეფარდებითი უპირატესობა უნდა მოიპოვოს მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა.

ჩვენთან, სამამულო წარმოება ჯერჯერობით ვერც ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს აკმაყოფილებს (ძალიან დაბალ დონეზეა განვითარებული იმპორტჩანაცვლებადი წარმოება) და არც ექსპორტზეა ორიენტირებული. მისი

დარგების განვითარებას, რადგანაც სპეციალიზაციასა და გაცვლას მხოლოდ მაშინ მოაქვს სარგებლობა ქვეყნისათვის, როდესაც სპეციალიზაციის ობიექტების მასიური წარმოება უზრუნველყოფს პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, და შეამცირებს უცხოეთის ქვეყნებზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას.

შედარებითი ეფექტიანობის პრინციპის შესაბამისმა სპეციალიზაციამ ეკონომიკურად ჩამორჩენილ სახელმწიფოს სარგებლობა რომ მოუტანოს, ამისათვის აუცილებელია აღნიშნულმა ქვეყანამ უპირველეს ყოვლისა მიაღწიოს შეფარდებით უპირატესობას პროგრესული დარგობრივი სტრუქტურის უზრუნველმყოფ გარკვეული ნომენკლატურის პროდუქციის წარმოებაში, თუნდაც რეგიონალურ დონეზე. ეს კი სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს ეროვნული მეურნეობის განვითარების მხარდამჭერი მთელი რიგი ღონისძიებების, მათ შორის პროტექციონისტულის განხორციელებას, რამაც უნდა წაახალისოს მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი დარგების აღორძინება და მოახდინოს რესურსების შესაბამისი გადანაწილება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის დაჩქარებას, უახლესი ტექნიკის ბაზაზე სამრეწველო საწარმოთა ტექნოლოგიურ გადაიარაღებასა და სამამულო საქონელწარმოების განვითარებას.

განვითარების პერსპექტივები ჯერჯერობით გაურკვეველია. ასე მაგალითად, შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს ექსპორტში მნიშვნელოვანი წილი უკავია ისეთ არამდგრად პროდუქციას, როგორიცაა: ჯართი, ალჰოკოლური სასმელები და მინერალური წყლებია. კიდევ უფრო საგანგაშოა ის, რომ ექსპორტირების მიზნით დაუზოგავად იჩეხება ხე-ტყე და ნადგურდება დედა-ბუნება.

მსოფლიო ეკონომიკაში ეფექტიანი ჩართვისა და ღირსეული ადგილის დამკვიდრების მიზნით საქართველომ პრიორიტეტად უნდა დაისახოს არა ნედლეულისა და იაფფასიანი პროდუქციის ექსპორტის ზრდა, არამედ მაღალხარისხიანი და ძვირადღირებული, მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტის ზრდა, ანუ ორიენტაცია უნდა აიღოს ისეთი პროდუქციის წარმოებაზე, რომლებიც ხასიათდებიან გაწეული დანახარჯების მაღალპროდუქტიულობით.

ამასთან, ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, აუცილებელია ზოგიერთი იმპორტჩანაცვლებადი წარმოების (სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, საფეიქრო მრეწველობის, და ა. შ. სფეროში) განვითარებაც.

ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარება მოითხოვს სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებას, მათი განათლების დონისა და კვალიფიკაციის განუხრელ ამაღლებას და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის დონეს, არამედ ინტეგრაციის ხარისხობრივ მახასიათებლებს, ანუ იმას, თუ რა როლს ასრულებს ქვეყანა, მისი ეკონომიკა საერთაშორისო არენაზე, უბრალოდ რესურსებისა და იაფი, დაბალტექნოლოგიური პროდუქციის მიმწოდებელია, თუ მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებულის. აქვე გასათვალისწინებელია ისიც რომ, გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ეკონომიკის ინტეგრაციის დონე და მისი ხარისხი ხშირად ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის შედეგია და არა მიზეზი.

22. უცხოური ინვესტიციების, უპირველეს ყოვლისა კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოზიდვა

უცხოური სახელმწიფოებისა და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების მხრიდან, ამა თუ იმ ქვეყნისადმი, კრედიტებისა და დახმარებების მიწოდების ძირითად დეტერმინანტებია აღნიშნული ქვეყნის:

– გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობა;

– საბაზრო ინსტიტუტების განვითარების დონე;

–ეკონომიკური პოლიტიკა (მონეტარული, ფისკალური, საგარეო-სავაჭრო) და მისი ეფექტიანობა;

– ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტები;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, აგრეთვე პორტფელური ინვესტიციებისა და უცხოური კომერციული ბაკების სესხების მოზიდვაში, ზემოაღნიშნული დეტერმინანტების დამატებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიმღებ ქვეყანაში:

– სამართებლივი გარემო;

– სტაბილური და ხელსაყრელი ბიზნეს-გარემო, მ. შ. ეკონომიკის გახსნილობა;

– პოლიტიკური სტაბილურობა. ქვეყნის იმიჯი პოლიტიკური, ეკონომიკური სოციალური და კრიმინოგენური ვითარების თვალსაზრისით

– იაფი და ამავე დროს კვალიფიციური მუშახელის არსებობა;

– ინფრასტრუქტურის განვითარების დონე (სატრანსპორტო კომუკაციების, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის სფეროებში);

– რეალური პროცენტის განაკვეთის დონე;

– ეკონომიკური ზრდის ტემპი;

– მოგების ნორმის დონე;

– ბაზრის, ან მომიჯნავე ბაზრების მოცულობა და მათი გახსნილობა;

–ინტელექტუალური საკუთრების დაცულობის დონე;

– საფინანსო ინსტიტუტების, განსაკუთრებით კი საბანკო და სადაზღვევო სფეროს განვითარების დონე.

ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციაში და ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდაში არსებით როლს ასრულებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობა. აღსანიშნავია, რომ პუი განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკაში როგორც ექსპორტიორი, აგრეთვე იმპორტიორი ქვეყნის ინტეგრაციასა და ხელს უწყობს მათი კონკურენტუნარიანი უპირატესობის რეალიზაციას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) განხორციელებისას ერთი ქვეყნის ინვესტორი საკუთრებას იძენს სხვა ქვეყანაში. მისი განხორციელება უცხოელ ინვესტორს შეძენილი საკუთრების კონტროლის უფლებას ანიჭებს, რაც მას აღნიშნული საკუთრების მართვისა და შემოსავლების მიღების გრძელვადიანი ინტერესის რეალიზაციის შესაძლებლობას აძლევს.

შიდა პუი-ის მოცულობა, უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მიმღებ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ეკონომიკის გახსნილობაზე, სამართლებრივ გარემოზე, კრიმინოგენურ ვითარებაზე, ინფრასტრუქტურის, მ.შ. საფინანსო-სადაზღვევოს განვითარების დონეზე, და ა. შ., რაც მთლიანობაში უჩვენებს ბიზნესგარემოს ხელსაყრელობასა თუ არახელსაყრელობას სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის და ინვესტიციების, მ.შ. პუი-ის მოზიდვისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია აგრეთვე მიმღები ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულები ინვესტორი და მიმღები ქვეყნებისათვის განსხვავებულია. იდეალურად ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როდესაც ორივე მხარე მოგებული რჩება.

ინვესტორი მხარე დაინტერესებულია:

– ნედლეულის ახალი წყაროებისა და მზა პროდუქციის გასაღების ახალი ბაზრების ათვისებით;

– კაპიტალის დივერსიფიკაციით, საკუთრებაზე (განსაკუთრებით კი სტრატეგიულ ობიექტებზე და ნედლეულზე) კონტროლის უფლების მოპოვებით და მაღალი შემოსავლების მიღებით;

– მაღალი ტექნოლოგიების ათვისებით (ასეთი ინვესტიციები ძირითადად ხორციელდება განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში);

– გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური (ამ შემთხვევაში ძირითადად საუბარია პოლიტიკური ინტერესების მქონე კაპიტალზე) ინტერესების რეალიზაციით.

მიმღები ქვეყნის დაინტერესებას განაპირობებს ის, რომ პუი-ის დადებით მხარედ ითვლება:

– ახალი ტექნოლოგიების შემოსვლა;

– წარმოების მართვისა და ორგანიზაციის უახლესი მეთოდების, ანუ მმართველობითი ჩვევებისა და გამოცდილების გავრცელება;

– სავაჭრო მარკების, პატენტების და ლიცენზიების გადაცემა;

– ქვეყნის საწარმოო პოტენციალის (საწარმოო სიმძლავრეების) ამაღლება;

– მუშახელის კვალიფიკაციის დონის ამაღლება;

– შრომის ნაყოფიერების ამაღლება;

– პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და მისი გამოშვების ზრდა;

– ახალი ბაზრების ათვისება;

– ექსპორტის გაფართოება, ამ უკანასკნელის დივერსიფიკაციის ხარისხის გაუმჯობესება;

– ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დაჩქარება;

– ქვეყნის საგარეო და საშინაო კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

– მომიჯნავე წარმოებების, ანუ პუი-ა დაბანდებულ საწარმოებთან საწარმოო პროცესით დაკავშირებული საწარმოების პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა და მათი განვითარებისათვის შედარებით უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნა;

– რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენება, რაც შეიძლება აიხსნას ამა თუ იმ მიზეზით. ასე მაგალითად, პუი-ი რომელსაც ახორციელებენ ტნკ-ი თავიანთ ფილიალებში და ქალიშვილ საწარმოებში, აიძულებს ადგილობრივ ფირმებს უფრო მომჭირნედ და ყაირათიანად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული რესურსები, გაუმჯობესონ მენეჯმენტი, აამაღლონ წარმოების ორგანიზაციის ეფექტიანობა, გამონახონ რესურსები ახალი ტექნოლოგიების მოსაზიდად და ა.შ., წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი განწირულნი არიან კონკურენციულ ბრძოლაში დამარცხებისათვის.

ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია და მთელ რიგ შემთხვევაში პრაქტიკულად დადასტურებულია, რომ პუი-ბი უმრავლეს შემთხვევაში ხელს უწყობენ მოწინავე ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი მმართველობითი უნარ-ჩვევების დანერგვას ადგილობრივ კომპანიებში (უკიდურეს შემთხვევაში კი, მათ შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებას, რაც ინოვაციების წახალისების ერთ-ერთი პირობაა). გლობალურ დონეზე კონკურენციის ზრდა ტნკ-ს ხშირად აიძულებს პუი-ის განხორციელების პარალელურად მოახდინონ ფინანსური საშუალებების დაბანდება ტექნოლოგიებისა და სხვა ინოვაციების გადაცემაზე მიმღები ქვეყნის იმ საწარმოებისთვის, რომლებიც მათ მიერ დაარსებულ ფილიალებთან საწარმოო პროცესით არიან დაკავშირებულნი. **საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც დიდი სახელმწიფო ზრუნავს შედარებით სუსტი მოკავშირე სახელმწიფოს მეტ-ნაკლებად გაძლიერებაზე (სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით), ასევე ტნკ ხშირად იძულებულნი არიან იზრუნონ პუი-ის მიმღებ ქვეყანაში არსებული ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე.**

თუმცა მოსალოდნელია ისიც, რომ ასეთი გადაცემა მოხდეს არა მოკლევადიან, არამედ შედარებით უფრო გრძელვადიან პერიოდში, რაც გარკვეულწილად ამცირებს მისგან მოსალოდნელ ეფექტს.

პუი-მა შეიძლება არ გამოიწვიოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, როცა იგი ხორციელდება უცხოურ ტნკ-თან ადგილობრივი სტრატეგიული დანიშნულების კომპანიის შერწყმის სახით. თუკი ტნკ-ია ყიდულობს სტრატეგიულად მნიშვნელოვან და კონკურენტუნარიან კომპანიას (ყოველ შემთხვევაში ადგილობრივ ბაზარზე, მაგალითად ენერგეტიკის სფეროში), მაშინ იგი ფონს შეიძლება გავიდეს მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გაუმჯობესების

გარეშე. შესაბამისად, პუი-დან მნიშვნელოვან სარგებელზე (ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, მათი გადაცემა ადგილობრივი კომპანიებისათვის), გარდა წმინდა ფისკალური ეფექტისა, საუბარი ზედმეტია. მაგრამ თუკი ტნკ-თან შერწყმული კომპანია ტექნოლოგიურად ჩამორჩენილია და კონკურენტუუნაროა, თანაც არ მიეკუთვნება ბუნებრივი მონოპოლიის დონეს, მაშინ ტნკ-ია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იძულებული იქნება დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, რაც გამოიწვევს რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებას და დადებით ზემოქმედებას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკაზე.

მიმღები ქვეყნისათვის პუი-ის ერთერთი უარყოფითი მხარეა ის, რომ მან შეიძლება გამოდევნოს ადგილობრივი ინვესტიციები და შედარებით ნაკლებად კონკურენტუნარიანი ადგილობრივი საწარმოები, თუმცა ეს ფაქტი ულტრალიბერალური იდეების გამზიარებელ მეცნიერ-ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს ნაკლებად აღელვებთ. მათთვის ძირითად მიზანს მოკლევადიანი პერიოდისათვის ფისკალური შედეგის მიღება და ეფექტიანობისა და სარგებლიანობის უზრუნველყოფა შეადგენს. ხოლო ასეთი შედეგის (ადგილობრივი კომპანიების გამოდევნა) გრძელვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ შედეგებს მათთვის ნაკლები მნიშვნელობა გააჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მაშინ აქვს აზრი, **როდესაც მათი ზეგავლენით არანაკლებ შესაბამისი მოცულობით იზრდება მთლიანი ინვესტიციები, ანუ როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ გამოდევნის ადგილობრივს.** ამ პირობის დაკმაყოფილება აუცილებელია, ვინაიდან შესაძლებელია პუი-ის ზეგავლენით გაიზარდოს მთლიანი ინვესტიციები, მაგრამ შემცირდეს ადგილობრივი ინვესტიციები.

მიმღები გარდამავალი ქვეყნისათვის პუი-ის უარყოფითი მხარეა ისიც, რომ იგი თავის ნავსაყუდელს ძირითადად ეძებს განვითარების სტრატეგიის განმსაზღვრელ დარგებში, ანუ უფრო კონკრეტულად იმ სტრატეგიულ დარგებში და ობიექტებში (ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, ტელეკომუნიკაციებისა და მრეწველობის პრიორიტეტული საწარმოები), რომელთა მუშაობაზე და განვითარებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მათ მიერ შედარებით დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და შესაბამისად მათი ეკონომიკური უსაფრთხოება. ამიტომ გარდამავალი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც პუი-ის მიმღებ ქვეყანას შესაძლებლობას მისცემენ, რომ შემოსული პუი-ი არ იქცეს ინვესტორი ქვეყნის მხრიდან პოლიტიკური ზეწოლისა და შანტაჟის წყაროდ.

პუი-ის ზრდის მოკლევადიან ნეგატიურ შედეგად უნდა ჩაითვალოს ეროვნული ვალუტის ნომინალური და რეალური გაცვლითი კურსების ამაღლება, ვინაიდან ამის შედეგად ძვირდება სამამულო პროდუქცია და უარესდება საგარეო ვაჭრობის ბალანსი, რაც კარგად ჩანს საქართველოს შემთხვევაში. როგორც წესი ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსების ამაღლება დადებითი მოვლენაა, მაშინ როდესაც მას საფუძვლად უდევს ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლება მაღალხარისხიანი და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და შესაბამისად სამამულო პროდუქციისა და ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლების შედეგად. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში გაცვლითი კურსების ამაღლება უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე.

ამასთან, შიდა პუი-ის ზრდა შედარებით გრძელვადიან პერიოდში აუცილებლად მოგვცემს დადებით შედეგს და მოახდენს მისი მოკლევადიანი უარყოფითი ეფექტების კომპენსირებას, თუკი მისი ზრდის პარალელურად დაფიქსირდება ერთობლივი ინვესტიციების გადიდება, მისი დაბანდება უპირატესად ექსპორტზე ორიენტირებულ დარგებში (როგორც უცხოური ვალუტის გამომუშავებელ სფეროებში) და თანამედროვე ტექნოლოგიების, და მმართველობითი უნარ-ჩვევებისა და სხვა ინოვაციების გადაცემა ადგილობრივი საწარმოებისათვის, და რაც მთავარია, თუკი პუი განხორციელდება მაღალპროდუქტიულ, ანუ მაღალი დამატებული ღირებულების მწარმოებელ დარგებში. ე.ი. ისეთ დარგებში, სადაც პროდუქციის წარმოება მოითხოვს რთული ტექნოლოგიების დანერგვას, რაც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს აწარმოოს მაღალტექნოლოგიური და მაღალხარისხოვანი და შესაბამისად, ძვირადღირებული პროდუქცია.

მიუხედავად, ზემოთ აღნიშნული მთელი რიგი უარყოფითი ეფექტისა, შიდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მასთან დაკავშირებული სიახლეები, სათანადო სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში, განაპირობებენ მენეჯმენტის სრულყოფას, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმატებული ფუნქციონირებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გავრცელებას, სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებასა და უცხოელი ინვესტორების მფლობელობაში მყოფ ფირმებთან საწარმოო პროცესით დაკავშირებული საწარმოების მუშაობის პირობების გაუმჯობესებას, ანუ მომიჯნავე დარგებში ახდენენ ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარების პროვოცირებას.

ამიტომ, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში პუი-ბი ხელს უწყობენ ბიზნესის განვითარებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა

და სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდას, აგრეთვე მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვების გადიდებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უნდა განვიხილოთ, როგორც მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყარო. ამავე დროს ეკონომიკური ზრდა თავის მხრივ ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ვინაიდან მზარდ ეკონომიკას კონკურენტული უპირატესობების უფრო ეფექტიანი რეალიზაციის შესაძლებლობები გააჩნია, ამიტომ ეკონომიკური ზრდა როგორც ადგილობრივი, აგრეთვე უცხოელი ინვესტორებისათვის, წარმოადგენს სიგნალს, რომელიც მიუთითებს მოცემული ეკონომიკური სივრცეში ხელსაყრელი ბიზნესგარემოს არსებობისა და კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის შესახებ. შესაბამისად, ტნკ, რომლებსაც გააჩნიათ გრძელვადიანი ეკონომიკური ინტერესები, პუი აბანდებენ ყველაზე დინამიურ და სტაბილურ რეგიონებში და ქვეყნებში.

მსოფლიო ინვესტიციების შესახებ გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის 2006 წლის მიმოხილვის თანახმად, პუი-ის გაფართოებას 1990-იანი წლებიდან ხელი შეუწყო მთელ მსოფლიოში მიმდინარე ლიბერალიზაციის ტენდენციებმა, რომლებმაც გააიოლეს მათი განხორციელება: სხვადასხვა სახის დაბრკოლებების აღმოფხვრით, პროცედურების გამარტივებითა და მათი განხორციელებისათვის სათანადო სტიმულების შექმნით. მიმოხილვაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ამ პროცესის პარალელურად დაფიქსირდა საპირისპირო ტენდენციაც, კერძოდ, ადგილობრივი კომპანიების უცხოელთა განკარგულებაში გადასვლის პერსპექტივამ გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია მრავალ, მ.შ. მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყნებში. ასე მაგალითად, აშშ-ში, ევროკავშირის რიგ ქვეყნასა და ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში მიღებულ იქნა მთელი რიგი გადაწყვეტილება უცხოური კონკურენციისაგან და უცხოური კაპიტალის შეღწევისაგან ეროვნული ეკონომიკის დასაცავად. პუი-ის მიმართ განსაკუთრებით შემზღუდავი ღონისძიებები გატარდა სტრატეგიულ დარგებში [33, გვ. 9]

განვითარებად ქვეყნებში შეინიშნება შემდეგი კანონზომიერება: შედარებით განვითარებულ ქვეყნებში, სადაც შედარებით მაღალია საშუალო-სულადობრივი შემოსავლები, აგრეთვე იმ ქვეყნებში, სადაც შედარებით მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპები, უცხოური კერძო ინვესტიციების (პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები, საბანკო კრედიტები) წილი რამდენჯერმე აღემატება უცხოური სახელმწიფოს ინვესტიციების წილს, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც შედარებით დაბალია ეკონომიკური განვითარების დონე და საშუალო-სულადობრივი შემოსავლები, აგრეთვე იმ ქვეყნებში სადაც შედარებით

დაბალია ეკონომიკური ზრდის ტემპები, კერძო უცხოური ინვესტიციებისა და უცხოური სახელმწიფო ინვესტიციების წილი დაახლოებით თანაბარია.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, რომლებიც შეადგენენ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას, კერძო უცხოურ ინვესტიციებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია უცხოური სახელმწიფოებრივი ინვესტიციები და საერთაშორისი საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების ფინანსური დახმარებები და გრანტები. ეს გამოწვეულია იმით, რომ კერძო უცხოური ტნკ-ის დაინტერესება ინვესტიციების განხორციელებაში მინიმალურია აღნიშნულ ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის, სათანადოდ კვალიფიციური მუშახელის დეფიციტის, სამართლებრივი ბაზის დაუხვეწაობისა და შესაბამისად, სათანადო ბიზნეს-გარემოს არარსებობის შედეგად. ხოლო უცხოური სახელმწიფოებრივი ინვესტიციები და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციების დახმარებები ძირითადად მიიმართება ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად და კერძო (როგორც ადგილობრივის, აგრეთვე უცხოურის) ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელი ინფრასტრუქტურისა და ბიზნეს-გარემოს ფორმირებისაკენ.

ჩვენთან საინტერესოა, როგორია პუი-ის დარგობრივი სტრუქტურა? რამდენად უწყობს იგი ხელს სამამულო წარმოების აღორძინება-განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებას? რამდენად მოგებული რჩება საქართველო, როგორც პუი-ის მიმღები ქვეყანა, თანამედროვე ტექნოლოგიების გავრცელებისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით? ანუ საინტერესოა პუი-ის პარალელურად ქვეყანაში შემოდის თუ არა თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიები, აღინიშნება თუ არა ამ ტექნოლოგიების გადაცემა სხვა საწარმოებისათვის, იზრდება თუ არა ადგილობრივი ინვესტიციების მოცულობა და უმჯობესდება თუ არა მოსახლეობის ცხოვრების პირობები. პუი-ის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური საზღაურიც.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ადექვატური ინფორმაციის არარსებობის გამო ამ კითხვებზე ზუსტი პასუხის გაცემა სამწუხაროდ შეუძლებელია. ხოლო ქვეყანის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ არსებული მონაცემებსა და ტელე-საინფორმაციო საშუალებებიდან გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პუი სამწუხაროდ ბანდდება უკვე არსებულ დარგებში, ისიც თბილისსა და რამდენიმე მსხვილ ქალაქში, რის შედეგადაც არ ხდება ეკონომიკის დარგობრივი და რეგიონული სტრუქტურის რაიმე არსებითი ხასიათის გაუმჯობესება, ახალი მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული პროდუქციის წარმოებაზე გადასვლა. ამიტომაცაა საჭირო

სახელმწიფოს მხრიდან აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება მაღალტექნოლოგიური, მაღალხარისხიანი და შედარებით ძვირადღირებული პროდუქციის წარმოების წასახალისებლად და პუი-ის ამ სფეროებში მოსაზიდად.

ამასთან, ადგილობრივი და ერთობლივი ინვესტიციების მოცულობაზე პუი-ის ზემოქმედების შესახებ სტატისტიკის დეპარტამენტში პრაქტიკულად არ არსებობს ინფორმაცია (იხ. ცხრილი 6).

მშპ და ინვესტიციები ძირითად კაპიტალში[1] (ცხრილი 6)

		2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
1.	მშპ მიმდინარე ფასებით (მლნ ლარი)	6043	6674	7456	8564	9824	11621	13784
2.	ერთობლივი ინვესტიციები ძირითად კაპიტალში (მლნ ლარი)	1578,4	1872,8	1892,0	2287,7	2697,6	3261,4	3524,2
3.	ძირითად კაპიტალში ერთობლივი ინვესტიციების ხვედრითი წონა მშპ-ში (%)	26,1	28,1	25,4	26,7	27,5	28,1	25,1
4.	პუი (მლნ დოლარი)	131,2	109,8	167,4	340,0	499,1	449,8	1147,3
5.	ლარის დოლართან მიმართებით ნომინალური გაცვლითი კურსი	1,98	2,07	2,19	2,14	1,92	1,81	1,77
6.	პუი (მლნ ლარი)	259,8	227,3	367,0	728,0	958,2	814,1	2030,7
7.	პუი-ის ხვედრითი წონა მშპ-ში (%)	4,3	3,4	4,9	8,5	9,8	7,0	14,7

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, 2006 წელს 2000 წელთან შედარებით, მშპ-ის მოცულობა გაიზარდა – 2,3-ჯერ, ძირითად კაპიტალში ერთობლივი ინვესტიციების მოცულობა – 2,2-ჯერ, ხოლო პუი-სა კი – 7,8-ჯერ. ანუ, აღნიშნულ პერიოდში, პუი-ის მოცულობა მშპ-ის მოცულობასთან შედარებით, გაიზარდა – 3,4-ჯერ, ხოლო ერთობლივი ინვესტიციების მოცულობასთან შედარებით კი – 3,5-ჯერ უფრო სწრაფად. აღნიშნული ტენდენცია ერთი შეხედვით დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, თუმცა მთლად ასე მარტივად არ არის საქმე. უცნობია ძირითად კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებში თუ როგორი თანაფარდობაა ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებს შორის. შესაბამისად უცნობია ადგილობრივი ინვესტიციების ცვლილების ტენდენცია ბოლო წლებში. ეს გამოწვეულია იმით, რომ პუი-ბი მიიმართება არა მხოლოდ ახლად შექმნილი ძირითადი კაპიტალის,

[1] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით

არამედ ეროვნულ ეკონომიკაში წლების მანძილზე მოქმედი ძირითადი ფონდების შესაძენადაც. პუი-ის ეს უკანასკნელი ნაწილი, რა თქმა უნდა, ვერ აისახება მშპ-ის დანახარჯების მეთოდით გაანგარიშებისას განსაზღვრულ ინვესტიციების (ძირითად კაპიტალში) მოცულობაში. სამწუხაროდ სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციაში მითითებული არ არის პუი-ის თუ რა ნაწილი მოდის ერთის მხრივ ახალი ძირითადი კაპიტალის ფორმირებაზე და მეორეს მხრივ მოქმედი კაპიტალის შეძენაზე. ამიტომ, ძირითად კაპიტალში ინვესტიციების მთლიან მოცულობაში არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ სამამულო ინვესტიციების მოცულობა და დინამიკა. შესაბამისად, არ შეგვიძლია გადაჭრით იმის თქმა, პუი-მა გამოდევნა, თუ პირიქით წაახალისა ადგილობრივი ინვესტიციები..

ამასთან, როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, მშპ-ის მიმართ ერთობლივი ინვესტიციების ხვედრითი წონა 2006 წლისათვის შემცირებულია წინა წელთან შედარებით, რაც საბოლოო ანგარიშით უარყოფითად აისახება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე, მომავალი თაობების კეთილდღეობაზე და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ შედარებით დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თუკი უმოკლეს ვადებში არ გაუმჯობესდება პირობები ბიზნესის განვითარებისათვის და თუკი ადგილობრივი ბიზნესი ვერ შეძლებს უცხოური კაპიტალის ექსპანსიით გამოწვეულ პირობებთან სწრაფ ადაპტირებას, მაშინ უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ადგილობრივი ინვესტიციების მკვეთრი შემცირება (თუ უკვე შემცირებული არ არის), რაც აგრეთვე დააბრკოლებს წმინდა ეკონომიკური ინტერესების მქონე პუი-ის ქვეყანაში შემოსვლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პუი-ის უარყოფითი ეფექტების შესარბილებლად, მ. შ. ადგილობრივი ინვესტიციების გამოდევნის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მისი წახალისება ახალ, ექსპორტზე ორიენტირებულ და მაღალპროდუქტიულ დარგებში (ახალი საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით და ახალი საქონლის საწარმოებლად), რაც აამაღლებს ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობასა და ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას. ამასთან, უკვე არსებულ, ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ დარგებში მათი წახალისება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პუი-ის დაბანდებას მოჰყვება მათი ტექნოლოგიური განახლება და ექსპორტზე ორიენტაცია.

პუი-ის წყაროს ხშირად წარმოადგენს რეინვესტირებული შემოსავლები (მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების თანახმად იგი უნდა აღირიცხოს პუი-ში). 1989-1995 წლებში რეინვესტირებული შემოსავლების წილი ერთობლივ პუი-ში აშშ-ში შეადგენდა 50%-ს, დიდ ბრიტანეთში – 59,1%-ს, შვედეთში – 24,8%-ს,

შვეიცარიაში – 27,2%-ს და გერმანიაში – 7,2%-ს [29, გვ. 21]. ამიტომ პუი-ის წახალისების მიზნით მიზანშეწონილია რეინვესტირებული შემოსავლებისა და მოგების განთავისუფლება გადასახადისაგან.

საქართველოში საჭიროა მოზიდული უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის (ცალკეული ქვეყნების მიხედვით) მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ვინაიდან ასეთი დივერსიფიკაცია თანამედროვე გლობალურ, ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში ეკონომიკური უსაფრთხოების უფრო მაღალი დონისა და შედარებით დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების გარანტიაა.

უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციის ხარისხის ამაღლების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება ღღეს-დღეობით სუვერენულ სახელმწიფოს ხელეწიფება, ვინაიდან დღეისთვის პუი-ის რეგულირება ხორციელდება ძირითადად ორმხრივი შეთანხმებებით. გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების კვალდაკვალ და მსოფლიო ეკონომიკისა და ტნკ-ის ევოლუციის შედეგად მოსალოდნელია, რომ იგი ძირითადად განხორციელდება ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო მარეგულირებელი ინსტიტუციური სტრუქტურის მიერ შემუშავებული და დადგენილი ნორმების შესაბამისად. მაგრამ ეს ცოტა შორეული პერსპექტივაა და სუვერენულმა სახელმწიფომ, მიმდინარე ეტაპზე, თავის სასარგებლოდ, მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მის წინაშე არსებული შესაძლებლობები – ქვეყნის უსაფრთხო განვითარების უზრუნველსაყოფად.

23. რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებებში მონაწილეობა

ჩვენ მიზანი ევროკავშირის წევრობაა (რაც არ გამორიცხავს სხვა რეგიონალურ გაერთიანებებში მონაწილეობასაც), რისთვისაც აუცილებელია რიგი პირობების დაკმაყოფილება. მ. შ. უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლება, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის არსებითი შემცირება და მოსახლეობის ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუმჯობესება, მისი ჰარმონიზაცია ევროკავშირში არსებულ საშუალო დონესთან. ამ პირობების დაკმაყოფილება მოითხოვს როგორც მთავრობის მხრიდან, აგრეთვე მოსახლეობის მხრიდან დიდ ძალისხმევასა და მუხლჩაუხრელ შრომას, მაგრამ განვითარების მიმდინარე ეტაპზე ქვეყანას სხვა არჩევანი არ გააჩნია. ამასთან, ამ პირობების დაკმაყოფილება შეუძლებელია ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისა და მაღალპროდუქტიული წარმოების განვითარების გარეშე. რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს, რომ ამა თუ იმ რეგიონალურ, თუ საერთაშორისო ეკონომიკურ, თუ სამხედრო გაერთიანებაში გაწევრიანება არ უნდა მოხდეს ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებებისათვის ზიანის

მიყენებისა და რელიგიურ აღმსარებლობაზე უარის თქმის ფასად, ანუ დასავლეთთან ურთიერთობისას (რაც განსაკუთრებით პრიორიტეტულია საქართველოსათვის) უნდა გვახსოვდეს, რომ **„საქართველომ ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ გააკეთა არჩევანი და როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული ორიენტაცია დასავლეთზე აიღო... დედაღვთისმშობლის სახე დაჰნათის საქართველოს მეფეთა, წმინდანთა და სწავლულთა ნაღვაწს და მათი სიბრძნის გულისგულს წარმოქმნის. იგივე სახე თაურმდგენია ევროპის კულტურისა, რაოდენ დიდ კრიზისშიც არ უნდა იყოს იგი დღეს. ამავე დროს სიბეცე იქნებოდა დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკაში არ დაგვენახა დამანგრეველ ძალთა დიდი პოტენციალი, რომელთა მოქმედებაც ზოგჯერ თითქმის სტიქიური ძალების ფარდია. დასავლეთთან მიმართებაში, საერთოდ უპრიანია კონსტრუქციულისა და დესტრუქციულის ურთიერთისაგან გარჩევა .....“ (5, გვ.3)**

24. საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და ტნკ-თან თანამშრომლობისას ეროვნული ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურმა ორგანიზაციებმა, განსაკუთრებით კი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ), არსებითი როლი შეასრულეს საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფაში. განსაკუთრებით საყურადღებოა სსფ-ის, როგორც ეკონომიკური რეფორმებისათვის საჭირო „თეთრი“ ფულის მისაღებად ერთადერთი ლეგალური წყაროს როლი აღნიშნული რეფორმების დაფინანსებაში [18, გვ.197-199].

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისას აუცილებელია გარკვეული სიფრთხილის გამოჩენა, რათა მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტური ეკონომიკური ინტერესები და თავიდან იქნას აცილებული გაუთვალისწინებელი შედეგები. სიფრთხილის გამოჩენა აუცილებელია თუნდაც იმის გამო, რომ აღნიშნული ორგანიზაციები თავიანთ რეკომენდაციებში და მოთხოვნებში დაზღვეულნი არ არიან შეცდომებისაგან. ასე მაგალითად, ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის ვ. პაპავას თანახმად, სსფ-ის მიერ საქართველოს ეკონომიკის რეფორმირებისას დაშვებულ შეცდომები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგი სახით:

- პოლიტიკური ხასიათის შეცდომები;
- მეთოდური ხასიათის შეცდომები;
- მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომები;
- დაბნეულობით გამოწვეული შეცდომები;

– ფასწარმოქმნის ფაქტორების გაუთვალისწინებლობით გამოწვეული შეცდომები;

– ტრაფარეტული მიდგომით გამოწვეული შეცდომები;

– ლობირებით გამოწვეული შეცდომები;

– წაყრუებით გამოწვეული შეცდომები;

– ტაქტიკური ხასიათის შეცდომები;

– კომპეტენციის გადამეტებით გამოწვეული შეცდომები [18, გვ.197-199].

ჩვენ ვეთანხმებით საყოველთაოდ აღიარებულ აზრს, რომ აღნიშნულ ორგანიზაციათა, მ. შ. სსფ-ის მრავალი რეკომენდაციის (მაგალითად საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მუშაობის გაუმჯობესების, კორუფციის აღმოფხვრის, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების თანამშრომელთა რაოდენობის ოპტიმიზაციის შესახებ და ა.შ.) შესრულება აუცილებელია, მაგრამ მათ რეკომენდაციებში სამწუხაროდ ხშირად არაა გათვალისწინებული ცალკეული ქვეყნების ეროვნულ თავისებურებები, საწარმოო ძალთა განვითარებაში არსებულ განსხვავებები, ეკონომიკური კრიზისისა და ჩამორჩენილობის გამომწვევი ფუნდამენტური მიზეზები. შესაბამისად, ყველა ქვეყნისათვის, მიუხედავად ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ეტაპისა, შემუშავებული აქვთ რეფორმებისა და გარდაქმნების ერთიანი პრინციპები და პროგრამები. ისინი ცდილობენ განვითარებული ქვეყნების სტანდარტების (ძირითადად საბაზრო ინფრასტრუქტურისა და ინსტიტუციური მოწყობის სფეროებში) განვითარებად ქვეყნებში ფორსირებულ გავრცელებას, რაც არც თუ იშვიათად სრული ფიასკოთი მთავრდება. ეს კი საზოგადოებაში განაპირობებს მათ საქმიანობისადმი უარყოფითი განწყობილების ფორმირებას და წარმოშობს ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საბაზრო ეკონომიკის ფორმირება-განმტკიცებისაკენ მიმართული რეფორმებისადმი.

საყურადღებოა ისიც, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის „ყველა მოთხოვნა დაფიქსირებულია, როგორც მთავრობის განცხადება (და არა როგორც ფონდის მოთხოვნა), რის გამოც ნებისმიერ სადისკუსიო სიტუაციაში ფონდის ექსპერტები, როგორც წესი, მთავრობას ახსენებენ, რომ ეს მის მიერ აღებული ვალდებულებაა, ანუ მისი პოზიციაა და არა ფონდის“ (17, გვ. 78).

რეფორმების განხორციელების პროცესში, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის, რეკომენდაციებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციების მხრიდან გაწეული ფინანსური დახმარება. მაგრამ ეს ხშირად უკუ ეფექტს იძლევა: უცხოური დახმარებები ამცირებენ მთავრობის ეფექტიანობას, ვინაიდან მთავრობა, მიუხედავად მის მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობისა, ღებულობს და ეჩვევა უშრომელ შემოსავალს. მათ გამოყენება-განაწილებასთან დაკავშირებული

პრობლემები კი ასუსტებენ საზოგადოებრივ შეთანხმებას, რაც უარყოფითად აისახება ქვეყანაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე და ზნეობრივ სულისკვეთებაზე.

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით ჩვენ ეჭვქვეშ არ ვაყენებთ ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეულ ორიენტაციას, რომელიც მიმართულია დასავლური ტიპის საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ფორმირებისაკენ და ცივილურ სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისაკენ. ამასთან, იმედს ვიტოვებთ, რომ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციები საქართველოსთან ურთიერთობებში, მათი დამფუძნებელი განვითარებული ქვეყნების ინტერესებთან ერთად, უფრო მეტად გაითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, რაც სულიერი, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის სწრაფი დაძლევისა და ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრების საშუალებას მოგვცემს. ამასთან, იმისათვის, რომ საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებმა შეძლონ ჩვენი ინტერესების გათვალისწინება,[1] საჭიროა ჩვენი მხრიდან მათი ზუსტი ფორმულირება და მათი დაცვის უნარის გამომჟღავნება. ამისთვის, კი აუცილებელია მოლაპარაკებებში მონაწილეობას ღებულობდნენ საქმის მცოდნე, კომპენტენტური და პატიოსანი სპეციალისტები, რომლებიც ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებისა და მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების გათვალისწინებით შეძლებენ ქვეყნის ინტერესების მაქსიმალურ დაცვას.

არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს ტნკ-თან თანამშრომლობა. მათ საქმიანობაზე გავლენას ახდენს მათი ცენტრი ქვეყნების ბიზნესსისტემებისათვის დამახასიათებელი მიდგომები და თავისებურებანი. სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს საუკუნეებისა და ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული და ერთმანეთისაგან განსხვავებული ცხოვრების წესი, ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, რომლებიც განაპირობებენ მათთვის დამახასიათებელ მიდგომებს სამეწარმეო საქმიანობისადმი, ბიზნესის წარმართვის მეთოდებისადმი და განსაზღვრავენ დამოკიდებულებას სიახლეებისადმი საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ, მ.შ. სამეწარმეო საქმიანობის სფეროში. აღნიშნული

[1] მათ მიერ შემუშავებული და დაფინანსებული პროგრამები ძირითადად მიმართულია განვითარებად ქვეყნებში ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც მრეწველობაგანვითარებულ ქვეყნებს უზრუნველყოფს იაფი ნედლეულითა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით, აგრეთვე მზა პროდუქციის გასაღების ბაზრებით, რაც არ შედის ჩვენი ქვეყნის ინტერესებში.

ცხოვრების წესი მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კონკრეტული ქვეყნისათვის ტიპიური ბიზნესის გარემოს ფორმირებას.

მრავალეროვნული კომპანიები პუი-ის განხორციელებისა და უცხოური ფილიალების დაარსებისას ეწევიან მშობლიური ქვეყნის ბიზნესსისტემისათვის დამახასიათებელი საქმიანი ურთიერთობებისა და ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურების ექსპორტს. რა თქმა უნდა ეს ნაკლებად საშიშია იმ შემთხვევაში, თუკი ტნკ-ი ეკონომიკური ინტერესების გარდა არ გამოავლენენ პუი-ის მიმღები ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცხოვრების წესის შეცვლის სურვილს.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტნკ-ი ძირითადად მიეკუთვნებიან მსგავსი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური წყობისა და მონათესავე კულტურების მქონე ინდუსტრიულ ქვეყნებს. მათი საქმიანობა, რომელიც მიმართულია წარმოების ინტერნაციონალიზაციისაკენ, ხელს უწყობს აღნიშნულ ქვეყნებში ჩამოყალიბებული ცხოვრების წესის, ინსტიტუტებისა და ბიზნესისადმი საქმიანი მიდგომების გავრცელებას პუი-ის მიმღებ ქვეყნებში. საყურადღებოა ისიც, რომ ტნკ-ი თვითონაც ითვისებენ პუი-ის მიმღები ქვეყნების ბიზნესსისტემებისათვის დამახასიათებელ საქმიან ურთიერთობებს. ამ პროცესის მასშტაბები დამოკიდებულია უცხოური აქტივების მოცულობაზე და მათ ხვედრით წონაზე ტნკ-ის აქტივების საერთო მოცულობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნესსაქმიანობის ინტერნაციონალიზაცია თვით წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებზე რადიკალურ ზემოქმედებას ვერ ახდენს (ამ ეტაპზე მაინც), ვინაიდან მათი ტნკ-ის აბსოლუტური უმეტესობის საწარმოო პოტენციალი ძირითადად კონცენტრირებულია მშობლიურ ქვეყანაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში დაგროვილ ერთობლივ კაპიტალში უცხოური კაპიტალის წილი დაბალია განვითარებად ქვეყნებთან შედარებით.

წარმოების ინტერნაციონალიზაცია ძირითადად საფრთხეს უქმნის განვითარებადი და განსაკუთრებით კი გარდამავალი ქვეყნების ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებს, შესაბამისად მათ ეთნოფსიქოლოგიასა და ტრადიციებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ მათი განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ხდება ტნკ-ისა და მათი ცენტრი ქვეყნების ნება-სურვილზე, რომელიც თავის მხრივ ყალიბდება მათი წმინდა ეგოისტური ინტერესების კარნახით.

ეს რომ არ მოხდეს, ან მისი უარყოფითი შედეგები მაქსიმალურად რომ შემცირდეს, ამისათვის საჭიროა საქართველომ მოახერხოს ეკონომიკისა და ბიზნეს-საქმიანობის ისეთი ტრანსფორმაცია და ადაპტირება გლობალიზაციის პროცესისადმი (მ.შ. ტ.ნკ.-ის ექსპანსიური საგარეო პოლიტიკისადმი და

ეკონომიკური საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისადმი), რომლის შედეგადაც ფორმირებული ინსტიტუტები საგარეო პირობებთან (გლობალიზაცია) ერთად მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ჩვენი ერის ფუნდამენტურ, სასიცოცხლო ინტერესებსა და პრიორიტეტებს. ასეთი ადაპტირება უნდა განვიხილოთ არა ერთჯერადი აქტის, არამედ მუდმივი პროცესის სახით.

25. სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი გამოყენების, ბიუჯეტის ხარჯების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიუჯეტის ხარჯების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, არაარსებითი და/ან ბუნდოვანი დანიშნულებისა და კორუფციული დატვირთვის მქონე ხარჯების გაუქმებას. პარალელურად აუცილებელია ხელისუფლების ორგანოებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა და სამთავრობო სტრუქტურების პატიოსანი და მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება.

გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება და საჯარო განხილვების მექანიზმის დანერგვა განსაკუთრებით საჭიროა ტენდერების ჩატარების პროცესში, რათა გამოირიცხოს სპეციალურად მასში მონაწილეობის მიღების მიზნით ხელისუფლების წარმომადგენლების პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობით შექმნილი და/ან ოფშორულ ზონებში დაფუძნებული საეჭვო რეპუტაციის მქონე კომპანიების გამარჯვება.

საჯარობისა და გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების მიზნით ასევე აუცილებელია კაპიტალური შემოსავლები აისახოს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროებში. თუკი გადავხედავთ ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ სტრუქტურას, აღმოჩნდება, რომ ბიუჯეტი პრაქტიკულად დაბალანსებულია. შესაბამისად, კაპიტალური შემოსავლების შესახებ ინფორმაცია საერთოდ არსად არ არის მითითებული. ბოლო წლებში განხორციელებული მასშტაბური პრივატიზაციის ფონზე ეს ალოგიკურია. როგორც ჩანს კაპიტალური შემოსავლებით იფარება ის ხარჯები, რომლებიც ბიუჯეტში არ არის ასახული, ანუ საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტის ფაქტიური დონე ბევრად აღემატება ოფიციალურს.

სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა იქცეს განვითარების ბიუჯეტად. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში უნდა ამაღლდეს კაპიტალური ხარჯების წილი, რომლებიც უნდა წარიმართოს სახელმწიფო მნიშვნელობის ისეთი პროექტების დაფინანსებაზე, რომელთა ანაზღაურება მართალია მოსალოდნელია არა მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდში, მაგრამ რომელთა განხორციელებაც აუცილებელია ქვეყნის განვითარებისათვის (მეცნიერების

სფეროში: ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები, კომუნიკაციებში, გარემოს დაცვის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში და ა. შ.).

საწარმოო სფეროში (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა), ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მნიშვნელოვანი დაფინანსებისას) მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბიუჯეტო ინვესტირების განხორციელება შედავათიანი დაკრედიტების სახით. მათი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით სასურველია მოთხოვნილ იქნას თანადაფინანსება კომერციული სტრუქტურების (კომერციული ბანკები, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, ადგილობრივი და უცხოური კომპანიები) მხრიდან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე „საქართველოს ეკონომიკური აღორძინებისა და განვითარების ფონდის“ შექმნა, რომლის ფორმირებაშიც, მიმდინარე ეტაპზე, მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა.

ეკონომიკური განვითარების მორალურ-ზნეობრივი საწყისები

საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია ხელისუფლების უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის, მათ შორის თანაფარდობის პრობლემა. უფლებამოსილება წარმოუდგენელია პასუხისმგებლობის გარეშე. პასუხისმგებლობა განსაზღვრავს უფლებამოსილი პირის ანგარიშ-ვალდებულებას, წახალისებასა და დასჯას – მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგების შესაბამისად. პასუხისმგებლობის გარეშე არსებული უფლებამოსილება იწვევს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას. **საქართველოს ხელისუფლებას, მის ხელთ არსებული რესურსების განკარგვისას და გადაწყვეტილებების მიღებისას გააჩნია პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლებამოსილება, რომელიც დაბალანსებული არ არის სათანადო პასუხისმგებლობით.** უფრო მეტიც, ხელისუფლებისა და მის ცალკეულ წევრთა საქმიანობაში ხშირად არ აღინიშნება პასუხისმგებლობის რაიმე ფორმით გამოვლინება.

ამასთან, ხელისუფლების ზედა ეშელონების წარმომადგენელთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა (რასაც ძირითადად პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან პირადი ანგარიშსწორების ხასიათი გააჩნდა და გამიზნული იყო პიარკომპანიისათვის), დღის წესრიგში არ დამდგარა მათი პასუხისმგებლობის საკითხი. ასეთ პირობებში ქვეყანაში გამეფებულია დაუსჯელობის სინდრომი, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს და ასტიმულირებს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. მოსახლეობა ასეთი მონოპოლისტის წინაშე, რომლის საქმიანობა შეზღუდული

არ არის სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ნორმებით, წარმოადგენს დაუცველს და უუფლებოს.

არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ხელისუფლების პოზიციას ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრაში. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებას თავის უპირველეს მოვალეობად გრანტებისა და საეჭვო დანიშნულების კრედიტების მოზიდვა და სტრატეგიული ობიექტების გასხვისება მიაჩნია, რაც განაპირობებს სამამულო წარმოების აღორძინებისათვის აუცილებელი ეკონომიკური რეფორმებისათვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის მინიჭებას. დონორ ქვეყნებს და მათი გავლენის ქვეშ მყოფ საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებს, როგორც ჩვენი ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, ასეთ დახმარებების გაცემისას დიდად არ ანაღვლებთ ადგილობრივი წარმოების ბედი, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მათთვის მთავარია ისეთი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების წახალისება, რომლებიც ხელს შეუწყობენ იმპორტული საქონლისათვის ხელსაყრელი რეჟიმის ფორმირებას. აღნიშნული პოლიტიკის რეალურ ცხოვრებაში განხორციელება იწვევს დახმარების მიმღები ქვეყნის პრიორიტეტული დარგების კონკურენტუნა-რიანობის დონის შემცირებასა და მათ გაკოტრებას. ამრიგად, საქართველოს ხელისუფლება, ძალაუფლების შენარჩუნებისა და საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, რასაც ძირითადად ემსახურება აღნიშნული სესხებისა და დახმარებების მოზიდვა, ხელს უწყობს სამამულო წარმოების პრიორიტეტული დარგების განადგურებას, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება-გახანგრძლივებასა და ჩვენი ქვეყნის მეორეხარისხოვან, ტრანსნაციონალური ძალებისადმი მთლიანად დაქვემდებარებულ ტერიტორიად, თუ დერეფნად ფორმირებას.

ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ხელისუფლების ბუნებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ხალხის ზნეკეთილობა, საზოგადოებაში გაბატონებული ფასეულობათა სისტემა, ქვეყანაში არსებული მორალური ატმოსფერო. დღევანდელი ქართველობის გარკვეული ნაწილი ნამდვილად არ იმსახურებს ხელისუფლებისაგან (აგრეთვე უცხოელებისგანაც) უკეთეს მოპყრობას. იმდენი უკეთურება, რამდენიც უკანასკნელ პერიოდში გამომჟღავნდა, ალბათ ერთად არ დაფიქსირებულა ჩვენი ერის ისტორიაში. ძარცვა-ყაჩაღობა დღისით და ღამით, კაცის კვლა, ქურდობა, სიძვა (მ.შ. ერთი სქესის წარმომადგენელთა შორის), ურთიერთგაუტანლობა, ერის გარკვეული ნაწილის მიერ მამა-პაპათა სისხლით დღემდე შენარჩუნებული მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოებისა და ჯანსაღი ეროვნული ტრადიციების უარყოფა და მრავალი სხვა უმსგავსობა მიუთითებს ერის ზნეობრივ დაცემაზე.

მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ზნედაცემულობა და მდაბალი ბუნება კარგად ჩანს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ წვრილმანებშიც, მაგალითად სავაჭრო საქმიანობის სფეროში, სადაც გამყიდველები ურცხვად იტყუებიან პროდუქციის წონის, ხარისხისა და წარმომავლობის შესახებ. ასეთი ხალხი თავისთავად უკეთესი მოპყრობის ღირსი არ არის. ისინი ჩივიან, რომ ყველაფერში დამნაშავე ხელისუფლებაა, მაგრამ ერთი წუთითაც არ ფიქრობენ თავიანთ დანაშაულზე. მათ რომ ხელი მიუწვდებოდეთ თანამდებობებზე, მაშინ ალბათ ისინიც გაყიდიდნენ და დაანგრევდნენ ქვეყანას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებულ უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ-კულტურულ კრიზისზე ხელისუფლებასთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრება მთელ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი იმ ნაწილს, რომელიც პოსტკომუნისტურ პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში განვითარებულ ნეგატიურ პროცესებში. **და მაინც, უნდა ვაღიაროთ, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში სულიერ-ზნეობრივი კრიზისის ძირითადი მიზეზია არა ადამიანის ბუნების ბიწიერება, არამედ ხელისუფლების ბუნება, მართვის ფილოსოფია და ქვეყნის მართვის სისტემა.** მართვის თეორიის ცნობილი სპეციალისტი მაკგრეგორი აღნიშნავდა, რომ „ადამიანები ისეთნი, როგორიც ისინი არიან, ხდებიან იმიტომ, რომ მათ ასე ექცევიან“. **ნებისმიერ სოციალურ ორგანიზაციაში, მ. შ. სახელმწიფოშიც, მორალურ ატმოსფეროს ძირითადად განსაზღვრავს ხელმძღვანელობის (ხელისუფლების) მიერ აღიარებული კონკრეტული ფასეულობები, ვინაიდან ხელისუფლებას გააჩნია ის ბერკეტები და ზემოქმედების ის საშუალებები, რომლებითაც შესაძლებელია ხალხის ზნეობრივ ორიენტირებზე ზემოქმედება.** ამგვარად, მართვის ამოცანაა დაეხმაროს ადამიანებს თავიანთი დადებითი თვისებების გაცნობიერება-განვითარებაში და შემოქმედებითი უნარის რეალიზაციაში. შესაბამისად, ნებისმიერი ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა სახელმწიფოში ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხის ზნეობრივ გაჯანსაღებას, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების არსებით გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო აღნიშნული პირობების უზრუნველყოფა.

ამრიგად, საქართველოში უმართლებლოდ განხორციელებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში გამოიწვია უმძიმესი კატაკლიზმები. **აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ისტორია და დღეს არსებული მდგომარეობაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია ქართველი კაცის ხასიათის იმ თვისებით, რომლის თანახმადაც იგი მაქსიმალისტია როგორც პოზიტიურ (რაც**

მისასალმებელი ფაქტია), აგრეთვე ნეგატიურ ქმედებაში. ქართველს ნაკლებად ახასიათებს ზომიერება, რის შედეგადაც უარყოფითი თვისებების მატარებელმა ქართველმა არ იცის ზღვარი თავის ნეგატიურ ქმედებაში. ამას ემატება ისიც, რომ დღეისთვის ქართველი ერის მნიშვნელოვან ნაწილს სათანადო დონეზე არ აქვს განვითარებული ეროვნული თვითშეგნება, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ნეგატიური თვისებების მატარებელთა „ნაყოფიერი" მოღვაწეობისათვის.

ცხადია, რომ ეროვნული თვითშეგნების დაბალი დონე წარმოადგენს ნომერ პირველ პრობლემას, რადგანაც იგი წარმოშობს და ასაზრდოებს ეროვნული ღირებულებებისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, რის შედეგადაც საფრთხე ემუქრება ქართულ სახელმწიფოს, ქართულ ტრადიციებსა და კულტურას, ჩვენი წინაპრების სისხლით შენარჩუნებულ მართლმადიდებელ ქრისტიანულ სარწმუნოებასა და თვით ქართული ეთნოსის არსებობას.

ეროვნული თვითშეგნების დაბალი დონე, რომ არაფერი ვთქვათ ხელისუფლებისა და პოლიტიკური ელიტის გარკვეული ნაწილის მოქმედების მოტივებზე, მჟღავნდება ისეთ წვრილმანებშიც, რომლებიც დაკავშირებულია მთლიანად მთელი მოსახლეობის ქცევასთან და საქმიანობასთან. ასე მაგალითად, მისი დაბალი დონის საილუსტრაციოდ გამოდგება ჯართისა და ხე-ტყის დაუზოგავი გატანა ქვეყნის საზღვრებს გარეთ. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში თურქეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს განდგომილი სამეფო-სამთავროების დასამორჩილებლად, ძირითადად მიმართავდა რკინისა და მარილის შეტანის ბლოკირებას, რაც იმ პერიოდში წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ღონისძიებას, რომელიც თურქეთის ხელისუფლებისათვის შედარებით უმტკივნეულოდ აღმოფხვრიდა არსებულ დაპირისპირებას და აღნიშნულ სამეფო-სამთავროებს აიძულებდა მორჩილებას. დღევანდელი ქართველობა კი, საკუთარი ნებით, ჩალის ფასად, უცხოეთში (იმავე თურქეთში) ეზიდება მაღალხარისხოვან ჯართს, რომლითაც ნიადაგს აცლის სამამულო მრეწველობის პრიორიტეტული დარგების, მ. შ. თავდაცვითი მრეწველობის დარგების განვითარებას. ასევე, შემზარავია ჩვენი ერის დამოკიდებულება დედა-ბუნებისადმი, რაც გამოიხატება ხე-ტყის მასივების გაჩანაგებაში და უცხოეთში გატანაში, რომელშიც პრაქტიკულად ჩაბმულია მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა. დედა-ბუნების ასეთი უმოწყალო განადგურება, უახლოეს მომავალში ბუმერანგივით დაუბრუნდება მოსახლეობას – სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგებისა და საერთოდ, ეკოლოგიური კატასტროფის სახით.

ჯართისა და ხე-ტყის აღვირახსნილ გატანას, ერთი შეხედვით გამართლება გააჩნია ქვეყანაში არსებული მატერიალური სიდუხჭირის შედეგად, თუმცა იგი ძირითადად განპირობებულია პრიორიტეტებისა და გრძელვადიანი

მიზნების არარსებობით, ეროვნული ცნობიერების დეფიციტითა და მომავალი თაობების წინაშე მორალური პასუხისმგებლობის ტოტალური დაქვეითებით.

ამასთან, ყოველგვარ გამართლებას მოკლებულია ქალაქის ქუჩების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისა და ტრანსპორტის დანაგვიანება მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის მიერ (ქალაქის ქუჩებში მიყრილ-მოყრილი ნაგავი არც რუსეთს შემოუტანია საქართველოში და არც ამერიკელებს), რაც დაბალ შინაგან კულტურასთან ერთად მიუთითებს იმაზე, რომ ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაკეტილია მხოლოდ საკუთარი ოჯახის პრობლემებში და არაფრად აგდებს ქვეყნის კეთილდღეობას. იგი საზოგადოებრივ ფასეულობებს არ თვლის მოფრთხილების ღირსად და უდიერად ეპყრობა მათ.

ერთი შეხედვით ასეთი „უწყინარი“ მოქმედებები, საზოგადოებაში განაპირობებს მეშჩანური სულისკვეთებისა და ეროვნული თვითშეგნების დაბალი დონის ჩამოყალიბებას. საბოლოო ანგარიშით კი, ასეთი განწყობა სათანადო კადრებით ამარაგებს ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინტელიგენციის კოსმოპოლიტურად განწყობილ ნაწილს.

ხელისუფლებაში და პოლიტიკური პარტიების გარკვეულ ნაწილში კოსმოპოლიტური სულისკვეთების გაბატონება, მათი დაკომპლექტება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულებებისადმი ნიჰილისტურად განწყობილი კადრებით, კიდევ უფრო ამწვავებს დაპირისპირებას მოსახლეობის ჯანსაღ ნაწილთან, რომელიც იბრძვის ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად და ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. თანამდებობებით, ქრთამებითა და გრანტებით მოხიბლულ-მოსყიდული ჩვენი თანამემამულეები მშობელი ერის დასაჩოქებლად ყველაფერს კადრულობენ: ყიდიან ენას, მამულსა და სარწმუნოებას, ქართველ ერს აბეზღებენ საერთაშორისო არენაზე, დემოკრატიის სახელით ცდილობენ ჩირქი მოსცხონ საკუთარ ქვეყანას და მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველი კაცისთვის გაუსაძლისი გახადონ სამშობლოში ცხოვრება. და ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან კოსმოპოლიტი ესაა პიროვნება, რომელსაც დაკარგული აქვს გენეტიკური ინფორმაცია თავისი წარმომავლობის შესახებ და მშობელი ერის წარსულს, მის ისტორიულ მისიას ირონიით ეპყრობა, რადგანაც გააზრებული არა აქვს მშობელი ერის ღვთაებრივი დანიშნულება.

აღნიშნული პირები იმართებიან გარედან. **სამწუხარო ისაა, რომ მეგობრობის მოსურნე ქვეყნები ჩვენთან დასაყრდენს ძირითადად ეძებენ საეჭვო რეპუტაციის ადამიანებში და პოლიტიკურ ძალებში, რომლებსაც მოსახლეობაში არავითარი დასაყრდენი არა აქვთ. როგორც ჩანს, აღნიშნული ქვეყნები ცდილობენ შექმნან “მეხუთე კოლონა“ და მათი მეშვეობით მიაღწიონ**

მოკლევადიანი მერკანტილისტური მიზნების რეალიზაციას. აღნიშნული პოლიტიკა განაპირობებს ქართველი ერის გულაცრუებას მათ მიმართ, რაც საფრთხეს უქმნის გრძელვადიანი ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ხელისუფლების, პოლიტიკური ელიტისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ეროვნული იდეალებისადმი, ტრადიციული ქრისტიანული სარწმუნოებისადმი და ზნეობრივი ნორმებისადმი საფუძვლად უდევს ადამიანის წარმოშობისა და ევოლუციის, მისი არსისა და დანიშნულების შესახებ არსებული ცრუ თეორიები, რომლებმაც ისტორიის უკუღმართობის შედეგად, განსაკუთრებით ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის საქართველოშიც. აღნიშნულ თეორიებს შორის განსაკუთ-რებული ცინიზმით გამოირჩევა დარვინის თეორია.

დარვინის თეორიის თანახმად, ადამიანი მაიმუნის შთამომავალია. ასეთი ადამიანისათვის ყველაფერი დასაშვებია, ვინაიდან იგი თავისი ისტორიული წარმომავლობით, არსით და ბუნებით ცხოველია. ცხოველი კი თავისუფალია, მას ჭკუა არ მოეკითხება. იგი იმ სამყაროს ნაწილია, რომელშიც ურთიერთობებს ცხოვრების „მგლური კანონები“ აწესრიგებს და არსებობისათვის დაუნდობელი ბრძოლაა გაჩაღებული.

ცხოველთა სამყაროსთვის დამახასიათებელი ეს ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იძენს „დარვინის ადამიანის“ შემთხვევაში, ვინაიდან ასეთი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ მისი წინაპარი მაიმუნია, მაინც სრულყოფილი ცხოველია. იგი დაჯილდოვებულია მაღალი ინტელექტითა და ცბიერი გონებით. არსებობისათვის ბრძოლაში მის მიერ გამოყენებული მეთოდები მრავალ-ფეროვანია, უკიდურესად დახვეწილი, მაგრამ ყოველთვის სატანური. ადამიანის ასეთი ტიპი საკუთარი მანკიერი მიზნების რეალიზაციისათვის საჭიროებს ყოფიერების მეტაფიზიკური საწყისების მატერიალურ დასაბუთებას. სწორედ ამას ემსახურება დარვინის ზემოაღნიშნული თეორია.

ადამიანის წარმოშობის შესახებ სხვადასხვა ჯურის ცრუ მეცნიერთა მიერ შემუშავებული წმინდა მატერიალურ თეორიებს საბედისწერო შედეგებამდე მივყავართ. ისინი ადამიანის წარმოშობისა და ყოფიერების მეტაფიზიკურ საფუძვლებს მატერიალურ საწყისებში ეძებენ და აუკუღმართებენ ადამიანის არსობრივ დანიშნულებას, რითაც ხელს უწყობენ ადამიანის ჩამოყალიბებას თავისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და ცხოველური ინსტიქტების ყურმოჭრილ მონად. მოვლენების ასეთ განვითარებაში კატალიზატორის როლს ასრულებს ზნეობრივი შეზღუდვების გარეშე არსებული თავისუფლების გაფეტიშება. ასეთი თავისუფლება „დარვინის ადამიანის“ ევოლუციის აუცილებელი პირობაა.

თავისუფლება, რომელიც არ ემყარება ღვთაებრივ-ზნეობრივ ნორმებს და „დარვინის ადამიანის“ მოთხოვნილებათა შესატყვისია, ხელს უშლის ადამიანის სულიერ განვითარებას და გაკეთილშობილებას. პირიქით, იგი ხელს უწყობს მის გაველურებასა და სულიერ დაჩაჩანაკებას, მასში ღმრთაებრივი საწყისების ჩაკვლას. ამიტომ, ასეთ თავისუფლებაზე დამყარებული დემოკრატია დემონკრატიაა, რომლის მიზანია მიწიერ ბიწიერებათა აღორძინება.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი „დემოკრატია და თავისუფლება“ იწვევს პირუკუ პროცესსაც: ადამიანი დაყავს მაიმუნის დონემდე, რომლისთვისაც ცხოვრების კრედო მდაბალი ცხოველური ჟინის დაკმაყოფილებაა.

ქართველმა ერმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეაქციოს ზურგი სხვადასხვა ჯურის ცრუ, ადამიანის სულისა და გონების გამრყვნელ თეორიებსა და სწავლებებს. ნებისმიერმა ქართველმა – ჩვეულებრივმა მოქალაქემ, ინტელიგენციის წარმომადგენელმა, ბიზნესმენმა, ხელისუფლების პირმა თუ პარტიის ლიდერმა და ა.შ. – თავის უპირველეს მოვალეობად უნდა მიიჩნიოს ქვეყნისა და ერის სამსახური, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლა, ხოლო სოციალური ურთიერთობების საფუძვლად უნდა აღიაროს ტრადიციული ქრისტიანული სარწმუნოების ზნეობრივი ნორმები და შესაბამისი ქცევის წესები. ამის პოტენციალი ქართველ ერს ნამდვილად გააჩნია.

სამშობლო გააჩნია არა მხოლოდ ადამიანს, არამედ ცხოველებსაც და მცენარეებსაც. მათი თითოეული სახეობა საკუთარი გარემო პირობების – კლიმატის, რელიეფის, მცენარეული საფარის და ცხოველთა სამყაროს პირმშოა. აღნიშნულს ადასტურებს ტროპიკული სარტყლის ცხოველებისა და მცენარეების, მაგალითად: სპილოს, მარტორქას, ბეჰემოთის, ჟირაფის, ქოქოსის პალმის, ევკალიპტის და ა.შ. განსაკუთრებული სიყვარული სითბოსადმი და ცივ გარემოსთან შეუგუებლობა, რაც გამორიცხავს მათ გავრცელებას ჩრდილოეთისა და სამხრეთის განედებზე. იგივე ითქმის ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის მიმდებარე ტერიტორიებში მობინადრე თეთრ დათვზე, რომელსაც არსებობა არ შეუძლია მაღალი ტემპერატურის პირობებში, რის გამოც გამორიცხულია მისი გავრცელება აფრიკაში, ამაზონის აუზში, ინდოეთში და ა.შ.

ცხოველთა და მცენარეთა სამყაროსთვის მშობლიურ გარემოს უპირობოდ განსაზღვრავს კლიმატური პირობები და რელიეფი. ადამიანის შემთხვევაში სამშობლოსადმი სიყვარულისა და კუთვნილების საფუძველია:

– პირველი, განსაზღვრული ტერიტორიული სივრცისადმი, ანუ იმ ადგილისადმი ინსტიქტური სიყვარული და კუთვნილების გრძნობა, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა, სადაც თავისი ბავშვობისა და ყრმობის ასაკი გაუტარებია, სადაც ბავშვობისას „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველას“ ურბენია და

სადაც თავისი ახლობლებისადმი და გარემომცველი გარემოსადმი სიყვარული პირველად უგრძვნია.

– მეორე, მშობლიური ადგილისადმი, როგორც წინაპრების განსასვენებელი ადგილისადმი მოწიწებისა და თაყვანისცემის გრძნობა.

– მესამე, საკუთარი ერისა და სამშობლოს ისტორიის გააზრებისა და გაცნობიერების ნიადაგზე შობილი პატრიოტიზმი, რაც დამახასიათებელია განათლებული, მაღალინტელექტუალური და სულიერად ამაღლებული ადამიანებისათვის.

ამრიგად, ერისშვილობა ყოველთვის სამშობლოსთან, მშობელ ხალხთან უწყვეტ სულიერ და ზნეობრივ ერთიანობაში ვლინდება. მშობელ ერთან მხოლოდ ასე შესისხორცებულ, მის გრძნობათა და მტკივნეულ განცდათა სამყაროში მყოფ ადამიანს ძალუძს სიღრმისეულად ჩასწვდეს მის სევდიან ფიქრებსა და სულიერ სამყაროს, ჯანსაღ მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს, ავი დროებისაგან მიჩქმალულ და დავიწყების საბურველში გახვეულ გულისნადებს – სახელმწიფოებრივი და კერძო ცხოვრების უკეთესი მოწყობის შესახებ. მხოლოდ მას შეუძლია მათი ხორცშესხმა თავისი ცხოვრების უპირველეს მიზნად დაისახოს და უდრტვინველად და უპირობოდ შეუდგეს ქვეყნის სამსახურს.

ქართველობამ უნდა გააცნობიეროს, რომ თითოეულ სამყაროსეულ მოვლენას, თითოეულ ცოცხალ არსებას, თითოეულ ერს გააჩნია საკუთარი ფუნქცია, რომლითაც იგი უზრუნველყოფს საკუთარი თვითმყოფადობისა და სამყაროსეული ბალანსის შენარჩუნებას.

ქართველი ერის ფუნქციას ოდიდგანვე წარმოადგენდა დასავლური ცივილიზაციის აღმოსავლური კარიბჭის დაცვა სხვადასხვა ჯურის დამპყრობლების შემოსევებისაგან, ხოლო ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან მას დაემატა უცხო აღმსარებლობის გარემოცვაში მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების დაცვის მისია, რასაც ქართველობამ დღემდე წარმატებით გაართვა თავი.

მიმდინარე პერიოდში დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დგას აღნიშნული მისიის გააზრების, აგრეთვე ჩვენი ერის თვითიდენტიფიკაციისათვის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, ერის სულიერ-ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების მნიშვნელობის გაცნობიერების აუცილებლობა. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ჩვენი ერის შემოქმედებითი ენერგიის, მ.შ ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური რესურსების მობილიზება და ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში ჩამოყალიბებული სისტემური კრიზისის დაძლევა.

დასკვნა

საქართველოს ეროვნულ-ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, უმუშევრობის შესამცირებლად და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ანუ მოსახლეობის ფუნდამენტური სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული უფლებებისა და ინტერესების რეალიზაციისათვის, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია:

– მაქსიმალურად ლიბერალური რეჟიმში ფუნქციონირებადი და ამავე დროს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირება;

– სამართლიანობასა და ეფექტიანობას შორის გონივრული ბალანსის დაცვა;

– ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, საკანონმდებლო ბაზის დახვეწა და მართლმსაჯულების სამართლიანი სისტემის ჩამოყალიბება;

– საბაზრო ინსტიტუტების ფორმირების დასრულება, მათი განახლება და განვითარება;

– ბაზრების ეფექტიანობის ამაღლება, სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაცია და კონკურენციული ურთიერთობების გაღრმავება;

– სამამულო წარმოების მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება როგორც შიდა, აგრეთვე საერთაშორისო ბაზარზე;

– სამეწარმეო საქმიანობის წახალისება, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა და დასაქმების დონის ამაღლება;

– ინვესტიციების უპირატესი მიმართვა ადამიანური კაპიტალის ხარისხის გასაუმჯობესებლად, განათლების სისტემის ეფექტიანობის ამაღლება და ცოდნაზე ორიენტირებული ეკონომიკური სისტემის ფორმირება;

– მეცნიერების განვითარებაის ხელშეწყობა, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლება და ინოვაციური საქმიანობის წახალისება;

– მოსახლეობის სოციალური დაცვის ეფექტიანი სისტემის ფორმირება;

– მომხმარებელთა ინტერესების დაცვა;

– მაკროეკონომიკური დისპროპორციების აღმოფხვრა, მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და სამამულო წარმოების ინტერესების შესაბამისი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის გატარება;

– რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეებში არსებული დისპროპორციების გამოთანაბრება და მათი თანაბარზომიერი განვითარების ხელშეწყობა;

– სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ხელშეწყობა;

– ძირითადი ინფრასტრუქტურის (ენერგეტიკის, კავშიგაბმულობის, ტელესაკომუნიკაციოსა და სატრანსპორტოს) განვითარება;

– ზომიერად პროტექციული პოლიტიკის გატარების გზით სამამულო წარმოების დაცვა იმპორტული პროდუქციის მხრიდან ტოტალური კონკურენციისაგან;

– მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში – ეროვნული ინტერესების პრიორიტეტის მაქსიმალური გათვალისწინება;

– უცხოური ინვესტიციების, უპირველეს ყოვლისა კი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოზიდვა;

– რეგიონულ ეკონომიკურ გაერთიანებებში მონაწილეობისას და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და ტნკ-თან თანამშრომლობისას ეროვნული ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება;

– სახელმწიფო ფინანსების ეფექტიანი გამოყენებისა და ბიუჯეტის ხარჯების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

და ბოლოს:

არც თუ შორეულ წარსულში ჩვენთვის „მნიშვნელოვანი იყო“ ძალად თავსმოხვეული იდეოლოგიური დოგმები და შესაბამისი ქცევის ნორმები: კომუნისტური პარტიის დირექტივების უზენაესობა; მარქსიზმ-ლენინიზმის „დიადი“ იდეების უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად აღიარება; მუშათა და გლეხთა „დიადი“ სახელმწიფოსა და „ნათელი“ კომუნიზმის მშენებლობა; კომპარტიის წამყვანი როლი; „ბურჟუაზიული წესჩვეულებების დრომოჭმული გადმონაშთების“ წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ. სსრკ-ის რღვევამ და მისმა თანამდევმა სწრაფმა ცვლილებებმა საზოგადოებაში ტრანსფორმაციული შოკი გამოიწვია, რამაც მისი ფსიქიკა რადიკალურად შეცვალა და ახლა ჩვენს ცხოვრების სტილს გარკვეულწილად განსაზღვრავს დასავლური მასობრივი კულტურის „შედევრები„: კოკა-კოლა, ჰამბურგერები, ჩიპსები, როკმუსიკა, ჯინსები, ელექტრონული მუსიკა, შოუბიზნესი, ღამის შოუ თუ ჯეობარი, აგრეთვე სლოგანები და ბილბორდები, ეგზიტპოლები და არჩევნების გაყალბების ტექნოლოგიები, ნავთობი და დოლარები, გრანტები და გრანტიჭამია პოლიტიკოსები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი ყავლგასული რეკომენდაციები, უმუშევრობა და სიღარიბე, ინფლაცია და დევალვაცია და ა. შ.. სხვადასხვა ჯურის „კეთილისმყოფელებიც“, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით, ცხადად თუ ფარულად, სულ უფრო ხშირად გვიკიჟინებენ, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ თანამედროვე ეპოქის შვილები და და გავიზიაროთ მისი სული, მისი მორალური პრინციპები, მ. შ. უკიდურესად ბიწიერნიც. ყოველივე ეს, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვისა და ეროვნული კატასტროფის ტოლფასია. ამიტომ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გავუწიოთ არსებულ სინამდვილეს, მაგრამ არსებული ეპოქის პირობებშიც მაქსიმალურად უნდა ვცადოთ საკუთარი სახის შენარჩუნება, რომელიც გამსჭვალული იქნება ქართული მართლმადიდებლურ-ქრისტიანული ზნეობრივი იდეალებითა და ფასეულობებით. ანუ, მიუხედავად გარე გარემოს ზეწოლისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ქართველები ვართ. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ „ენა, მამული, სარწმუნოება“, ჩვენი ჯანსაღი ტრადიციები და სულიერი ფასეულობები. დემოკრატია უნდა ჩავაყენოთ ამ

ფუნდამენტური ღირებულებების აღორძინების სამსახურში. უცხოურიდან კი უნდა ავითვისოთ ის, რაც არ ვნებს ჩვენს ტრადიციას, საუკუნეების ქარტეხილებში გამოწრთობილ ჩვენს მენტალობას. ამასთან, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ „„გეორგიანობა“ ეთნოსზე მაღლა დგას. იგი ეროვნული და, ამავდროულად, ზეეროვნული მოვლენაა. უკიდურესი, თავკერძა ნაციონალიზმი და შოვინიზმი მისთვის ისევე უცხოა, როგორც აბსტრაქტული და ურელიგიო კოსმოპოლიტიზმი. იგი ვაჟასეული გაგებით, პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმია იმავდროულად. ეს პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი ეფუძნება ღმერთის ხატად შექმნილი კაცებრივი ინდივიდუალობის და სულის უკვდავების იდეას, საითკენაც ადამიანი გზას თავისუფლებით იკვლევს, ანუ ზნეობრივ-ეთიკური ქმედების სიყვარულით და მაკროსამყაროული კანონების შემეცნებით“ [6, გვ. 145]. ასე უნდა ესმოდეს ქართველობა და ერისშვილობა ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, ვინაიდან ასე ესმოდათ იგი ჩვენს ღირსეულ წინაპრებს. ამიტომ, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი გმირული წარსული, ჩვენი ღირსეული წინაპრების „საქმენი საგმირონი“ და ჩვენი ცხოვრებითა და საქმიანობით მათი ღირსეული მემკვიდრეები უნდა გავხდეთ. მთელი ერისთვის მისაბაძ მაგალითად უნდა იქცეს სამშობლოს კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი მამულისშვილების, საერო თუ საეკლესიო პირების ქვეყნისათვის თავდადება და მარტვილობა ქრისტიანული სარწმუნოების სახელით, რადგანაც „წმინდანი იყო მუდამ იდეალი ჩვენი წინაპრებისა და ჩვენთვისაც უნდა დარჩეს იდეალად, თუ გვსურს ჩვენი ეროვნული და კულტურული არსებობის შენარჩუნება დღეს, ოკეანის პირისპირ, რომელიც ნთქავს ყოველგვარ ეროვნულ კოლორიტსა და ნიუანსებს. ის ერი კი რომელიც დაკარგავს რწმენას და კულტურულ უპირატესობას ვერ შეინარჩუნებს მომხდურზე, უთუოდ დამარცხდება. წმინდანი იყო და არის იდეალი განათლებული კაცობრიობისა, მას ვერც ერთი სხვა იდეალი ვერ შესცვლის ვერც მომავალში“ [3, გვ. 565]. ანუ ჩვენ უნდა ავაღორძინოთ რელიგიური პატრიოტიზმი: სამშობლოს სიყვარული ჩვენს რელიგიურობასა და სულიერებას უნდა ეყრდნობოდეს. ჩვენი სამშობლოს გმირულ წარსულში, ბეჩავ აწმყოსა და ნათელ, ღვთის სიბრძნით გაცისკროვნებულ მომავალში ჩვენ უნდა შევიგრძნობდეთ ღვთის მონაწილეობას, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი ერის გაწმენდას ბიწიერებისაგან და მის სულიერ აღორძინებას. ანუ, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ საუკუნეების დამანგრეველ ქარტეხილებში ნაწრთობი ჩვენი შინაგანი ბუნება, ხოლო ფორმა და გარეგნული ქცევა, ზნეობრივი პრინციპებისადმი ღალატის გარეშე, უნდა შევუხამოთ გარე გარემოს ცვალებად მოთხოვნებს, მათთდამი უმტკივნეულო ადაპტირების მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში განურჩევლობისა და განუკითხაობის უძირო ოკეანეში

ავითქვიფებით. ანუ, თანამედროვე ეპოქის გამოწვევების საპასუხოდ, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ორი ათასწლოვანი ქრისტიანული მემკვიდრეობის დაცვა და ეროვნული ფასეულობების განმტკიცება. სამშობლოს კეთილდღეობა, საკუთარი ერის სულიერი, კულტურული და მატერიალური აღორძინება უნდა წარმოადგენდეს ყოველი ერისშვილის უპირველეს საზრუნავს. ყოველმა ერის-შვილმა უპირობოდ უნდა აღიაროს ეროვნული იდეალი. იგი უნდა იქცეს სიყვარულის საგნად, ცოცხალ წყაროდ ადამიანის შემოქმედებითი ცხოველმყო-ფელობისათვის. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ მხოლოდ ეროვნულ ნიადაგზეა შესაძლებელი დიად საქმეთა ხორცშესხმა, რომელიც აღფრთოვანებაში მოიყვანს თაობებს და მათი შთაგონების წყაროდ იქცევა. ეროვნული იდეალის გარშემო მობილიზებული სოციალური ენერგია ახალ სასიცოცხლო იმპულსებს სძენს მოცემულ ეროვნულ-სოციალურ ორგანიზმს, მის კულტურულ ცხოვრებას. ამიტომ აუცილებელია ყოველი ქართველი ეროვნულ ნიადაგზედ ცოცხლობდეს. ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს პოლიტიკა, ხელოვნება, მეცნიერება, ბიზნესი თუ ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოება, მისი მოღვაწეობა გამსჭვალული უნდა იყოს ეროვნული სულისკვეთებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ეროვნული მეურნეობის მოდერნიზება ადგილობრივი სპეციფიკისა და მსოფლიოში არსებული ჯანსაღი გამოცდილების შეხამების საფუძველზე. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ასეთი მოდელის არჩევის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ გლობალიზაცია შეიცავს ვესტერნიზაციის, ე.ი. ტრადიციული ღირებულებების, ჩვეულებების, ინსტიტუტების, ზნეობრივი ნორმების, ანუ ეროვნული კულტურის უარყოფისა და უცხოურით ჩანაცვლების, ანუ ქართველობის, როგორც ეთნოკულტურული გენოტიპის განადგურების საფრთხეს, რაც ქართული ეთნოსის ფიზიკური განადგურების ტოლფასია. ამიტომ, საჭიროა ეროვნულ ფასეულობებთან ადაპტირებული (ან ადაპტირებადი) სამართლებრივი, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურებისა და ინსტიტუტების შექმნა, რაც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ქვეყნის წარმატებული განვითარების აუცილებელი პირობაა.

ამგვარად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველი ერის ქრისტესეული ნათლისღება, ანუ ქართველი ერის აღდგომა-გაბრწყინება, მოსალოდნელია აშკარად, თუ ფარულად დაპირისპირებულ ძალებთან კულტურული უპირატესობის შენარჩუნებისა და „ენა, მამული, სარწმუნოების“ ერთიანობის კონტექსტში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების დაცვის მისიის უდრტვინელად აღსრულების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ. თბ. 2001
2. ნაკაიძე გ., ბარათაშვილი ე., ვეშაპიძე შ. განვითარების ეკონომიკა და ტექნოლოგიური პროგრესი, თბ., 2001 წ
3. გამსახურდია ზ. წერილები, ესეები. თბ. 1991წ.
4. გამსახურდია ზ. დილემა კაცობრიობის წინაშე. თბ. 1995წ.
5. კონსტანტინე ზ. გამსახურდია. პოლიტიკური სცენის მიღმა. თბ., 2000წ.
6. კონსტანტინე ზ. გამსახურდია. წერილები უცხოეთიდან. თბ. 2006წ.
7. გოგოხია რ. გარდამავალი პერიოდის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები: ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, 2000წ. №1.
8. ეთერია ე. მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი: თეორიულ-ინსტიტუციური ასპექტები. ჟურ. „სოციალური ეკონომიკა“, 2007წ, №4.
9. თავაძე გ., ჩომახიძე დ., ქავთარაძე ი., მენაბდე დ. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პრაქტიკა. თბ. 2006 წ.
10. კაკაბაძე ზ. ფილოსოფიური საუბრები. თბ., 1988 წ.
11. კვარაცხელია დ. გლობალიზაცია, სუვერენული სახელმწიფო, ეროვნული ეკონომიკა. თბ., 2003.
12. კვარაცხელია დ. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ძირითადი ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში. ჟურ. „სოციალური ეკონომიკა“, 2007წ, №2
13. კვარაცხელია დ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკაში: ტენდენციები, შედეგები და პერსპექტივები. ჟურ. „სოციალური ეკონომიკა“, 2007წ, №4
14. კვარაცხელია დ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: გამოწვევები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ჟურნ.: „საქართველოს ეკონომიკა“, 2007წ, №10
15. მალაშხია გ. საქართველოს ეკონომიკა: საუკუნოვანი პანორამის შტრიხები. თბ., 2002წ.
16. მექვაბიშვილი ე. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრიორიტეტები. თბ., 1998წ
17. პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბ., 2000 წ.
18. პაპავა ვლ. პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005.
19. ციმინტია კ. აგრარული სექტორის ეკონომიკა. თბ. 2005 წ.
20. ჩიკვაიძე თ. გლობალური ცივილიზაციის ფორმირება და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება XXI საუკუნისათვის, ჟ.: „პოლიტიკა“, 1997 წ. №1.

21. წერეთელი გ. საქართველოს ეკონომიკის გარდაქმნის სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციისათვის ძირითადი გზები.- ჟ. „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“. 2000წ, №1-2, №3
22. ხადური ნ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაკროეკონომიკური დეტერმინანტები. ჟურნ.: „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტალური მიმოხილვა, დეკემბერი 2005.
23. ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV, პუბლიცისტური წერილები, 1953წ.
24. ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ნაწილი III. თბ., 2001წ.
25. ჯავახიშვილი ივ. თხუზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბ. 1983წ.
26. ჰანტინგტონი ს. პოლიტიკური სტატიები, თბ., 2001წ.
27. ჰერსტი პ., ტომპსონი გ. გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი. თბ. 2005.
28. Иванова Н. Национальные инновационные системы. Ж.: “Вопросы экономики”, №7, 2001 г.
29. Ливенцев Н. Н., Костюнина Г. М. Международное движение капитала. М. 2004.
30. Портер М. Конкурентное преимущество: как достичь высокого результата и обеспечить его устойчивостью. М., 2005г.
31. Рилипенко И. В. Конкурентоспособность стран и регионов в мировом хозяйстве. М , 2005 г.
32. Доклад о мировом развитии 2006. справедливостъ и развитие. Всемирный банк. м. 2006 г.
33. UNCTAD: World Investment Report 2006. FDJ from Developing and Transition Economies: Implications for Development. 2006.